# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 3 მაისი 2003 №79 (1850) ფასი 50 თეთრი


## ისევ დინამო — ტორპედო

### შუშაკი ნაშუშაკევს

ივო შუშაკმა საქართველოს ნაკრებს პრინციპული მატჩის მოგება ასწავლა.

შუშაკის „დინამომ“ კი ჯერაც ვერ დაამარცხა ქუთაისის „ტორპედო“ პრინციპულ, გადამწყვეტ შეხვედრაში. დასტურად წინა ჩემპიონატის ქუთაისური „ოქროს მატჩიც“ იკმარებს.

დღეს რუსთმოლეულ შუშაკს ისევ „ტორპედოსთან“ ჭიდილი ელის და გუშინდელი „ვიტ – ჯორჯია“ – „სიონის“ შედეგის გათვალისწინებით დღევანდელმა ქართულმა „კლასიკომაც“ საჩემპიონო ფასი დაიდო. საქმე ისაა, რომ გუშინ ბოლნისელთა დამარცხებით ვიტელებმა სატურნირო ცხრილში დინამოელები მოიტოვეს და თუ დღეს „ეროვნულზე“ შუშაკს და მის გუნდს ფეხი დაუცდათ, მათ საჩემპიონო ამბიციებს წყალი შეუდგება.



ბადრი ქავთარაძის ფოტო

## გენერალური სიმართლე გენერალს: ჩვენ ოკუპანტებზე დავამარცხეთ



პირველ მაისს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა თევზაძემ მისთვის ჩვეული სიტყვაძუნწობით განაცხადა, რომ ფეხბურთისთვის არ უყურებია და ერის ღირსება არ უნდა ეკიდოს თერთმეტი კაცის ფეხებზე.

ამით ბატონ გენერალს ის გამოუვიდა, რომ ოთხშაბათს ღამით არაფერი მომხდარა და ჩვენ ყველანი, ვისაც ხმა ჩაგვიწყდა და ბედნიერები ვიყავით, სულელები ვართ. ვიყოთ სულელები, ეს არაფერი. დიდ კაცებს პატარა კაცები ყოველთვის ჰგონიათ სულელები, მთავრობებს ხალხი ბრბოდ მიაჩნიათ ხოლმე, ხოლო ისტორიაში ყველაზე დიდი გენერალი ამბობდა, რომ ჩვენ საზარბაზნე ხორცი ვართ. ამაზე მეტი მოგვითმენია, რადგან ასეთი ქვეყნის შვილები ვართ.

იქნებ ბატონ მინისტრს ასე არ ჰგონია, მაგრამ ხალხისთვის იგი იმ ხელისუფლების წარმომადგენელია, რომელიც გაზს და შუქს ურთავს, აუტანელ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში ამყოფებს, ნებისმიერი თონის და ჯიხურის წილში უჯდება, რომელსაც ლტოლვილები ჰყავს, ქუჩაში ასფალტს არ აგებს, რომლის ხელშიც სალამოობით შინიდან გასვლა რეკომენდებული არ არის, რომელიც დემონსტრაციულად იშენებს სრა-სასახლეებს და რომლისთვისაც რუსეთი ორია, კარგი და ცუდი.

14 აპრილს „ვაშინგტონ უიზარდსი“ ნლევანდელი რეგულარული სეზონის უკანასკნელ საშინაო მატჩს ატარებდა. მატჩს აშშ-ის თავდაცვის მდივანი, დონალდ რამსფელდიც დაესწრო და დიად მაიკლ ჯორდანს ამერიკული ღირსების სიმბოლო — 2001 წლის 11 სექტემბერს პენტაგონის თავზე მოფრიალე დროშა აჩუქა.

დონალდ რამსფელდი ალბათ არ ფიქრობს იმას, რომ ამერიკის ღირსება მაიკლ ჯორდანის კიდურებზე არ არის დამოკიდებული.

მან ნალდად იცის ის, რომ ამერიკის ღირსებისთვის თანაბრად იბრძვის ყველა — საკალათბურთო მოედნებზე ოფლისმღვრელი ბიჭებიც და სადამ ჰუსეინის ფედაინებთან სისხლის დამთხევი ფეხოსნებიც.

და, სხვათა შორის, ისინიც, ვინც ქართველებს საქართველოს ღირსების დასაცავად ნვრთნიან!



# ფრაიბურგი კიოლნმა ბუნდესლიგაში დააბრუნა

## შუშაკმა იაშვილი ავარიას აარიდა

**სამი ქართველის** „ფრაიბურგმა" გუშინ შინ 3:0 სძლია მეორე ბუნდესლიგის ლიდერ „კიოლნს" და თითქმის გარანტია კიდეც უძლიერესთა ლიგაში დაბრუნება, იქ საიდანაც შარშან გავარდა.

გუშინდელი შეხვედრა აბა, უქართველებოდ როგორ ჩაივლიდა. კაპიტანმა ლევან კობიაშვილმა, რომელმაც საქართველო — შვეიცარიის ევროშესარჩევი მატჩისას მუხლი დაიზიანა და ერთი თვე მკურნალობას მოანდომა, ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, თანაგუნდელ ბაირამოვიჩს პირველი ორი გოლი გაატანინა და მერე შეცვლა ითხოვა — მეტოქემ ახალმოშუშებულ მუხლში ჩაარტყა და ჩვენებურიც გართულებას მოერიდა, მით უმეტეს, იმ დროისთვის „ფრაიბურგი" 2:0 იგებდა. კობიაშვილის ნაცვლად მწვრთნელმა ფინკემ ლევან ცქიტიშვილი ათამაშა. ალექსანდრე იაშვილმა კი, რომელიც ოთხშაბათის მატჩში იყო შუშაკს სათადარიგოდ ჰყავდა, ფრაიბურგში მთელი მატჩი მოედანზე დაჰყო და კიოლნელებს ხელი საბოლოოდ მოუმთავრა — 68 წუთზე ბაირამოვიჩის დარტყმულს დაამატა და თავის გუნდს გამარჯვება გაუნაღდა.

— ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია, რამდენიმე მწვავე მომენტი შევქმენი და ერთი გოლიც გავიტანე ლევან კობიაშვილმა კი ორი საგოლე პასი გააკეთა. პირველსავე ტაიმში ლევანს ეუხეშნენ და ისიც იძულებული გახდა მოედანი დაეტოვებინა. ამ გამარჯვების შემდეგ ვერ ვიტყვი, რომ უკვე ბუნდესლიგაში ვართ, მაგრამ საამისო შანსი ძალიან რეალური გვაქვს. მომავალ ტურში „ბერგჰაუზენს" ვსტუმრობთ და მოგების შემთხვევაში თავს ბუნდესლიგელებად ჩავთვლით, მანამდე კი... „ფიურტთან" შეხვედრამდეც ვფიქრობდით, რომ მოვიგებდით, მაგრამ მაშინ 0:4 დავმარცხდით. ამიტომაც წინასწარ ნუ ჩავთვლით „ფრაიბურგს" ბუნდესლიგის გუნდად.

ალექსანდრე იაშვილი ბუნდესლიგაში დაბრუნებაზე წინასწარ არ ლაპარაკობს, თუმც კი ის გულახდილად გვითხრა, რომ საქართველო — რუსეთის მატჩის მონაწილე სურდა თავადაც ყოფილიყო და უთამაშებლობამ მასზე იმოქმედა. მისი უხასიათობა ოთხშაბათს შესამჩნევი იყო.

— ნამდვილად, ის არ ვიყავი, რაც ვარ, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, ვერ გადმოგცემთ იმ წუთს, როცა მსაჯმა მატჩი დაამთავრა, რა ბედნიერი ვიყავი, თუმც ჩემი განცდაც ვერ გამოვხატე. ერთის ალალად გეტყვით, გულდაწყვეტილი ვიყავი იმიტომ, რომ საქართველოს გამარჯვებაში ჩემი წვლილი არ იყო, მეც მსურდა რუსების დამარცხება, მეც მსურდა მოედანზე ყოფნა, მსურდა რუსებს დავჯახებოდი. ისე კი, ჩემი თამაში თუ უთამაშებლობა აღარც მახსოვს — საქართველომ რუსეთს მოუგო და ბედნიერი ვარ.

**ძოგა ინასარიძე**

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა**
**XXXI ტური**

**ფრაიბურგი 3:0 კიოლნი**

1:0, 2:0 ბაირამოვიჩი (10, 21), 3:0 იაშვილი (68)

ფრაიბურგი: გოლცი, ვილი (რიტერი 63), შ. მიულერი, ბ. დიარა, ბერნერი, ბაირამოვიჩი, კობიაშვილი (ცქიტიშვილი 26), ა. ცაიერი, კულიბალი, იაშვილი, ტანკო (რამდანე 70)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

25 000 მაყურებელი

**ზანკტ პაული 2:2 ბურგჰაუზენი**

**უნიონი 1:1 ალენი**

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**XXIX ტური**

**ბაბელსბერგი 1:4 ვერდერი (მ)**

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**XXXIII ტური**

**ვეჰენი 4:1 აალენი**

**ელვერსბერგი 4:2 ზიგენი**

### პორტუგალია

**პირველი ლიგა**
**XXX ტური**

**ბეირა მარი 2:1 ბელენენსეში**

### ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**
**XXX ტური**

**ეძსელსიორი 3:4 გრააფსხაპი**

**მეორე დივიზიონი**
**XXX ტური**

**სიტარდი 3:1 ვეენდამი**

**დენ ჰააგი 2:0 ვოლენდამი**

**კამბური 1:3 ოსი**

**ეინდჰოვენი 1:1 ჰაარლემი**

**ჰერაკლესი 0:4 ჰელმონდი**

**მაასტრიხტი 2:2 იგლსი**

**დორდრეხტი 0:1 ვენლო**

**ტელსტარი 1:3 ემენი**

### იტალია

**სერია B. XXXIII ტური**

**პალერმო 2:1 ნაპოლი**

### საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი**
**XXXV ტური**

**გრენობლი 0:0 ლორიანი**

**ლავალი 1:1 ლე მანი**

# ხმაჩახლეჩილთა ხმა

**პირველ მაისს** საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა თევზაძემ მისთვის ჩვეული სიტყვაპუნწობით განაცხადა, რომ ფეხბურთისთვის არ უყურებია და ერის ღირსება არ უნდა ეკიდოს თერთმეტი კაცის ფეხებზე.

ამით ბატონ გენერალს ის გამოუვიდა, რომ ოთხშაბათს ღამით არაფერი მომხდარა და ჩვენ ყველანი, ვისაც ხმა ჩაგვიწყდა და ბედნიერები ვიყავით, სულელები ვართ. ვიყოთ სულელები, ეს არაფერი. დიდ კაცებს პატარა კაცები ყოველთვის ჰგონიათ სულელები, მთავრობებს ხალხი ბრბოდ მიაჩნიათ ხოლმე, ხოლო ისტორიაში ყველაზე დიდი გენერალი ამბობდა, რომ ჩვენ საზარბაზნე ხორცი ვართ. ამაზე მეტი მოგვითმენია, რადგან ასეთი ქვეყნის შვილები ვართ.

ჩვენ ვიცით, რომ გენერალი თევზაძე არის დიდებული სამხედრო, ჩვენ ვაფასებთ მის თავგანწირვასა და ცოდნას საქართველოსთვის ომებში, ვიცით, რომ ის კარატეს ოსტატი და ფილოსოფიის დოქტორია და სწორედ ამაზე გვწყდება გული, რომ ფილოსოფიის დოქტორს არაფერი სცოდნია ადამიანების გულებისა.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ფეხბურთელებით და ვიცით, რომ ჩვენი ღირსება ამ დღეებში მათზეა დამოკიდებული და არა თოფ-იარაღზე, რადგან მათ მოუგეს იმ ქვეყნის გუნდს, რომლის ჯარსაც დღესაც უჭირავს ჩვენი ქვეყნის ერთი მესამედი და რომელსაც, თუ იარაღზე მიდგა საქმე, დიდი თავგანწირვის მიუხედავად, დანასობიაში თუ აჯობებ. ბატონმა გენერალმა ჩვენზე ასჯერ უკეთ იცის, რომ ეს ასეა და ასჯერ მეტად განუცდია იმ სისხლის ფასი, რუსებმა რომ დაღვარეს ჩვენს ქვეყანაში.

ვეგონოთ გენერალს მშიშრები მხოლოდ იმის გამო, რომ მტერში ადამიანის სიცოცხლის დანახვა შეგვიძლია. სამაგიეროდ, ჩვენ სწორად ვგრძნობთ ბედნიერებას.



# საჯარო პირს პირში უძრახეო

**საქართველომ** რუსეთი დაამარცხა! ფეხბურთში დაამარცხა. ხალხმა ზეიმი მოაწყო თბილისში, რუსთაველის გამზირზე დროშები აფრიალა, იხარა ქუთაისმა, ბათუმმა, მთელმა ქვეყანამ, მეორე დღეს კი მოისმინა, რომ ეროვნული ღირსება თერთმეტი კაცის ფეხებზე არ არის დამოკიდებული. ეს სიტყვები ერს მისმა თავდაცვის მინისტრმა უთხრა.

რა უნდა თქვა ასეთ დროს? ერთია, როდესაც ხალხის ზეიმს უბრალო მოქალაქე — თავი ისევ უმცროს ძმად რომ მიაჩნია და არც ფეხბურთი უყვარს — ვერ იზიარებს და მეორე, როდესაც მინისტრი გამოდის და ტელეეკრანიდან გეუბნება, ვაი შენს პატრონს, დიდი ამბავი, თუნდაც ერთ რამეში რომ გავიმარჯვეთო. უკაცრავად, გაიმარჯვეთო.

იქნებ ბატონ მინისტრს ასე არ ჰგონია, მაგრამ ხალხისთვის იგი იმ ხელისუფლების წარმომადგენელია, რომელიც გაზს და შუქს ურთავს, აუტანელ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში ამყოფებს, ნებისმიერი თონის და ჯიხურის წილში უჯდება, რომელსაც ლტოლვილები ჰყავს, ქუჩაში ასფალტს არ აგებს, რომლის ხელშიც სალამოობით შინიდან გასვლა რეკომენდებული არ არის, რომელიც დემონსტრაციულად იშენებს სრა-სასახლეებს და რომლისთვისაც რუსეთი ორია, კარგი და ცუდი. და მისგან, ამ ხელისუფლების წარმომადგენლისგან, შუა ზეიმის დროს იმის განცხადება, რომ ქუჩაში გასული ათეულობით ათასი და მათთან ერთად შინ მოზეიმე ასეულობით ათასი ადამიანი ბრიყვია, დიდი შეცდომა იყო. მინისტრი საჯარო პირია და სიტყვის მოზომვა მოეთხოვება.

საქართველომ რუსეთს მოუგო და თავდაცვის მინისტრს ეხ არ გაეხარდა!

# წვრთნა და ღირსება

**იყო დრო,** შუქი აღმოსავლეთიდან მოდიოდა. ლათინურად ასე ამბობდნენ — ექს ორიენტე ლუქს!

და რა მოდის ახლა აღმოსავლეთიდან? უარეს შემთხვევაში ოპიუმი, ტერორიზმი და თურქმენბაშობა, უკეთესში კი — გაზი და ნავთობი.

ხოლო შუქი ახლა დასავლეთიდან მოდის. ალბათ ასე უნდა ითქვას — ექს ოქციდენტე ლუქს! დასავლეთიდან მოდის ის ხალხიც, ვინც ქართველებს წვრთნის, რათა მათ რუსეთიდან მოსული ტერორისტებისგან თავი, იდეოლოგიისგან — დამოუკიდებლობა, ავძაღლობისგან კი — გაზი და ნავთობი დაიცვან.

დასავლეთიდან მოდიან ისინიც, ვინც ქართველებს რაგბისა და ფეხბურთის უკეთ თამაშსაც ასწავლიან და ვის მიერაც გაწვრთნილმა ბიჭებმა რაგბისა და ფეხბურთშიც რუსთა დამარცხება ისწავლეს.

მძიმედ, გაჭირვებით, მაგრამ საქართველო ხელახლა დასავლეთის ნაწილი ხდება — მისი უსაფრთხოების სისტემებით, მისი წვრთნითა და აღჭურვით, მისი ფეხბურთითა და რაგბით.

სულიერად და კულტურულად მახლობელ, მოკავშირე სამყაროში დაბრუნება, რუსეთისგან თავის, ტერიტორიებისა და — რაც ყველაზე მთავარია — ცნობიერების დახსნა ჩვენ ყველა ქართველის ღირსების საქმედ მიგვაჩნია.

ეგებ ასეც ვთქვათ: საზღვარი ჩვენს ღირსებასა და უღირსობას შორის საქართველო-რუსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე გადის. საზღვარზე, რომელსაც რუსული სიმბოლიკის მქონე ამოუცნობი ობიექტები მას შემდეგ ველარ ჰკვეთენ, რაც იქ ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავები დაფრინავენ.

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ეს სასაზღვრო ზოლი ოთხშაბათს კიდევ ერთხელ გაამკვეთრა.

და ერთი იგავიც:

14 აპრილს „ვაშინგტონ უიზარდსი" წლევანდელი რეგულარული სეზონის უკანასკნელ საშინაო მატჩს ატარებდა. მატჩს აშშ-ის თავდაცვის მდივანი, დონალდ რამსფელდიც დაესწრო და დიად მაიკლ ჯორდანს ამერიკული ღირსების სიმბოლო — 2001 წლის 11 სექტემბერს პენტაგონის თავზე მოფრიალე დროშა აჩუქა.



დონალდ რამსფელდი ალბათ არ ფიქრობს იმას, რომ ამერიკის ღირსება მაიკლ ჯორდანის კიდურებზე არ არის დამოკიდებული.

მან ნაღდად იცის ის, რომ ამერიკის ღირსებისთვის თანაბრად იბრძვის ყველა — საკალათბურთო მოედნებზე ოფლისმღვრელი ბიჭებიც და სადამ ჰუსეინის ფედაინებთან სისხლის დამთხევი ფეხოსნებიც.

და, სხვათა შორის, ისინიც, ვინც ქართველებს საქართველოს ღირსების დასაცავად წვრთნიან!

**ლევან ძელაურაძე**

# რას მაგრები ვართ, ჩვენ და შკრაინელები ვართ

**როცა** პუტინი და მისი რაზმი რუსეთის ეროვნულ ჰიმნად ყოფილი საბჭოეთის „საიუზ ნერუშიმის" ამტკიცებდნენ, ამ იდეის მოწინააღმდეგეებმა ივარაუდეს, რომ ექს-საბჭოურ ქვეყნებში ამ ჰიმნს სტვენა და წყევლა-კრულვა ელოდა, განსაკუთრებით სპორტული შეჯიბრებების დროს.

ჰოდა, აწი ჩვენ ნურაფერს დაგვაბრალებენ — ჰქონოდათ უტექსტო გლინკა და ცვებ წყნარად მოგვესმინა. თუმცა პანაცეა არც ესაა: პირველივე გასვლით მატჩში, რომელიც რუსეთის ნაკრებმა თავის ყოფილ „მოძმესთან" გამართა, უკრაინელმა გულშემატკივრებმა გლინკას გადასარევი მელოდიაც ჩაახშეს. ევროპის ჩემპიონატის ის შესარჩევი მატჩი რუსეთმა 2:3 წააგო.

კიევურ შეხვედრამდე სამი თვით ადრე კი დამოუკიდებელი რუსეთის ნაკრები პირველად ეთამაშა ყოფილ კოლონიას, თან იმას, ვისი ტერიტორიის მესამედი ხელშეურეელ დაიპყრო და, სამწუხაროდ, დღესაც ინარჩუნებს. მიხვდით ალბათ, ლაპარაკია იმ გარიგებულ ფრეზე, თბილისის ეროვნულ სტადიონზე მისულ ხალხს რომ მოუმზადეს.

ამ ორის გარდა და 30 აპრილამდე რუსეთის ნაკრებმა კიდევ 8 მატჩი გამართა „ბივში ესესერელებთან". აქედან სამი ოფიციალური გახლდათ (ქვედა სიაში მუქად გამოყოფილი) — მოკავშირე სომხეთი ორჯერ დაამარცხა, უკრაინასთან კი რევანშის აღება ვერ მოახერხა.

და აი, 30 აპრილი: საქართველო, ხორვატის თავკაცობით, ამარცხებს რუსეთს და მესამე ქვეყანა ხდება (თუ მხოლოდ შესარჩევებს ჩავთვლით — მეორე), ვინც წლების თუ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ბოღმა სწორედ საფეხბურთო მოედანზე ამოანთხია.

და დიდად გაიხარა კიდეც.

**გიგა კობახიძე**

**რუსეთის ნაკრების ყველა მატჩი ყოფილ კოლონიებთან**

| | | |
|---|---|---|
| 30.05.1998 | საქართველო — რუსეთი | 1:1 |
| **05.09.1998** | **უკრაინა — რუსეთი** | **3:2** |
| **27.03.1999** | **სომხეთი — რუსეთი** | **0:2** |
| 18.06.1999 | ბელარუსი — რუსეთი | 0:2 |
| **04.09.1999** | **რუსეთი — სომხეთი** | **2:0** |
| **09.10.1999** | **რუსეთი — უკრაინა** | **1:1** |
| 04.06.2000 | მოლდოვა — რუსეთი | 0:1 |
| 14.11.2001 | ლატვია — რუსეთი | 1:3 |
| 27.03.2002 | ესტონეთი — რუსეთი | 2:1 |
| 17.05.2002 | რუსეთი — ბელარუსი | 1:1 |
| **30.04.2003** | **საქართველო — რუსეთი** | **1:0** |




ესტონეთში ნასტუმრებ რუსებს იქაურმა რუსებმა გულის მოსაფხანი პლაკატები გაუშალეს

**სიახლე საქართველოში!**

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს
მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში

**სარო-არტპრინტი**

ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

## საქართველოს უმაღლესი ლიგა 14 ჩემპიონატი მეორე ეტაპი — 6 ტური

## I–VI ადგილები



ზურაბ ბათიაშვილს ბურთი კარისკენ ერთხელ მაინც გაეპარა

# მერებაშვილმა მკვდარი გააცოცხლა

## ვიტ ჯორჯია დინამოს უყურებს, სიონი — ტორპედოს

თბილისი. 2 მაისი. 18 საათი. შევარდენი. 1 000 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 1:0 სიონი

1:0 ე. მერებაშვილი (90)

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, ლ. მერებაშვილი (ე. მერებაშვილი 46), მუჯირი, ლ. ნოზაძე, დიდმელაშვილი, დ. დოლიძე (ყიფიანი 67), ბოლქვაძე, ადამია (დათუნაიშვილი 78), გველესიანი, მელქაძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; კვახაძე, ჯობაძე, ბერელიძე
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**სიონი:** ბათიაშვილი, ბაქრაძე, გოგიტაძე, ხუჯაძე, სვანიძე, ფანჩულიძე, გაბისკირია, დათვაძე (ბურნაძე 86), დაუშვილი (ე. გვასალია 35), შავგულიძე (სვანიძე 80), წივწივაძე
*სათადარიგონი:* ვილკოვი; ირემაშვილი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), მ. ურუშაძე; მ. მალაღურაძე (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი; **დირექტორი:** დ. ნამგალაძე

**ჯარიმა:** 11-16; **კუთხური:** 7-3; **კარში დარტყმა:** 8-3; **კარისკენ დარტყმა:** 12-4; **თამაშგარე:** 5-2

**კობა ინასარიძე**

**მსაჯის** საათი ბოლო წამებს ითვლიდა, როცა ბურთი ტყვიასავით ჩაეჭედა კარის ცხრიანში და „ვიტ ჯორჯიამ" აშკარა, თუმც მანამდე უშედეგო უპირატესობა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

მოედნის სიღრმიდან „სიონის" საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი, რომლისთვისაც ოცი ფეხბურთელი მაინც იბრძოდა, ბოლქვაძემ თავით მოიგო და იქვე მყოფ მერებაშვილს დაუგდო, მის ცრუ მოძრაობას აჰყვნენ სტუმარი მცველები და ბათიაშვილს ველარაფრით უშველეს — ერეკლე მერებაშვილის უძლიერესად დარტყმული აუღებელი გამოდგა.

არადა, „სიონიც" ცოდო იყო. სტუმრები მთელი მატჩი რომ იბრძოლნენ, თავს ყოჩაღად იცავდნენ და კონტრშეტევებზე გატანის ერთი-ორი ჩინებული შანსიც ჰქონდათ, სულ ბოლო წუთზე მოდუნდნენ და დაისაჯნენ.

ამ სამი ქულით „ვიტ ჯორჯია" დღევანდლამდე ცხრილში „დინამოსთან" ტოლადაა და დანარჩენებს ზემოდან დაჰყურებს.

ვიტელებს „დინამოს" ფეხის დაცდენამდე, ალბათ, ერთი სული აქვთ და მის „ტორპედოსთან" მატჩს იქნებ გულის ფანცქალითაც ელიან.

გუშინდელ მასპინძელთა უპირატესობა, ზემოთაც ვთქვით, მთელი მატჩისას აშკარა იყო. ეს სტატისტიკური მაჩვენებლითაც კარგად ჩანს.

პირველი რეალური მომენტი კობიაშვილის წამოწყებულ და მელქაძე-ბოლქვაძის გაგრძელებულ შეტევას მოჰყვა, როცა ადამია ბათიაშვილს პირისპირ შეეყარა, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა: ბურთიც მეკარემ იხელთა. ორიოდ წუთში უკვე მელქაძის თავურის შემდეგ გადარჩა „სიონი" — ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

მასპინძელთა მომდევნო შეტევას ჯარიმა მოჰყვა, ნოზაძის დარტყმულმა კი ძელს და ბათიაშვილის თითებს ერთად ჩაუქროლა.

მერე „სიონიც" გაუშინაურდა „ვიტ ჯორჯიას" ნახევარს, თუმც ხეირი ვერ ნახა. ერთ-ერთ ეპიზოდში არბიტრ სანაიას ეგებ მართებდა კიდეც მასპინძელი ფეხბურთელის დასჯა, მაგრამ ვისი ან რისი მოერიდა, ვერ გეტყვით. ჩანდა, რომ მცველს ბოლო იმედი ჰქონდა და თავდამსხმელი შეაჩერა, სანაიამ ჯარიმა დანიშნა, ვიტელს კი სიტყვიერი გაფრთხილება აკმარა.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა გარისკა, რაც თავადვე აღნიშნა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე: სამიდან ერთი, ცენტრალური მცველი დაისვენა და მის ნაცვლად თავდამსხმელი ათამაშა — მერებაშვილი მოგვარემ შეცვალა, შუა ხაზში კი გარკვეული ტაქტიკური გადაადგილებები მოხდა.

„ვიტ ჯორჯიასთვის" თითქმის ერთი იყო, წააგებდა მატჩს თუ ქულას აიღებდა, მასპინძლისთვის მოგება ფასობდა. ჰოდა, კარნევალის შეგირდები შეტევას მიეძალნენ და ზურგი მოიშიშვლეს, „სიონს" კი ხელ-ფეხი გაეხსნა და ოდნავ დაკვირვებულად რომ ეთამაშა, არ აჩქარებულიყო, „ვიტ ჯორჯია" გოლს ვერ გადაარჩებოდა.

ჯერ იყო და, ერთი მცველი სტუმართა ორმა ფორვარდმა დაჯაბნა, მაგრამ დათვაძის პასი წივწივაძემ ვერ შეირგო და მერლანთან პირისპირ დარჩენილს დარტყმა გაუცუდდა; მერე გვასალიას თავურს მერლანის შესაშური რეაქცია მოჰყვა, ერთი მომენტი დათვაძემაც ქარს გაატანა.

„სიონის" სხვა კონტრშეტევები მასპინძელთა საჯარიმოსთან მთავრდებოდა. ბათიაშვილმა კი მელქაძის დარტყმული, რომ იტყვიან, „მკვდარი" ბურთი მოიგერია და ერეკლე მერებაშვილის დამატებულიც უკუაგდო. ამასობაში მატჩისთვის წამატებული სამი წუთის ათვლაც დაიწყო. „ვიტ ჯორჯია" მთელი გუნდით უტევდა, მთელი „სიონი" თავს თავისავე საჯარიმოში იცავდა. ერთი ხიფათი, ორი და... აკი ვთქვი, ბოლოს ნოზაძემ საგოლე ჩააწოდა.

*თემურ მახარაძე, „სიონის" მწვრთნელი:*

— „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონობისთვის იბრძვის და ვფიქრობ, დღეს მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა. ვულოცავ მათ ამ გამარჯვებას, დაიმსახურეს. ჩვენ კი ოთხშაბათის ქუთაისთან ნახევარფინალის საპასუხო მატჩი გველის და ყვითელი ბარათების მიღების შიშით ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი — ვილკოვი, გვასალია, ბურნაძე და ირემაშვილი სათადარიგოდ გვყავდა, ხოლო როცა ქულის იმედი მოგვეცა, მაშინღა ვათამაშეთ. ასევე ძირითადის ფეხბურთელები — ისანი, კოშკაძე და ლეგაძე ტრავმირებულნი არიან. მოკლედ, „ვიტ ჯორჯიასთან" დღევანდელი მატჩი ჩვენთვის ერთგვარი რეპეტიცია იყო „ტორპედოსთან" ნახევარფინალამდე. საწყენია, რომ წავაგეთ, თანაც ბოლო წუთზე გაშვებული გოლით. ამ სიტყვებით მასპინძელთა თამაშის დაკნინება სულაც არ მსურს. ვიცოდით, რომ „ვიტ ჯორჯია" შემტევ ფეხბურთს ითამაშებდა და ჩვენც, ასე ვთქვათ, შეტევას შეტევით ვპასუხობდით, მაგრამ ფაქტობრივად ორი თავდამსხმელით და ორი მოიერიშე ნახევარმცველით დავიწყეთ, ნელ-ნელა კი ტაქტიკა გადავაწყვეთ და დაცვის ხაზი გავაძლიერეთ. მსაჯებს თავიანთი შემფასებელი ჰყავთ და კომენტარისგან თავს შევიკავებ.

*ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:*

— ფრე არ გვაკმაყოფილებდა და მეორე ტაიმში გავრისკე. ძალიან კარგი, დაძაბული მატჩი გამოდგა. სათვალავი ამერია, იმდენი ნაღდი მომენტი ვერ გამოიყენეს ჩვენმა ბიჭებმა, თუმცა ეს მეტოქის დამსახურებაცაა. ბევრჯერ მითქვამს, რომ „სიონი" სერიოზული გუნდია. მსაჯობას ვერც მე შევაფასებ, ეს არ მჩვევია, საგოლე შანსების ვერ გამოყენება რა მსაჯის ბრალია? გაგვეტანა მანამდე და საქმეს ადრე მოვამთავრებდით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 38 |
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 38 |
| ლოკომოტივი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:6 | 31 |
| ტორპედო | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 31 |
| სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 22 |
| კოლხეთი | 5 | 0 | 3 | 2 | 0:9 | 18 |

თბილისი. ლოკომოტივი. 3 მაისი. 18 საათი

**ლოკომოტივი — კოლხეთი**

თბილისი. ეროვნული. 3 მაისი. 18 საათი

**დინამო — ტორპედო**

# VII–XII ადგილები

რუსთავი. 2 მაისი. 18 საათი. ფოლადი. 1 500 (ტევადობა 12 000)

## გორდა 1:1 მილანი

1:0 ლ. ალადაშვილი (20), 1:1 მედოევი (78)

გორდა: ბედიაშვილი, კედელაშვილი, დ. ბერიძე, სილაგაძე, ზვ. ლაბაძე, ვ. ჩხაიძე, ჩოხელი (ჯ. თავბერიძე 58), კ. ალადაშვილი, ბ. ნოზაძე (სოხაძე 82), ლ. ალადაშვილი, ადეიშვილი (ჯელაძე 79)
სათადარიგონი: ჯანიაშვილი; არსოშვილი, სოზაშვილი, გაბრიჭიძე
მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

მილანი: მამალაძე, მეტონიძე, ჯაფარიძე, აკობია, ლ. ბოჭორიშვილი, ეგაძე (ღულუნაძე 57), ბარამიძე, გ. ჩხაიძე, ბაჯელიძე, დ. გოდერძიშვილი, მედოევი
სათადარიგონი: გიორბელიძე; მურჯიკნელი, ხარიძე, ეცადეიშვილი, გიორგაძე
მწვრთნელი: ზურაბ ბოჭორიშვილი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; ი. კახიანი (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: მ. ჟორდანია

ჯარიმა: 19-15; კუთხური: 5-5; კარისკენ დარტყმა: 4-2; კარში დარტყმა: 2-4; თამაშგარე: 2-3

პაატა კვანტალიანი რუსთავიდან

**უმაღლეს ლიგაში** დასარჩენად მებრძოლთა რუსთაველმა მატჩის შედეგმა სტუმარ-მასპინძელი უკმაყოფილო დატოვა. „გორდამ" „მილანს" ვერ მოუგო, ქიზიყელებმა კი უშუალო კონკურენტთან ქულათა სხვაობა ვერ შეამცირეს.

თავშივე ვთქვათ, რომ „გორდა" — „მილანს" სფფ-ის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ უდირექტორა. ჟორდანიას ამ ამპლუაში ყოფნა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რომან შოთაძის იდეას მოჰყვა. მისი აზრით, სფფ-ის მაღალჩინოსანთა დირექტორობა ჩემპიონატის მატჩებს სოლიდურობას შემატებს. გაამართლებს თუ არა ეს იდეა, ამას მომავალი გვიჩვენებს, ჩვენ კი ამაზე ლაპარაკი იმით დავამთავროთ, რომ ჟორდანიას სტუმრობამ თვით ქალაქის მერს, ფეხბურთთან მწყრალად მყოფ მერაბ ტყეშელაშვილსაც შეადგმევინა ფეხი სტადიონზე.

თავად მატჩი ვერაფერიშვილი სანახავი გამოდგა.

პირველ ტაიმში რუსთაველები სჯობდნენ სტუმრებს და ერთი-ორი გაცუდებული მომენტის შემდეგ ანგარიშიც გახსნეს. ალადაშვილური გოლი გამოვიდა — იასონმა კახას შეუძახა, ამან მოხდენილად ჩააწოდა ბურთი საჯარიმოში, იქ კი ლაშამ თავით ყველას დაასწრო და გაიხარეს გორდელებმა — 1:0.

რუსთაველებს ოთხი წუთის შემდეგაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ ზვიად ლაბაძეს თავური გაუცუდდა, მანვე ტაიმის ბოლოს ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა — მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მცირედით ააცილა ბურთი ნახტომდაგვიანებული მამალაძის კარს.

„მილანს" პირველ ტაიმში ერთადერთი საგოლე შანსი ჰქონდა, მაგრამ მცველებიდან ასხლეტილი ბურთი საჯარიმოში მყოფმა გოდერძიშვილმა კარს ააცილა.

მეორე ტაიმი ქიზიყელების იყო. „მილანი" დალაგებულად თამაშობდა, ტერიტორიული უპირატესობა და ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე შანსიც ჰქონდა. სტუმართა თამაში ღულუნაძის გამოჩენამ უფრო გაამწვავა. შეცვლაზე შესულმა ამ ფეხბურთელმა ლომის წილი დაიდო მედოევის ლამაზ გოლში — ღულუნაძე სამ მცველს დაუსხლტა და ბურთი საგოლედ დაუგორა „პანკისის ლომს", ამ უკანასკნელმა კი ოციოდე მეტრიდან მართლაც მოხდენილად ჩასვა ბურთი მეტოქის კარის ცხრიანში.



ლაშა ალადაშვილის ამ საგოლე თავურს...

# ჟორდანიამ მამას შვილი გააცნო



დირექტორი ჟორდანია და მერი ტყეშელაშვილი



... ქიზიყელებმა მედოევის ცხრიანით უპასუხეს

# ფრეზე გაყრა

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

**გუშინ** „დინამოზე" ჩვენი ჩემპიონატისთვის ჩვეული მორიგი უინტერესო სანახაობა ვიხილეთ. არადა, ცოტაოდენი ინტრიგა თითქოს მაინც უნდა ჰქონოდა ამ დაპირისპირებას. ერთი რომ, ქვეყნის ორი ლიდერი არკვევდა ურთიერთობას, მეორე ის, რომ გაოლიმპებულ მერანელებს წლევანდელი დებიუტი სწორედ ზღვისპირელებმა ჩაუშწარეს, მეორე ეტაპის პირველი ტურში მოუგეს. რევანში არ შედგა და მეტოქეები ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ.

რევანშის სურვილი თავიდან კი ეტყობოდათ სტუმრებს და საკმაოდ ფიცხლად დაწყებულ მატჩში მათი მცირე უპირატესობაც გამოიკვეთა. თუმცა პირველი ჩხვლეტა მასპინძლებისა იყო. საჯარიმოში მაღალ ბურთზე მოდებაძემ კარგად იბრძოლა და თავით ფირცხალაიშვილს დაუგდო. „ბათუმის" მოიერიშემ შეუჩერებლივ სცადა გატანა, მაგრამ ძლიერი დარტყმული ოდნავ აუცდა.

ამ ეპიზოდმა რატომღაც ჩააცხრო სტუმარ-მასპინძლის თავგამოდება და შესვენებამდე ერთი ხეირიანი მომენტიც კი ვერ ვნახეთ. მონდომება არც ერთ გუნდს არ აკლდა, მაგრამ რად გინდა — იმდენი ეშლებოდათ, მეტი რომ არ იქნება. ბურთიც ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა, იქიდან დაწყებული ნებისმიერი მოქმედება კი ყოვლად უნაყოფო გახლდათ.

ასე წვალებ-წვალებაში პირველი ტაიმიც მიილია. თამაშის განახლებას ასლან ბალაძის შეგირდთა ოდნავი გამოცოცხლება მოჰყვა. ამ 15-წუთიან მონაკვეთში სამი მომენტი შეიქმნა და სამივე სტუმართა კართან.

ჯერ იყო და, მოდებაძემ ქაცარავას ჩაწოდებულს თავური დაჰკრა, მაგრამ ბურთი პირდაპირ ნაჭყეპიასკენ მიმართა.

ცოტა ხანში კობიძეს შორეული მძლავრი აბრაგანი გამოუვიდა და ბურთმა ახლოს ჩაუქროლა სტუმართა კარის მარჯვენა ძელს. ეს რომ არა, უეჭველი გოლი იქნებოდა, რადგან ადგილზე გაშეშებული ნაჭყეპია ამღები ნაღდად არ იყო.

ხუთიოდ წუთში კი ნაჭყეპიამ „მერანი-ოლიმპი" აშკარა გოლისგან იხსნა. ფირცხალაიშვილმა მარჯვენა ფლანგზე ივარგა და კარის წინ მარტოდ მდგარ თედორაძეს თავზე დაასვა ბურთი. ამანაც შვიდი მეტრიდან ძლიერადაც დაარტყა და ზუსტადაც. ცხრიანში მიმართულ ბურთს სტუმართა მეკარემ შესაშური რეაქცია შეაგება.

ეს იყო და ეს. დარჩენილ ნახევარ საათში კვლავ პირველი ტაიმის დარი ბურთაობა გაჩაღდა. ოღონდ გაცილებით კონტაქტური და ჯარიმებმაც იმატა. ავთანდილ ორდინიძემაც სამჯერ ჯიბეზე გაიკრა ხელი, თუმცა რამდენიმე ისეთ გინებას წაუყრუა, ტრიბუნებზეც რომ მკაფიოდ ისმოდა.

სტუმართაგან ვეტერან სულიკო დავითაშვილს თუ გამოარჩევდა კაცი. მან მართლაც იბრძოლა, ბევრიც იმოძრავა, მაგრამ მარტომ ვერაფერი მოუხერხა „ბათუმის" უკანა ხაზს. მიუხედავად ამისა, „აბრეზა" ალბათ ერთ-ერთი ნათელი წერტილი იყო ამ შეხვედრაში.

ბათუმი. 2 მაისი. 18 საათი. დინამო. 1 000 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 0:0 მერანი-ოლიმპი

ბათუმი: ქვაჩახია, მახარაძე, გურეშიძე, გუშარაშვილი, შენგელია, კობიძე, ქაცარავა, რომანაძე (თედორაძე 46), დარჩიძე, მოდებაძე, ფირცხალაიშვილი
სათადარიგონი: ი. ბალაძე; ლებანიძე, ფურცხვანიძე, დუმბაძე, ცინცაძე, სეფერთელაძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

მერანი-ოლიმპი: ნაჭყეპია, მიქიაშვილი, სიდამონიძე, ხარებავა, გოგიჩაიშვილი, ელიავა, მესხი, ხოჯავა, აფციაური, დავითაშვილი (ნინუა 90), მიკუჩაძე (ნადირაშვილი 88)
სათადარიგონი: გაბელია; ლოლაძე, მალაზონია, კიკაჩეიშვილი
მწვრთნელი: ნიკოლოზ დოლიძე

გაფრთხილება: აფციაური (67), შენგელია (67), მესხი (70)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; პ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: ა. გრეკოვი

ჯარიმა: 19-23; კუთხური: 3-3; კარისკენ დარტყმა: 3-2; კარში დარტყმა: 2-1; თამაშგარე: 1-4

გორი. 2 მაისი. 18 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 1 000 (ტევადობა 8 230)

## დილა 4:0 მეტალურგი

1:0 მუშკუდიანი (6), 2:0 მორჩილაძე (21), 3:0 საყვარელიძე (81), 4:0 სულთანიშვილი (89)

დილა: სოლოლაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, საყვარელიძე, სულთანიშვილი, გილაური, მორჩილაძე (გ. ჩიტაია 51), ფეზუაშვილი, მუშკუდიანი (ხანიშვილი 54), ახალაძე (მარღიშვილი 56), ლ. გოჩაშვილი
სათადარიგონი: ოლგესაშვილი; მ. სომხიშვილი, არუდაშვილი
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

მეტალურგი: მდინარაძე, ნახრაძე, წიქარიშვილი, შველიძე, კვანტრიშვილი, ე. მაღლაკელიძე, მანჯავიძე (მ. ბოგვერაძე 66), კ. თავბერიძე (მამუკაშვილი 24), ჭუმბურიძე, გ. ბოგვერაძე (გ. შავგულიძე 56), ნიშნიანიძე
სათადარიგონი: ლეინიანიძე; კაპანაძე, ჭუმბაძე
მწვრთნელი: გურამ მაზმიშვილი

გაფრთხილება: მუშკუდიანი (23), გილაური (37), მანჯავიძე (39), წიქარიშვილი (68)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა; დირექტორი: ნ. კაკულია

ჯარიმა: 11-12; კუთხური: 8-3; კარისკენ დარტყმა: 6-1; კარში დარტყმა: 10-1; თამაშგარე: 11-3

# დაურტყით სოლოლაშვილსა!

მამუკა კვანტალიანი გორიდან

**სეზონის** დასაწყისში ზესტაფონელები თავს იწონებდნენ, ისეთი გუნდი შევკრიბეთ, ლიგაში ადგილს უპრობლემოდ შევინარჩუნებთო. ის „მეტალურგი" თანდათან ისე ათამაშდა, რომ დასცლოდა, ალბათ, ზექვსულშიც ვიხილავდით. ზაურ ჩუბინიძის გუნდი ფინანსურ პრობლემებს და ცალკეული პირების ვიწრო ინტერესებს შეეწირა და ვინ იცის, კიდევ რომლის ელორსებათ ზესტაფონელებს უმაღლეს ლიგაში მოთამაშე კლუბი.

დღევანდელი „მეტალურგი" რომ გასავარდნად განწირულია, ბეჭედდასმული ამბავია, მაგრამ არც სამომავლო პერსპექტივა უჩანს. გურამ მაზმიშვილის შეგირდები ახალგაზრდა ბიჭები კი არიან, მაგრამ ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, რომ პირველ ლიგაშიც გაუჭირდებათ.

ჰოდა, გუშინ „დილამ" უწვერულ სტუმარს მესამედი ძალით რომ მოუგო, არავის გაჰკვირვებია. ხორგუაშვილის გუნდმა ოთხი უპასუხო გოლი ხომ გაიტანა, ერთი ამდენი საგოლე მომენტიც ქარს გაატანა.

თამაში დაიწყო თუ არა, ზესტაფონელებმა მეტოქის შეჩერება ხელოვნური თამაშგარეთი სცადეს. „მეტალურგმა" თერთმეტჯერ უნაკლოდ გამოიყენა აღნიშნული ხერხი, მაგრამ სულ ცოტა ათჯერ შეცდომა დაუშვა და „დილას" ორი გოლიც იმ შეცდომების შედეგი იყო.

ჯერ ახალაძემ შეატოვა მუშკუდიანი სტუმართა მეკარეს, მერე ლომიძემ გაიყვანა პირისპირ მორჩილაძე. გატანა არც ერთს გასჭირვებია.

მეორე ტაიმში აბა, რა შეიცვლებოდა, სტუმარი საკუთარ ნახევარს ვერ სცილდებოდა, ხოლო თავდაჯერებული მასპინძელი ძალების სრული დაზოგვით აგორებდა ბურთს.

პირველი ტაიმის მონაგარს მეორეში საყვარელიძემ და სულთანიშვილმა თითო გოლიც მიუმატეს. ორივემ ზუსტი თავურის შემდეგ იხეირა. მალევე ჩასტვინა არბიტრმა კიკაჩეიშვილმაც, რომელმაც ოთხჯერ იმიტომ ააფრიალა მოედანზე ყვითელი ბარათი, რაიმე დასამახსოვრებელი რომ დაფიქსირებულიყო.

ნამატჩევს, როცა ფეხბურთელებმა გასახდელს მიაშურეს და სტადიონი ქომაგებისგან დაიცალა, გორელთა მეკარე რამაზ სოლოლაშვილმა, რომელიც ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ გუშინ პირველად ჩადგა კარში, ერთ-ერთი მწვრთნელი იხმო და ვარჯიში დაიწყო. აბა, ზესტაფონელებს ერთხელაც არ შეუწუხებიათ...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 6 | 4 | 2 | 0 | 9:1 | 25 |
| ბათუმი | 6 | 3 | 2 | 1 | 5:2 | 21 |
| მერანი-ოლიმპი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:3 | 20 |
| გორდა | 6 | 2 | 3 | 1 | 5:2 | 16 |
| მილანი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:4 | 13 |
| მეტალურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:17 | 10 |

# მილანმა გაუტია მიზანში გუტია






კარლო ანჩელოტის გუტი გულით უნდა

**კარლო** ანჩელოტისა და რივალდოს ცხვრებმა „სან სიროზე“ ერთად ვერ მოძოვეს. ბრაზილიელი ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ზის და მწვრთნელი ხანდახან შეცვლაზე თუ ათამაშებს. სავარაუდოდ, რივალდო სეზონის ბოლოს მილანიდან აიბარგება. „შავ-წითლებს“ მისი შემცვლელი უკვე შეუგულებიათ და თვალი ხოსე მარია გუტიერესისთვის, ანუ გუტისთვის დაუდგამთ. „მილანის“ ჩანაფიქრი ასეთია: მეტოქის კარს ფილიპო ინძაგი და ანდრეი შევჩენკო შეუტევენ, ზურგიდან კი მათ გუტი მოამარაგებს. იტალიური კლუბის ბოსთა აზრით, ასეთი ტრიო ეფექტური იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ვისენტე დელ ბოსკეს გუნდში გუტი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება (რაულის ოპერაციამდე ასე იყო), ამ ტრანსფერის განხორციელება სავსებით შესაძლებელია.

ესპანელი ფორვარდის გადაბირება „ინტერსაც“ ძალიან სურს. მომავალ სეზონში ექტორ რაულ კუპერი რობერტო მანჩინიმ თუ შეცვალა, იგი კლუბის პრეზიდენტს გუტის შეძენას მოსთხოვსო, ამტკიცებენ იტალიური წყაროები.

მილანურ ბობოლებს ამსტერდამის „აიაქსიდან“ კრისტიან კივუს გადაყვანაც სწადიათ. „ინტერის“ და „მილანის“ მოციქულები ამსტერდამს ეწვივნენ, მაგრამ იქიდან დაზაფრულები დაბრუნდნენ. რუმინელი ფეხბურთელის ფასი — 18 მილიონი დოლარი — რომ შეიტყვეს, დაფრთხნენ.

რადგან „მილანით“ დავიწყეთ, აქვე ერთიც დავამატოთ. მადრიდის „ატლეტიკოში“ განათხოვრებული დემეტრიო ალბერტინი, შესაძლოა, „სან სიროზე“ დაბრუნდეს. „ესპანეთში მიჭირს, მილანში დაბრუნების პერსპექტივამ გამახარა“ — თქვა ალბერტინიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**




# აი, თურმე რა ყოფილა!

## ლუჩანო მოჯიმ „იუვენტუსი“ მარკას მიჰყიდა

*„იუვენტუსი“ სკუდეტოს და ჩემპიონთა ლიგის ფინალს ეპოტინება. იტალიაში „ინტერი“ გვარიანად ჩამოიტოვა, ევროპული გზიდან კი მადრიდის „რეალის“ ჩამოცილებასაც აპირებს. „ბებერი ქალბატონი“ ბრწყინვალე ფორმაშია. ტურინული კლუბის გენერალურ დირექტორ ლუჩანო მოჯის მადრიდული „მარკა“ ესაუბრა.*

**— „იუვენტუსი“ „ლაციოს“ თუ მოუგებს, მადრიდს ალბათ უკეთესი განწყობით ესტუმრება...**

— „ლაციოსთან“ გამარჯვებაზე ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება მადრიდში ჩასვლას, ჩვენც არც „რეალის“ გვეშინია და არც სხვა რომელიმე გუნდისა. მეტოქეს, როგორც უდიდეს კლუბს, პატივს ვცემთ, მაგრამ წასაგებად არ მივემგზავრებით.

**— „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოგებაზე ოცნებობთ?**

— ამჟამად არა, მატჩის დაწყებამდე კი აუცილებლად ვიოცნებებ.

**— შესაძლებელია, რომ „გალაქტიკურ“ „რეალს“ „იუვენტუსმა“ სძლიოს?**

— რა ბრძანეთ? „გალაქტიკური“ რას ნიშნავს?

**— ეს ნიშნავ ზიდანს, რონალდოს, ფიგუს, რაულსა და რობერტო კარლოსს ერთად.**

— აი, თურმე რა ყოფილა! ვიმედოვნებ, ისინი მოედანზე შეჭმას არ გვიპირებენ. ყველაფერი გაცილებით მარტივია — თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ. გამორიცხულია, რომ „რეალს“ „იუვენტუსის“ ოდნავ მაინც არ ეშინოდეს.

**— ორმატჩიანი ბრძოლა პრიმერადივიზიონისა და სერია A-ს შორის უძლიერესს გაარკვევს?**

— სამი იტალიური კლუბი უკვე ნახევარფინალშია, რაც იტალიური საკლუბო ფეხბურთის ძალაზე მეტყველებს. თან „იუვენტუსმა“ „ბარსელონა“ უკვე ჩამოიშორა, რომელიც, პრიმერადივიზიონის ცხრილში დაკავებული ადგილის მიუხედავად, საკმაოდ ძლიერი გუნდია.

**— ნახევარფინალში ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

— უცნაური კითხვაა. რა თქმა უნდა, „იუვენტუსი“. „იუვე“ ფავორიტია ნებისმიერ მატჩში, ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ.

**— ხუთი წლის წინ ამსტერდამში, „რეალთან“ წაგებული ფინალიც გეხსომებათ...**

— ამსტერდამში „რეალმა“ თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლით იმარჯვა, მაგრამ ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა არ დაგვიწყია.

**— ყოფილ თანაგუნდელებს ზიდანი დაუხვდება...**

— მერწმუნეთ, რომ ჩვენ ყველანი კმაყოფილები ვართ „რეალში“ მისი თამაშითაც და იმ ფულითაც, რომელიც ზიდანის სანაცვლოდ მივიღეთ.

**— თავის დროზე, მადრიდში ფრანგის გადასვლამ თქვენ აშკარად გული დაგწყვიტათ...**

— ეს გასაგებიცაა, „იუვენტუსმა“ გენიოსი გაუშვა, მაგრამ უმისოდ დარჩენილებმა პირველივე სეზონში სკუდეტო მოვიგეთ, რასაც მასთან ერთად ვერ მივაღწიეთ.

**— პაველ ნედვედი გუნდისთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ზიდანი?**

— არა, მაგრამ ნიჭიერის ნაცვლად ჩვენ შევიძინეთ ფუტკარივით მშრომელი, მებრძოლი მოთამაშე.

**— ზიდანს რომ შეხვდებით, რას ეტყვით?**

— რა უნდა ვუთხრა? გადავეხვევი და მოვიკითხავ „ზიზუ“ დიდებულად მობურთალია, უპირველეს ყოვლისა, ბრწყინვალე პიროვნებაა.

**— მადრიდის „რეალიდან“ რომელიმე ფეხბურთელის შეძენაზე ხომ არ ფიქრობთ?**

— არა. საიუვენტუსოდ არ გამოდგებიან.

**— ამბობენ, თითქოს თქვენც და ფლორენტინო პერესსაც პატრიკ ვიეირას გადაბირება გსურთ...**

— სულ არ მაინტერესებს. ვიეირა არ მომწონს და მადრიდელებისთვის დამითმია.

**— დავიდ ტრეზეგე სეზონის ბოლოს გუნდიდან წასვლას აპირებს?**

— ტრეზეგეს საფასურის გადამხდელი კლუბი არ არსებობს.

**— „იუვენტუსის“ წარმატების საიდუმლოს გაგვანდობთ?**

— „იუვეს“ გამარჯვებულის ფსიქოლოგია და მოგების სურვილი სისხლში გაუჯდა. ჩვენ შესაძენ ფეხბურთელს მხოლოდ ამ ნიშნის მიხედვით ვარჩევთ. სულ ესაა მთელი საიდუმლო.



იოჰან კრუიფს „ბარსელონაზე“ ლაპარაკს აბა, ვინ აუკრძალავს



არ გაგიკვირდეთ, ოლივერ კანი ბარსელონელი რომ გახდეს

# დიდი ამბები ცოტა-ცოტა

## იოჰან კრუიფი კამპანიაში გაერია

ერთადერთი, რაც წლეულს „ბარსელონამ“ შეიძლება დაისაკუთროს, უეფას თასის საგზურია. კატალონიელებს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი გვერდზე დარჩათ, ესპანეთის თასი გულზე არასოდეს ეხატებოდათ, პრიმერადივიზიონის მოგება კი ტკბილი ზღაპარია. ყველა ამ უბედურებასთან ერთად კლუბი უპრეზიდენტოდაა და არჩევნები ივნისში გაიმართება. იმის შესახებ, თუ რა ხდება გუნდში და მის გარშემო, ქვემოთ გიამბობთ.

„ბარსას“ კაპიტანმა ლუის ენრიკემ თქვა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ევროკუბში შევაღწევთ და მომავალ სეზონში უეფას თასზე ვითამაშებთო: „გასულ ტურში გამარჯვებამ მთელი გუნდი ოპტიმისტურად განგვაწყო. ბოლომდე ვიბრძოლებთ, რათა ცხრილში შეძლებისდაგვარად მაღალ საფეხურს შევწვდეთ. მიუხედავად ამისა, ვაღიარებ, რომ ამჟამად ზუსტად იმ ადგილზე ვართ, რომელსაც ჩვენი თამაშით ვიმსახურებთ. შემადგენლობის გაძლიერება აუცილებლად გვჭირდება. „ბარსას“ ქომაგებს სიხარული მოსწყურდათ და ვფიქრობ, რადომირ ანტიჩი თუ დარჩება, ერთად შევძლებთ ამ მდგომარეობიდან გამოსვლას“.

რადომირ ანტიჩის მსგავსად, „ლაციოდან“ „ბარსელონაში“ განათხოვრებული გაისკა მენდიეტას ბედიც გაურკვეველია. მან დაზუსტებით არ იცის, კარიერას კატალონიაში გააგრძელებს, „ლაციოში“ თუ „ვალენსიაში“ დაბრუნდება. გამორიცხული არაა, რომ „ვალენსიამ“ მენდიეტა რომაელთაგან მოითხოვოს, რადგან „ლაციოს“ ბასკის სანაცვლოდ თანხა სრულად ჯერ არ გადაუხდია.

„ბარსელონაში“ დარჩენა ძალიან მსურს — თქვა ფეხბურთელმა — იგი უდიდესი კლუბია. დასანანია, რომ წლეულს ჯილდოების გარეშე დავრჩით და მეც სუსტად გამოვიყურებოდი იმედი მაქვს, მომავალ სეზონში უკეთესად ავთამაშდები. რა ბედი მელის, ვერ გეტყვით, ყველაფერი ფულთანაა დაკავშირებული და ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაირკვევა“.

ამასობაში ოლივერ კანის „ბარსელონაში“ გადასვლის თაობაზეც ალაპარაკდნენ. ლამაზმანებში ხეტიალმა მეკარეს გერმანიაში ცხოვრება აუწეწა და პრესამ გვარიანად შეუკიკინა. კანის აგენტები კატალონიაში ჩასულან და „ბარსელონაში“ პრეზიდენტობის კანდიდატებთან შესაძლო ტრანსფერზე ისაუბრეს.

„ბარსაზე“ ლაპარაკს ლეგენდარული იოჰან კრუიფის გარეშე ვერ დავასრულებთ. „მფრინავი ჰოლანდიელი“ სულ „ბარსელონას“ გარშემო ტრიალებს და გუნდის შემხედვარეს გული უკვდება. იოჰან კრუიფი საპრეზიდენტო არჩევნებში თავად არ აპირებს მონაწილეობას, მაგრამ საარჩევნო კამპანიაში თავის ყოფილ მოთამაშეს, ჩიკი ბეგირისტაინს ეხმარება. ჰოლანდიელმა, რომელსაც „ბარსელონას“ მწვრთნელ-პრეზიდენტები უამრავჯერ გაუკრიტიკებია, თქვა: „არავის აქვს მორალური უფლება, ამიკრძალოს „ბარსელონაზე“ საუბარი მას შემდეგ, რაც გუნდს 30 წელიწადი შევწირე. ხოლო თუ ვინმე „ბარსელონას“ ავნებს, არ დავინდობ. ამის უფლება მაქვს“.

**ვაჟა ხუციშვილი**










# შურისძიება
## მე ყველას გაჩვენებთ!

*ბოლო სამი დღეა გერმანიაში გაზეთ „ბილდზე" მოთხოვნა გაიზარდა. ამ პოპულარულ, თუმც ცოტა ბულვარულ გამოცემას მკითხველი არც აქამდე აკლდა, მაგრამ რაც „ბილდმა" შტეფან ეფენბერგის ჯერაც არ გამოსული ავტობიოგრაფიული წიგნიდან ნაწყვეტების ბეჭდვა დაიწყო, გაზეთს მკითხველი მოემატა.*

*„ერთი თვის წინ ბუნდესლიგას სამუდამოდ გამოვეთხოვე. მაგრამ დამრჩა ბევრი სათქმელი, ისეთი ფაქტები, რომლებსაც მინდა ნათელი მოვფინო, ამიტომაც დავწერე ეს წიგნი" — ამბობს შტეფანი.*

*ასე რომ, „ეფეს" წიგნი ფეხბურთის ქომაგებს ბევრი საინტერესო ამბის გამხელას პირდება. ბევრ საიდუმლოს აეხდება ფარდა, თუმცა ერთი რამ აქედანვე ცხადია — ეს წიგნი შურისძიებაა, შურისძიება იმ ხალხის მიმართ, ვისაც ოდესმე დიდი ფეხბურთელისთვის უწყენინებია. არ გჯერათ? მაშინ „ბილდში" უკვე გამოქვეყნებულ სტატიებს მიადევნეთ თვალი.*

*მოდით, სიყვარულით დავიწყოთ, იმ სიყვარულით, რომელსაც ერთი წლის წინ ჩაეყარა საძირკველი და რომელმაც მთელი გერმანია შოკში ჩააგდო: „ეფემ" მეუღლე მარტინა და სამი შვილი დატოვა და მეგობარ თომას შტრუნცის ცოლის, კლაუდიას სარეცელი გაიზიარა. აგერ უკვე წელიწადია შტეფანი და კლაუდია წყვილად დადიან.*

## ვერაგობა და სიყვარული

„შარშან გაზაფხულზე კლაუდიამ დამირეკა და მკუბნება, მიუნხენში ჩამოვდივარ სამსახურის საქმეებზე და ხომ არ შევხვდებოდით ერთმანეთს. მე უყოყმანოდ დავთანხმდი და დავამატე, მარტინა ბავშვებთან ერთად მაიამიშია დასასვენებლად, ასე რომ, მცალია და სადმე გავიდეთ-მეთქი. ჩვენ იმ დროს უბრალოდ კარგი მეგობრები ვიყავით, ჩვეულებრივი მეგობრები და მეტი არაფერი, თუმცა იმ შეხვედრამ ყველაფერი შეცვალა.

იმ დროს კლაუდიასა და თომასს შორის ყველაფერი კარგად ვერ იყო, პრობლემები ჰქონდათ. ისევე როგორც მე და მარტინას. ჩვენს შორის უეცრად დიდი უფსკრული გაჩნდა. ეს მას მერე მოხდა, რაც შევიტყვე, რომ მარტინას ამერიკაში ვიღაც მეგობარი კაცი ჰყავდა. თუმცა რა ურთიერთობა ჰქონდათ, ეს ჩემთვის იმ პერიოდში უცნობი იყო. ჰოდა, კლაუდიამ იმ საღამოს ვახშამზე დამპატიჟა. არ გვინდოდა სადმე რესტორანში წასვლა და ერთად გამოჩენა, რადგან ამით ხალხს სალაპარაკოს მივცემდით. ამიტომაც სასტუმრო „არაბელა შერატონში" შევხვდით, სადაც კლაუდიას ნომერი ჰქონდა აღებული. საწოლზე ვისხედით, ვსაუბრობდით, ვიცინოდით, სუშის მივირთმევდით... ამ დროს ტელევიზორში ხავიერ ნაიდოოს კლიპი დაიწყო — „სად მიდიხარ?" ამ სიმღერას ჩვენი თვალებში შეხედვა და დაუვიწყარი კოცნა მოჰყვა. იმ საღამოს მეტი არაფერი მომხდარა. მეორე დღეს კი კლაუდია გაფრინდა. აეროპორტიდან რომ მოვდიოდი ვგრძნობდი, შეყვარებული ვიყავი.

6 აპრილის „ვერდერთან" საშინაო შეხვედრის დასრულებისთანავე დიუსელდორფში გადავფრინდი და ერთმანეთს სასტუმროში შევხვდით. მინდოდა დავლაპარაკებოდი, თუმცა დიდხანს არ გვისაუბრია, უკვე ცხადი იყო, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა. საოცარი ღამის მერე დილაადრიან მიუნხენში დავბრუნდი, 10 საათზე ვარჯიში გვქონდა, გამოუძინებელი და დაღლილი წავედი ვარჯიშზე, გზიდან კი კლაუდიას მესიჯი გავუგზავნე — ეს ღამე არასოდეს დამავიწყდება, საოცარი იყო. ცელოფანს, შენ ხარ გამოსახული, თვალს ვერ ვაშორებ, ასე მგონია ჩემს გვერდით ხარ. შტეფანი.

კლაუდია იმ დროს მოდელად მუშაობდა და რეკლამებში იღებდნენ. მისი სახე თითქმის ყველაფერზე იყო გამოსახული და მათ შორის იმ პარკზეც, მანქანაში რომ მედო.

ვარჯიშიდან რომ ვბრუნდებოდი მობილური ჩავრთე, ავტომოპასუხეში კლაუდიას დატოვებული ინფორმაცია დამხვდა — დამირეკე სასწრაფოდ, ყველაფერი გაგვიგეს.


თომასი

თურმე თომასი კლაუდიას აკონტროლებდა და მის მესიჯებსაც კითხულობდა, ჰოდა, ჩემი გაგზავნილი მესიჯი წაუკითხავს, კლაუდია ულანძღია, გავარდნილა, არყით დამთვრალა, მერე უკან დაბრუნებულა და მთელი ჭურჭელი დაულეწავს. კლაუდიას რომ ველაპარაკე, ტიროდა, თუმცა ვუთხარი, რომ მას არ მივატოვებდი და ყველაფერში დავეხმარებოდი. ამ დროს თომასმაც დამირეკა და ღრიალით მეუბნება: „ღორო, ცოლი გინდა დამაწერო? კიდევ რომ დაურეკო, იცოდე მოგკლავ." მე არაფერი მიპასუხია, მესმოდა მისი. თუმცა ისიც ვიცოდი, რომ არც თავად იყო ანგელოზი და ვიღაც სხვა ქალი ჰყავდა.

მე და კლაუდიამ გადავწყვიტეთ რამდენიმე დღე საერთოდ არ გვენახა ერთმანეთი. თუმცა ორ დღეზე მეტი ვერ გავძელით. კლაუდიამ დამირეკა და მითხრა, შევხვდეთ, თვალებში ჩავხედოთ ერთმანეთს და გადავწყვიტოთ: ან კი, ან არა.

აპრილის ბოლოს მიუნხენში შევხვდით ერთმანეთს. დიდხანს არ გვისაუბრია, ყველაფერი ჩვენმა ტუჩებმა გადაწყვიტეს. ჩვენ ვიცოდით რასაც ვაკეთებდით, ვიცოდით, რომ ჩვენი საქციელი მარტო ჩვენ კი არა, ხუთ ბავშვსაც ეხებოდა, ჩვენს შვილებს. ვიცოდით, რომ დიდი პასუხისმგებლობა გვქონდა მათ წინაშე აღებული და ჩვენი მოვალეობა უნდა შეგვესრულებინა.

კლაუდიაც, ფაქტობრივად, ქუჩაში დარჩა, თომასმა კრედიტკარტები წაართვა და დაუჭრა, მანქანაც წაართვა. კლაუდიას სახელზე მაშინვე ანგარიში გავხსენი და ცოტაოდენი ფული დავუდე, რათა საარსებო სახსრები ჰქონოდა. თომასი ურცხვად მოიქცა, შვილებისთვის საბავშვო ბაღის ფულიც კი არ მისცა, მე რომ არ ვყოფილიყავი კლაუდიას ქუჩაში მოუწევდა ცხოვრება.

ცოტა ხანში კლაუდია ჩემს მშობლებს წარვუდგინე. სახლში მივედი და დედაჩემს და მამაჩემს ვუთხარი, კარგი იქნება თუ დასხდებით, რაღაც უნდა გითხრათ, რაც ვიცი, არ მოგეწონებათ. მე და მარტინა ერთმანეთს ვშორდებით. მე უკვე სხვა პარტნიორი მყავს. მას კლაუდია შტრუნცი ჰქვია და ახლა მანქანაში მელოდება.

— ასეა, შვილო. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება — მიპასუხა მამამ.

მე და მარტინა ოფიციალურად თებერვალში განვქორწინდით. მარტინამ თვითონ შეიტანა განქორწინებაზე საბუთები ისე, რომ ჩემთვის არც უკითხავს. მისმა საქციელმა ცოტა გამაღიზიანა. მე მასთან ერთად 12 წელი გავატარე, 12 შესანიშნავი წელი, რომლის განმავლობაშიც 3 შვილი მაჩუქა. ჩვენს შორის ყველაფერი 1989 წლის მარტში დაიწყო. ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ მის მეგობარ გოგოს კარგი დაქალი ჰყავდა, რომელიც მე მომიხდებოდა. ჰოდა, ერთხელაც ოთხივენი დისკოთეკაზე წავედით. მარტინა რომ დავინახე შოკში ჩავვარდი ისე გამოიყურებოდა, მოკლე ტყავის ქურთუკი ეცვა, მოტკეცილი შარვალი, ძალიან მოკლე ქერა თმა. ისეთ ფორმაში იყო, თითქოს დისკოთეკაზე კი არა, მოტოციკლეტით სასეირნოდ მიდიოდა.


მარტინა

საღამო ძალიან „წარმატებული" გამოვიდა. ისე დავთვერი, რომ სახლში მოსულს აღარაფრის თავი აღარ მქონდა, ტუალეტში შევედი და ვაღებინე, თან უნიტაზს ვებღაუჭებოდი შიგ არ ჩავვარდნილიყავი. დილით რომ გამეღვიძა, უკვე წასულიყო. მეგონა ცხოვრებაში ველარ ვნახავდი, თავს შერცხვენილად ვგრძნობდი, მაგრამ მალე ძალიან დავახლოვდით.

თუმცა ახლა ჩემი გული კლაუდიას ეკუთვნის. ჩვენ იმდენად გვიყვარს ერთმანეთი, ახლახან სვირინგებიც კი გავიკეთეთ. მარცხენა მკლავზე ჩემი სახელი EFFE მაქვს ამოსვირინგებული, იქვე ციფრი 51, მის ქვევით კი X კლაუდიას საპატივცემულოდ. 51 კი ჩვენი რიცხვია. ერთხელ კლაუდიამ მითხრა, რომ ჩემთან ერთად 50 წელიც სიამოვნებით იცხოვრებდა, მე მეცოტავა. აბა, რამდენიო, მკითხა. სულ მცირე, 51-მეთქი. ეს რიცხვი მანაც ამოისვირინგა, ოღონდ მარჯვენა მკლავზე, სადაც 51-ის გარდა 1 და X აქვს გამოსახული.

კლაუდია ჩემი ოცნების ქალია. იგი ძალიან ეროტიულია. ამავე დროს არის საოცრად კარგი დედა. ახლა მისი გაყრის ამბის მოგვარებას ველოდებით და მერე, ალბათ, ვიქორწინებთ კიდეც.

**ვანო ოქროპირიძე**

*ბერლინიდან*

# ჯერ გერმანიას ჰკითხეთ
## გააბევრებს მსოფლიოს ფიფა?


ფრანც ბეკენბაუერი

ეგებ დღეს ფიფამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღოს: შესაძლოა, ყველაფერი თავდაყირა დადგეს და უკვე 2006 წელს, ანუ მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე 32-ის ნაცვლად 36-მა გუნდმა ითამაშოს. ეს იდეა, თუ გახსოვთ, კონმებოლელებს გაუჩნდათ, როცა ადგილების ახალი გადანაწილების შედეგად სამხრეთ ამერიკას გერმანიის მუნდიალზე ოდენ ოთხი ადგილი ერგო და მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიასაც შესარჩევ ტურნირში თამაშში უბრძანეს.

დღეს ფიფას აღმასკომის სხდომაა და ფორმატის შეცვლის საკითხზე იმსჯელებენ. ოღონდ, ამ საკითხის გადაწყვეტა ორი ათეული კაცის სურვილზეც არ არის დამოკიდებული. თავდაპირველად გერმანიას უნდა მოუსმინონ — გერმანია ხომ 32 გუნდის დასახვედრად ემზადება და თუ ოთხი გუნდიც დაემატა, ახალი სტადიონების მომზადება და საერთოდ საორგანიზაციო სამუშაოების ძირფესვიანად გადაკეთება დასჭირდება. ეს კი ერთი და ორი დღის საქმე არ არის.

უნდა დაეკითხონ ტელეკომპანიებსაც, რაკი შეცვლილი ფორმატით დღეში ექვსი თამაში გაიმართება და ტელეკომპანიებმაც კონტრაქტებსა და საეთერო ბადეებს უნდა გადახედონ.

მოკლედ, ურთულესი საქმეა, მაგრამ თუ მაინც გამოვიდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე რვის ნაცვლად ცხრა ჯგუფს მივიღებთ, რომელთაგან მერვედფინალში ჯგუფების გამარჯვებულები და 7 საუკეთესო მეორეადგილოსანი გავა.

მაგრამ მოსალოდნელია, რომ არაფერი შეიცვლება და ყველაფერი ძველებურად დარჩება. გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ფრანც ბეკენბაუერმა ფიფას მუქარა შეუთვალა, ფორმატის გაზრდით თქვენ ფულის კეთება გინდათ, ეგრე სად არისო.

**გიორგი დარჯანია**

Copa Toyota Libertadores '2003

**ლიბერტადორესის თასი 2003**

**მერვედფინალი**
**პირველი მატჩი**

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 2:1 კორინთიანსი (ბრაზილია)**

0:1 ვაგნერი (69), 1:1 დალესანდრო (84), 2:1 კავენაგი (89)

**რივერ პლეიტი:** ბულიუბასიჩი, გარსე, ამელი, დემიკელისი, ლეკუი (ლუდუენა 71), კუდეტი (პერეირა 71), ხუსაინი, ლ. გონსალესი, დალესანდრო (საპატა 90), კავენაგი, ფუერტესი

**კორინთიანსი:** დონი, როჟერიო, ფაბიო ლუსიანო, ანდერსონი, კლებერი, კოკიტო, ფაბინიო (სეზარი 19), ფაბრიციო, ვაგნერი (როჟერი 80), გილი, ლეიდსონი

**მსაჯი:** ჟილბერტო იდალგო (პერუ)

40 000 მაყურებელი

ასორტიმენტის საგაზაფხულო განახლება
ბილიარდი
პული, რუსული პირამიდა, სნუკერი
ბილიარდაი Bilijardai


აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელება
სპეციალური ფასები ბილიარდის კლუბებისათვის
მაღაზია სალონი WWW.billiard.ge
ტელ: 95-57-75, ტ/ფ: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. (ყოფ. კამო) № 2

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ასწლოვან ჭაბუკთა ისტორია

*1903 წლის 1 მაისს მადრიდში მცხოვრები ბილბაოელ სტუდენტთა ჯგუფი მშობლიური ქალაქისა და სათაყვანებელი ბილბაოს „ატლეტიკის" ნოსტალგიამ შეაწუხა. ბასკები რის ბასკები იყვნენ, ფეხბურთით დადაღული გულის გაგრილება ისევ ფეხბურთით რომ არ გადაეწყვიტათ — ასე შეიქმნა მადრიდის „ატლეტიკო".*

*დღევანდელი გადასახედიდან ცოტა უცნაურია იმაზე ფიქრი, რომ სმოკინგების, ხელჯოხებისა და მაღლა აპრეხილი ქილვაშების ეპოქაში ვინმე ბილბაოელს, თუგინდ მადრიდელს, დღევანდელი „ატლეტიკოს" სახე განეჭვრიტა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ამ თავდადებულმა სტუდიოსებმა ისეთი გუნდი შეკრეს, რომელიც, ბასკურ „ატლეტიკს"ვინ ჩივის, უამრავ სხვა სახელოვან გუნდსაც (მადრიდის „რეალის" ჩათვლით) სწვდომია ქედმაღალ საყელოში ამ 100 წლის განმავლობაში.*

*ცხრაჯერ პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა, ცხრაჯერვე სამეფო თასი, 4-გზის კასტილიის ჩემპიონობა, ერთი ესპანეთის სუპერთასი, ერთი ევროპის თასების მფლობელთა თასი, ერთიც საკონტინენტთაშორისო თასი და ასწლოვანი დიდებული ისტორია — აი, ბილბაოელი ბიჭების მიერ ჩამოყალიბებული მადრიდული კლუბის მონაგარი.*





ასწლოვან იუბილეზე მადრიდელებმა მდინარესავით დროშა ჩამოატარეს

**პირველი** მყვირალა ნაბიჯი მადრიდის „ატლეტიკმა", იგივე „ატლეტიკ ავიასონ კლუბმა", იგივე „ატლეტიკომ" 1911 წლის 22 იანვარს გადადგა, როდესაც იქამდე ტრადიციულ-პაციფისტური თეთრ-ცისფერი ფორმა შეუპოვარი თეთრ-წითელით შეცვალა და დღემდე ღირსეულად ატარებს. ეს „სოსიედად ხიმნასტიკასთან" შეხვედრისას მოხდა, როდრიგეს პისუანის თასზე შეჭიდების სარბიელი კი სტადიონი „მენანდეს პელაიო" იყო.

1913-23 წლებში კი „ატლეტიკო" თავის საშინაო შეხვედრებს „ო დონელის" მინდორზე ატარებდა.

ოციანების დასაწყისში „თეთრ-წითელთა" ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა — მომავალმა ჰერკულესმა ნორჩი კუნთები დაძაბა და პირველი ოფიციალური ტიტულიც მოიპოვა — 1921 წლის რეგიონალური ჩემპიონობა.

1923 წლის 13 მაისს „ატლეტიკომ" „სტადიუმ მეტროპოლიტენიაზე" პირველი საშინაო მატჩი ჩაატარა. სტადიონის პრეზენტაციას ესპანეთის დედოფალი მარია კრისტინა დაესწრო და ბურთზე საპატიო შეხების უფლებაც უფლისწულ ხუანის მეფურ ფეხს დაუთმეს.

შემდეგ იყო პრიმერადივიზიონში მოპოვებული გამარჯვებანი. 1940 წელს თითქმის უკანასკნელ წუთებამდე ებრძოდა „სევილია", მაგრამ ათლეტების დიდების საას პრიმერადივიზიონის ჩემპიონობაც მიემატა.



ეს ის ლუის არაგონესია, დღეს „ატლეტიკოს" რომ წვრთნის

„თეთრ-წითლებმა", რაკი დიდ გამარჯვებას გემო გაუგეს, ჩემპიონის ტიტული მომდევნო სეზონშიც არავის დაუთმეს. გავიდა დრო და „სტადიუმ მეტროპოლიტანის" ყიდვიდან 8 დღის შემდეგ (1950) „ვალენსიასთან" მიღწეულ ოქროს ყაიმით „ატლეტიკომ" თავისი მესამე ჩემპიონობაც მოიპოვა.

1951 წელს „ატლეტიკო" კვლავ ჩემპიონია. 9 წლის შემდეგ „თეთრ-წითლებს" სხვა დიდი სიხარულიც ეწვიათ: „საბადელის", „კორდობას", „კალენსიას" და „ელჩეს" გამოთიშვის შემდეგ, მადრიდის „რეალს" ფინალში თავიანთი პირველი ესპანეთის თასი მოუგეს, იმდროინდელი ვარსკვლავების, ჯონსის, კოლარის და პეიროს გოლების წყალობით. მაშინ ამ თასს გენერალისიმუს ფრანკოს სახელი ერქვა.

ამ გამარჯვებიდან ერთ წელიწადში ისევ მოუწიათ რევანშის წყურვილით ანთებულ მთავარ მადრიდულ გუნდთან შეჯახება. კვლავ თასის ფინალი, კვლავ მადრიდის „რეალი" და კვლავ მოგება. პეიროს ორმა და მენანდესის ერთმა გოლმა სამეფო გუნდს ბოლო მოუღო — 3:2.

თასი ათლეტებისაა. თითქოს ტრიუმფი მიღწეულია, მაგრამ „ატლეტიკოს" გულშემატკივრებს წილად ერგოთ ევროპული გამარჯვების ნირვანაში ჩაძირვაც. მათმა ჯილა გუნდმა აწ უკვე გარდაცვლილი თასების მფლობელთა თასის ფინალში ჯერ 1:1 ითამაშა იტალიურ „ფიორენტინასთან" გლაზგოში, ხოლო შტუტგარტულ გადათამაშებაში (მაშინ პენალტების სერია არ უყვარდათ) 4:0 გაანადგურა ფლორენციის სიამაყე.

„ატლეტიკომ" პატივით ჩააბრძანა თასი მადრიდში. რაღაც მშობლიური, თითქმის მივიწყებული და ლეგენდად ქცეული არ გახსენდებათ?

„სანტიაგო ბერნაბეუ" კი გენერალისიმუსის თასისკენ მიმავალი გზის მწვერვალად იქცა. 1965 წელს ამ არენაზე „სარაგოსას" კარში გატანილი ერთადერთი გოლით კარდონამ „ატლეტიკოს" რიგით მესამე თასი მოაგებინა.

„რეალს კი ათლეტები მარტო „გენერალისიმუსის" ფინალში არ აწვარებდნენ. 1966 წელს „სამეფო თეთრები" ზედიზედ მეექვსედ უნდა გაჩემპიონებულიყვნენ პრიმერადივიზიონში, ათლეტებმა კი დი სტეფანოს გუნდს 2:0 მოუგეს, ჩემპიონობა წაართვეს და ძველ, კეთილ „მეტროპოლიტანოზე" გრანდიოზული ზეიმიც მოაწყვეს. მხიარულებას სევდაც ერია, „ატლეტიკო" ახალ საფეხბურთო არენაზე გადასასვლელად ემზადებოდა და ბებერი „სტადიუმ მეტროპოლიტანოც" მალე ისტორიას ჩაბარეს.

„თეთრ-წითლების" ახალი სარბიელი „მანსანარესი" შეიქნა, რომელსაც შემდგომში კლუბის ერთ-ერთი ღირსეული პრეზიდენტის, ვისენტე კალდერონის სახელი ეწოდა.

ბედის ირონიით, სწორედ „თავფურცელ" გუნდზე, ბილბაოს „ატლეტიკზე" გამარჯვებამ მოუტანა მადრიდელებს 1969-70 წლების პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა და „ვისენტე კალდერონის" პირველი სიხარული.

1972 წელს სალსედომ და გარატემ „ატლეტიკოს" მორიგი თასი მოუპოვეს „ვალენსიასთან" ბრძოლაში (2:1). იმავე სეზონის ბოლო ტურში „დეპორტივოს" დამარცხებით ათლეტებმა ჩემპიონობაც გაინაღდეს.

მერე კი იყო ყველაზე დიდი კოშმარი გუნდის ისტორიაში. 1974 წელს ჩემპიონთა თასის ფინალი ბრიუსელში ჩატარდა. უფრო სწორად, ორი ფინალი — ერთმანეთს მადრიდის „ატლეტიკო" და მიუნხენის „ბაიერნი" შეეყარნენ. პირველი შეხვედრა 1:1 დამთავრდა. არაგონესმა 113-ე წუთზე გაიტანა და როდესაც ესპანელები უკვე გამარჯვებას ზეიმობდნენ, შვარცენბეკმა მათ ოცნებებს ცივი წყალი გადაასხა. გადათამაშებაში გერმანელებმა „ატლეტიკოს" იგივე დამართეს, თავად რომ უქნეს თავის დროზე „ფიორენტინას" — 4:0.

სამაგიეროდ, „ბაიერნმა" საკონტინენტთაშორისო თასზე თამაში იუარა და არგენტინულ „ინდეპენდიენტეს" ფინალში „ატლეტიკო" შეახვედრეს. 1975 წლის 10 აპრილს, „ვისენტე კალდერონზე", ირურეტასა და აიალას გოლების წყალობით, „ინდეპენდიენტეს" ბუენოს აირესში 1:0 მოგება ჩაუშხამეს და საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვეს. სხვათა შორის, ირურეტა რომ ვახსენეთ, სწორედ ის ხავიერ ირურეტაა, ახლა „დეპორტივოს" რომ წვრთნის.

1976 წელს ქვეყნის თასისთვის გამართულ ბრძოლაში „სარაგოსა" გადაელობათ, მაგრამ 1:0 „ასიამოვნეს" და „გენერალისიმუსი ფრანკო" კვლავ „თეთრ-წითლებისაა".

პრიმერადივიზიონის რიგით მერვე ჩემპიონობა „სანტიაგო ბერნაბეუზე" 1976-77 წლების სეზონში, „რეალთან" მიღწეული ფრეს შემდეგ „ჩაიბარეს".

ამასობაში ესპანეთი კვლავ მონარქიული სახელმწიფო შეიქნა და ქვეყნის თასსაც, შესაბამისად LA COPA DEL REY დაერქვა, რაც ქართულად „სამეფო თასს" ნიშნავს. იქამდე 5 „გენერალისიმუსი" მოეხვეჭა „ატლეტიკოს", 1985 წელს კი „მეფეც" მიემატა დიდების ხეივანს. მადრიდელებმა ფინალში „ატლეტიკი" დაამარცხეს, უგო სანჩესმა ბასკების კარში გატანილი ორი გოლით „თეთრ-წითელთა" შემადგენლობაში ბოლოჯერ იზეიმა. „ვისენტე კალდერონიდან" აფრენილმა ამ დიდებულმა არწივმა მომავალ სეზონში კარიერა უკვე მადრიდის „რეალში" გააგრძელა.

1986 წელს მადრიდელებმა თასების მფლობელთა თასზე მიღწეული წარმატებების გამეორება გადაწყვიტეს, მაგრამ ლიონურ ფინალში გადააწყდნენ ულმობელი სიზუსტით მომუშავე მექანიზმს — ვალერი ლობანოვსკის კიევის „დინამოს", საბჭოელებს ვერაფერი მოუხერხეს და თასიც მაშინდელი საბჭოთა ფეხბურთის კორიფემ წაიღო — 0:3.

90-იანების დასაწყისში (1991) მორიგი „მეფის" ფინალში, ლორენს სერა ფერერის „მალიორკამ" დიდი წინააღმდეგობა გაუწია თეთრ-წითელ კოჰორტას დამატებით დრომდე, ოდეს ალფრედოს ზუსტი დარტყმით ეს თასიც „ატლეტიკოს" ნადავლთა რიცხვს არ შემატა.

მომდევნო სეზონში ათლეტებმა „სანტიაგო ბერნაბეუსა" და თავიანთ მარადიულ მოწინააღმდეგე „რეალს" გრიგალივით გადაუარეს. ფუტრესა და შუსტერის გოლებმა „სამეფო გუნდს" „სამეფო თასი", ხოლო „რეალის" ინჩასას ხალისიანი გუნება-განწყობილება წაართვეს.

ოთხ წელიწადში (1996) „თეთრ-წითლებმა" მეცხრე და ჯერჯერობით ქვეყნის თასი ბოლოჯერ მოიპოვეს. მერე იყო დიდი უფსკრული, რასაც თავმოყვარე გუნდისთვის სეგუნდადივიზიონი ჰქვია. „ატლეტიკოს" ცოცხალი ლეგენდის, ლუის არაგონესის მიერ გაწვრთნილ „ოვიედოსთან" საბედისწერო ფრის (2:2) შემდეგ მადრიდელები იძულებულნი გახდნენ, პრიმერადივიზიონს ორი წლით (2000-02) დაშვიდობებოდნენ. კლუბის ხელმძღვანელობამ იგივე ლუის არაგონესი მიიწვია დამრიგებლად და უმაღლესი ლიგის კარიც ფართოდ გაიხსნა „თეთრ-წითელთა" წინაშე.

აი, ასი დიდებული წელიწადის მცირე ისტორია. მოკლედ, გადმოცემული ისტორია გუნდისა, რომელშიც სხვადასხვა დროს თამაშობდნენ: ლუის არაგონესი, ფუტრე, კოლარი, უფარტე, პეირო, აიალა, აპარისიო, შუსტერი, უგო სანჩესი, კრისტიან ვიერი, რუბენ კანო, გარატე, პენევი და სხვა უამრავი საფეხბურთო მნათობი. იგივე ლუის არაგონესი, რადომირ ანტიჩი, ელენიო ერერა, რიკარდო ზამორა, ხავიერ კლემენტე და არიგო საკი კი სხვადასხვა დროს იყვნენ ზემოთხსენებულ ფეხბურთელთა მწვრთნელები. კლუბს ჰყავდა ისეთი პრეზიდენტები, როგორიც იყო დიდი ვისენტე კალდერონი და როგორიც არის მადრიდული ცისხების ხშირი სტუმარი, გიჟმაჟი ხესუს ხილი ხილი.

**ლადო ხომერიკი**

### ყველა დროის ატლეტიკო

*აბელი, კალეხა, აპარისიო, რიკილია, ადელარდო, ლუის პერეირა, ფუტრე, ლუის არაგონესი, უფარტე, გარატე, კოლარი*



ხესუს ხილი ხილს ამჟამად „ატლეტიკოსთვის" ნაკლებად სცალია

# იტალია

პაპუნა კედია




პაოლო ნეგროს საჩემპიონოდ შემართული ალესანდრო დელ პიეროს გაჩერება გაუჭირდება

## ეს საშიში სუსტები

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| პარმა | - | ბოლონია |
| პერუჯა | - | ბრეშა |
| მილანი | - | კომო |
| მოდენა | - | ემპოლი |
| ატალანტა | - | ინტერი |
| ლაციო | - | იუვენტუსი |
| კიევო | - | პიაჩენცა |
| რეჯინა | - | რომა |
| ტორინო | - | უდინეზე |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 30 | 20 | 7 | 3 | 57:22 | 67 |
| ინტერი | 30 | 18 | 5 | 7 | 57:34 | 59 |
| მილანი | 30 | 16 | 7 | 7 | 48:24 | 55 |
| ლაციო | 30 | 13 | 14 | 3 | 51:29 | 53 |
| პარმა | 30 | 13 | 10 | 7 | 48:31 | 49 |
| კიევო | 30 | 14 | 6 | 10 | 41:32 | 48 |
| უდინეზე | 30 | 12 | 8 | 10 | 31:33 | 44 |
| რომა | 30 | 11 | 9 | 10 | 48:41 | 42 |
| პერუჯა | 30 | 10 | 9 | 11 | 36:41 | 39 |
| ბოლონია | 30 | 9 | 11 | 10 | 36:39 | 38 |
| ბრეშა | 30 | 8 | 13 | 9 | 32:33 | 37 |
| მოდენა | 30 | 9 | 9 | 12 | 26:41 | 36 |
| ემპოლი | 30 | 9 | 8 | 13 | 34:42 | 35 |
| რეჯინა | 30 | 8 | 7 | 15 | 30:47 | 31 |
| ატალანტა | 30 | 6 | 12 | 12 | 30:44 | 30 |
| პიაჩენცა | 30 | 7 | 5 | 18 | 35:52 | 26 |
| კომო | 30 | 3 | 12 | 15 | 25:49 | 21 |
| ტორინო | 30 | 4 | 8 | 18 | 21:52 | 20 |

**„მილანისა“** და „კომოს“ შეხვედრის წინ კახა კალაძე სავარაუდო შემადგენლობაშია დასახელებული. ბუნებრივია, „შავ-წითლები“ სკუდეტოსთვის აღარ იბრძვიან, მაგრამ ზედმეტი არხეინობაც ავნებთ, შესაძლოა, მესამე ადგილი და, შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში ავტომატურად გამსვლელი ადგილი დაკარგონ. კიდევ, ერთი საინტერესო დეტალია ყურადსაღები — მილანელები ამ სეზონში სუსტ გუნდებთან კარგი თამაშით ვერ იკვეხნიან, ქულათა დიდი ნაწილი სწორედ ასეთებთან დაკარგეს და ამიტომ „კომოსთან“ სერიოზული კონცენტრაცია მართებთ. შეგახსენებთ, სკუდეტო „მილანს“ „ატალანტასთან“, „ბრეშასთან“ და „ემპოლისთან“ დაკარგული ქულების გამო გაუფრინდა. ერთი სიტყვით, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალზე ფიქრი კარგია, მაგრამ „კომო“ ერთ-ერთი სუსტი და საშიში გუნდთაგანია.

„შავ-წითელთათვის“ სასიხარულო ის გახლავთ, რომ ანდრეა პირლო და კლარენს ზეედორფი, რომლებიც თითქოსდა ისე იყვნენ დაშავებულნი, რომ ამ სეზონში ბურთს ვეღარ გაეკარებოდნენ, სარეკორდო დროში გამოჯანმრთელდნენ. დღეს მათ ჯენარო გატუზოსა და რივალდოსთან ერთად სათადარიგო სკამზე დაჯდომაც კი შეუძლიათ. ისევ დაისვენებს ფილიპო ინძაგი, რომელმაც მუხლი იტკინა, თუმცა კარლო ანჩელოტის გრძელ სკამს ამით გადაულახავი პრობლემები წესით არ უნდა შეექმნას.

„კომოს“ არ ეყოლება დისკვალიფიცირებული ბენიტო კარბონე, სამაგიეროდ, ძირითადში შესაძლოა ფრიად ნაქები ახალგაზრდა ფრანჩესკო სიგარდი ვიხილოთ. კარგ ფორმაშია ნიკოლა ამორუზო, ხოლო ვედინ მუზიჩი ფრთაზე გაილაღებს თუ მილანელებმა საგანგებო ყურადღება არ დაუთმეს.

ცნობისთვის, შემდგომ ტურში „მილანი“ ბრეშაში მიდის.

„კომოელებს თავდადებული გუნდი ჰყავთ, რომელიც ძალიან კარგად თამაშობს დაცვაში — ამბობს ვეტერანი არგენტინელი ნახევარმცველი ფერნანდო რედონდო — გოლის გატანა შეხვედრის დასაწყისში უნდა ვცადოთ, რადგან ყველა დარჩენილი თამაშის მოგება გვაქვს გადაწყვეტილი და ამისათვის ადრეული გოლის შეგდება აუცილებელია“.

თუმცა, ტურის მთავარი თამაში რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლაციოსა“ და „იუვენტუსს“ შორის გაიმართება. „ლაციო“ ერთ-ერთი გახლავთ იმ სამი გუნდიდან, რომელმაც ამ სეზონში „იუვეს“ დამარცხება შეძლო. ეს „დელე ალპიზე“ მოხდა, ანგარიში 2:1 გახლდათ.

რომაელებს უბრუნდებათ ჰოლანდიელი იაპ სტამი, ხოლო დეიან სტანკოვიჩს იმდენჯერ უთხრეს მომავალი სეზონიდან, ალბათ, „ბებერი ქალბატონის“ მოთამაშე გახდებიო, რომ წესით დღეს გამორჩეულად ითამაშებს. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ საქმეში სინიშა მიხაილოვიჩს ვიხილავთ, რომელიც იტალიის ნაკრებში, შვეიცარიელებთან შეხვედრის დროს ბარძაყდაშავებულ ჯუზეპე ფავალის ადგილს დაიკავებს.

„იუვე“ კი დავიდ ტრეზეგეთი ძლიერდება. ბუნებრივია, „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლაციოსთვის“ თავის შეკვლა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, „რეალთან“ თამაშის წინ ფრიად სარისკოა, მაგრამ მეორე მხრივ, „სკუდეტოს“ ბედი, შესაძლოა, სწორედ ამ მატჩში გადაწყდეს.

ალესიო ტაკინარდის, პაოლო მონტეროს და ედგარ დავიდსს კი შეუძლიათ „ლაციოს“ თავი შეაკლან. „რეალთან“ ისინი მაინც დისკვალიფიცირებულნი იქნებიან.

ხოლო, „ინტერს“ ბოლო შანსი აქვს, თუ ძალღონის მოკრებას შეძლებს იქნებ დღეს, ბერგამოში მოახერხოს „იუვესთან“ ჩამორჩენის შემცირება. სხვაობა რვა ქულაა, ყურადღებას კი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი ფანტავს. „ინტერის“ და „მილანის“ დერბი ყველა სიკეთესთან ერთად მწვრთნელის, ექტორ რაულ კუპერის თანამდებობაზე დარჩენა-არდარჩენის საკითხს წყვეტს.

„შავ-ლურჯთაგან“ არ იქნება კრისტიანო ძანეტი, რომელსაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. არ იქნება ივან კორდობაც. ისევ დაშავებულები არიან ფაბიო კანავარო და ფრანჩესკო კოკო. ერთი სიტყვით, „ინტერის“ დაცვაში კარლოს გამარას და ჯოვანი პასკუალეს ვიხილავთ.

ნახევარდაცვაში ითამაშებს სტეფან დალმა, მის წინ კი ერნან კრესპო და ალვარო რეკობა იმოქმედებენ. თავდამსხმელთაგან ვერ ითამაშებენ კრისტიან ვიერი, მოჰამედ კალონი და გაბრიელ ბატისტუტა.

# ინგლისი

ირაკლი ნინიძე

## რადაც მოხდება

## გამარჯობა, ჩემპიონო?

| XXXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვესტ ჰემი | — | ჩელსი |
| ასტონ ვილა | — | სანდერლენდი |
| ბლეკბერნი | — | ვესტ ბრომვიჩი |
| ფულემი | — | ევერტონი |
| ლივერპული | — | მანჩესტერ სიტი |
| მანჩესტერი | — | ჩარლტონი |
| მიდლსბრო | — | ტოტენჰემი |
| ნიუკასლი | — | ბირმინგემი |
| საუთჰემპტონი | — | ბოლტონი |
| **ხვალ** | | |
| არსენალი | — | ლიდსი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 36 | 23 | 8 | 5 | 68:32 | 77 |
| არსენალი | 35 | 21 | 9 | 5 | 73:38 | 72 |
| ნიუკასლი | 36 | 20 | 5 | 11 | 60:46 | 65 |
| ჩელსი | 36 | 18 | 10 | 8 | 66:36 | 64 |
| ლივერპული | 36 | 18 | 10 | 8 | 59:37 | 64 |
| ევერტონი | 36 | 17 | 8 | 11 | 47:45 | 59 |
| ბლექბერნი | 36 | 15 | 11 | 10 | 47:42 | 56 |
| ტოტენჰემი | 36 | 14 | 8 | 14 | 50:53 | 50 |
| ჩარლტონი | 36 | 14 | 7 | 15 | 44:51 | 49 |
| საუთჰემპტონი | 35 | 12 | 12 | 11 | 41:40 | 48 |
| სიტი | 36 | 14 | 6 | 16 | 45:52 | 48 |
| ბირმინგემი | 36 | 13 | 8 | 15 | 39:45 | 47 |
| მიდლსბრო | 36 | 12 | 10 | 14 | 42:41 | 46 |
| ასტონ ვილა | 36 | 11 | 9 | 16 | 40:44 | 42 |
| ფულემი | 36 | 11 | 9 | 16 | 38:50 | 42 |
| ლიდსი | 36 | 12 | 5 | 19 | 52:54 | 41 |
| ბოლტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 38:50 | 40 |
| ვესტ ჰემი | 36 | 9 | 11 | 16 | 39:57 | 38 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 6 | 6 | 24 | 26:62 | 24 |
| სანდერლენდი | 36 | 4 | 7 | 25 | 21:60 | 19 |

**ეგებ ისეც** მოხდეს, რომ ხვალ საღამოს პრემიერლიგას ახალი ჩემპიონი ჰყავდეს. ვინ? რა კითხვა უნდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“. აბა, დავიანგარიშოთ: თუ „იუნაიტედმა“ „ჩარლტონს“ მოუგო, „არსენალმა“ კი „ლიდსს“ თუნდაც ფრედ ეთამაშა, „მეთოფეები“ ლიდერს ვეღარ დაეწევიან.

გარდა ამისა, თუ დღეს „ნიუკასლმა“ მოიგო, „ჩელსი“ ან „ლივერპული“ კი დამარცხდა, „კაჭკაჭები“ მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ.

და კიდევ, თუ „ბოლტონმა“ მოიგო, „ვესტ ჰემი“ კი დამარცხდა, „ჩაქუჩები“ პრემიერლიგას გამოეთხოვებიან.

ბოლო ჩამოთვლილი შესაძლებლობიდან ყველაზე რეალური „ვესტ ჰემის“ გავარდნაა, რაკი მეტად ძლიერი მეტოქე, „ჩელსი“ ჰყავს.

„მანჩესტერი“ დღეს ბოლო საამსეზონო მატჩს მართავს „ოლდ ტრეფორდზე“ და ესეც ერთი მიზეზია მეტისმეტი მონდომებისა. ზურგის ტკივილი აღარ აწუხებს რუუდ ვან ნისტელროის, ოლე გუნარ სოლსკიაერიც ჩინებულ ფორმაშია. მუხლის მცირე ტრავმები ჰქონდათ ჯონ ოშის და ხუან ვერონს, მაგრამ მომჯობინებულან, ფაბიენ ბარტეზისა და დევიდ ბექჰემის თამაშის საკითხი კი ბოლო წამს გადაწყდება.

„ჩარლტონს“ ამ სეზონში აღარაფერი უნდა, მაქსიმუმ — სენსაციის გამოცხობა. ჩარლტონელებს მანჩესტერში 1986 წლის მერე არ მოუგიათ, იმ დროს პრემიერლიგაც კი არ არსებობდა. თუმცა შარშან „ოლდ ტრეფორდზე“ 0:0 გაახერხეს.

„ლიდს იუნაიტედთან“ მატჩის წინ „არსენალს“ დაშავებულთა და დისკვალიფიცირებულთა გრძელი სია უფუჭებს ხასიათს. პატრიკ ვიეირა და ედუ ნაღდად ვერ ითამაშებენ. პასკალ სიგანი და ფრედი ლიუნგბერგი წინა ტურში დაშავდნენ და ეგებ ვერ ითამაშონ, სოლ კემპბელი კი ხვალიდან ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდას შეუდგება. „მეთოფეთა“ წუხილს ისიც აძლიერებს, რომ ბოლო ოთხ მატჩში ექვსი ქულა დაკარგეს, არადა, რომ არ დაეკარგათ, ახლა წელგამართულები იქნებოდნენ.

„ნიუკასლს“ რაც უნდა, თავში მოგახსენეთ, ოღონდ ამის გაკეთება ალან შირერის გარეშე მოუხდება, რომლისთვისაც ტრავმის გამო სეზონი დასრულდა. კაპიტნის მაგიერ ალბათ ყმაწვილი შოლა ამეობი ითამაშებს. ნიუკასლელთა მეტოქე კი იმითაც კმაყოფილია, რომ ისევ პირველ დივიზიონში არ გავარდა. საამმატჩოდ სტივ ბრიუსის გუნდს ალბათ კენი კანინგემი დააკლდება.

„ვესტ ჰემი“ — „ჩელსი“, ეს მატჩი რომელიღაცისთვის ალბათ საბედისწერო გამოდგება. შეგახსენებთ, რომ „ჩაქუჩთა“ დროებით მენეჯერ ტრევორ ბრუკინგს წინა უქმეებზე ჩინებული დებიუტი გამოუვიდა, „მანჩესტერ სიტი“ დაამარცხა და თავი ყინჩად უჭირავს. ბოლოს და ბოლოს, თუ გუნდი მაინც გაუვარდა, მას არავინ დააბრალებს, იმას კი იტყვიან, ეჰ, ნეტავ დროზე მოგვეყვანაო. და რისი იმედი აქვს ბრუკინგს „ჩელსისთან“ მატჩში? ალბათ, ფრედერიკ კანოს გოლის.

გეხსომებათ, რა უყო „ლივერპულმა“ წინა ტურში „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“, უფრო სწორად კი მაიკლ ოუენმა და მილან ბაროშმა რა უყვეს. თუ არ გახსოვთ, შეხსენებას წინ რა უდგას — ოუენმა ოთხი გოლი გაიტანა, ბაროშმა — ორჯერ ნაკლები, ანუ ჯამში ექვსი. ჰოდა, ცხადია, ჟერარ ულიე ამ წყვილს „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგაც გაამწესებს.

უფრო ძველი ამბავიც გავიხსენოთ: იყო დრო, „ენფილდი“ რობი ფაულერს ღმერთს უწოდებდა, ნიკოლა ანელკას კი ტაშს არ ამადლიდა. დღეს ისინი „სიტის“ მაისურებით დაუბრუნდებიან ძველ დისლოკაციის ადგილს.




„ლივერპულმა“ შარშან ლიდსელი რობი ფაულერი დააღონა, ახლა გამანჩესტერებულსაც იგივეს უპირებს

## გერმანია

დავით თევართქილაძე

# მაგათის პატაპალახური მეთოდი



ვოლფგანგ ვოლფმა „ნიურნბერგი“ ჩაიბარა

**რახან** მიმდინარე ბუნდესლიგას ჩემპიონი უკვე ჰყავს, თხრობა ჯერჯერობით მეორეადგილოსან „შტუტგარტით“ დავიწყოთ.

შტუტგარტელები ახლა მეორე ადგილზე დარჩენისთვის იბრძვიან — ბუნდესლიგური ვერცხლით ისინი საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე ამოყოფენ თავს ჩემპიონთა ლიგაში.

ცხადია, „შტუტგარტის“ ფეხბურთელებიც გარკვეული ზეწოლის ქვეშ არიან და მათთვის სტრესის მოხსნის თავისებურ გზას მწვრთნელმა მიაგნო. შტუტგარტელთა დამრიგებელმა ფელიქს მაგათმა „ჰანოვერთან“ დღევანდელი მატჩის წინ თქვა: „სეზონის დაწყებისას განვაცხადეთ, რომ უეფას თასის საგზურისთვის ვიბრძოლებდით და მას მერე გეგმები არ შეგვიცვლია. ახლა, რომ გუნდს მოვთხოვო, ჩემპიონთა ლიგაში უნდა გავიდეთო, ვფიქრობ, უსამართლობა იქნება“.

სხვათა შორის, შუა სეზონში, როცა „შტუტგარტი“ ჩემპიონატის ერთ-ერთი მოწინავე გუნდი შეიქნა, მაგათმა დასძინა, ჩემპიონობას 2004-05 წლების სეზონში ვგეგმავთო.

მოკლედ, თუ როგორ სჭრის მაგათის მეთოდები, დროის საკითხია. ბოლო ორ ტურში კი „შტუტგარტს“ არ მოუგია და ვნახოთ, მესამე ცდაზე რას შესძლებს. გუნდს დაუბრუნდება დისკვალიფიცირებული ხორვატი კაპიტანი ზვონიმირ სოლდო. „ჰანოვერმა“ კი ფიცხი ბრძოლა უნდა გაუმართოს მაგათელებს — არგავარდნისთვის ჯაჯგურიც ხომ გადამწყვეტ ფაზაში შედის.

„შტუტგარტის“ მდევარი და წინა ბუნდესლიგის ჩემპიონი „დორტმუნდი“ ტრავმების გამო ისევ მოისაკლისებს მეკარე იენს ლემანს და მცველ კრისტოფ მეცელდერს. თუმცა „ვოლფსბურგთან“ საშინაო მატჩში ზამერელები მაინც ფავორიტად ითვლებიან.

ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის არცთუ ურიგო შანსი აქვს ბერლინის „ჰერტას“. დედაქალაქები ბრემენში სტუმრობენ იქაურ „მუსიკოსებთან“. თუ „ვერდერს“ ევროტურნირებზე თამაში სურს, თავს უფლებას ვერ მისცემს, წააგოს, თორემ ვინძლო ვერც ინტერტოტოს შესწვდეს. „ჰერტამ“ ჰოლანდიელ მცველ დიკ ვან ბურიკს ვერ დაიხმარებს, ვისაც წვივის კუნთი აწუხებს.

ევროსარბიელის მორიგი მაძიებელი „ჰამბურგი“ სტუმრად თამაშობს კოტბუსში. იქაური „ენერგი“ უკვე სამი წელიწადია, ბუნდესლიგაში დარჩენისთვის იბრძვის და დიდი შანსია, ამ ტურში მისი გავარდნა გაფორმდეს.

ევროამქარში შესაღწევად იღწვის „შალკეც“, რომლის ხვალინდელ მოწინააღმდეგე „ჰანზას“ სულ სხვა მიზნები აქვს. როსტოკელებს ყველანი ჯანზე ჰყავს, ხოლო „ხუმარების“ ანდრეას მიოლერი და ემილ მპენზა მატჩს ალბათ სათადარიგოთა სკამზე ჯდომით დაიწყებენ — ისინი ტრავმებისგან ახლადგამოჯანმრთელებულნი არიან.

მწვრთნელი მოუხსნეს „ნიურნბერგს“ — კლაუს აუგენტალერი „ვოლფსბურგიდან“ გაგდებულმა ვოლფგან ვოლფმა შეცვალა. ნიურნბერგელთა მეტოქე „მიუნხენ 1860“-ს კი საომარი ფაქტობრივად არაფრისთვის აქვს გარდა საკუთარი ღირსებისა.

ისევე როგორც „ნიურნბერგი“, მიონხენგლადბახის „ბორუსიაც“ გადარჩენისთვის იბრძვის. თავი ქუდში არც მის დღევანდელ მტერ „ბოხუმს“ აქვს. გლადბახელებს ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან მცველი შტეფან კორელი, შუახაზელი მარკუს ჰაუსვაილერი და შემტევი იორის ვან ჰოუტი.

წინა სეზონში გერმანიისა და ევროპის ერთ-ერთი მოწინავე გუნდი ლევერკუზენის „ბაიერნ 04“ ჩაძირვის პირასაა და თუ ხვალ ვერ მოიგო, ვინძლო ველარც გადარჩეს. ლევერკუზენელებს ორი ლიდერი არ ეყოლებათ — იენს ნოვოტნი და ბერნდ შნაიდერი. ფარმაკოლოგთა სასარგებლოდ მეტყველებს სტატისტიკა — ბილეფილდის „არმინიას“ ლევერკუზენში მხოლოდ ერთხელ მოუგია და ისიც 21 წლის წინათ.

უეფას თასის საგზური უკვე მოპოვებული აქვს „კაიზერსლაუტენს“, რადგან გერმანიის თასის ფინალში უკვე ჩემპიონ „ბაიერნს“ ეთამაშება. დღეს კი თასის ფინალის თავისებური რეპეტიციაა. თანაც ახლადგაჩემპიონებული „ბაიერნი“ პირველად თამაშობს შინ და მატჩის მერე საგანგებო ზეიმიც მოეწყობა მიუნხენში.

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვერდერი | — | ჰერტა |
| დორტმუნდი | — | ვოლფსბურგი |
| ნიურნბერგი | — | მიუნხენ 1860 |
| კოტბუსი | — | ჰამბურგი |
| ბოხუმი | — | გლადბახი |
| ჰანოვერი | — | შტუტგარტი |
| ბაიერნი | — | ლაუტერნი |
| **ხვალ** | | |
| ლევერკუზენი | — | არმინია |
| ჰანზა | — | შალკე |

| საჩემპიონო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 30 | 20 | 6 | 4 | 61:20 | 66 |
| შტუტგარტი | 30 | 15 | 8 | 7 | 48:35 | 53 |
| დორტმუნდი | 30 | 14 | 10 | 6 | 44:23 | 52 |
| ჰერტა | 30 | 15 | 6 | 9 | 45:31 | 51 |
| ჰამბურგი | 30 | 13 | 9 | 8 | 39:34 | 48 |
| შალკე | 30 | 11 | 13 | 6 | 43:33 | 46 |
| ვერდერი | 30 | 13 | 4 | 13 | 43:43 | 43 |
| ვოლფსბურგი | 30 | 12 | 5 | 13 | 33:36 | 41 |
| მიუნხენი | 30 | 10 | 9 | 11 | 37:44 | 39 |
| ლაუტერნი | 30 | 10 | 8 | 12 | 38:37 | 38 |
| ბოხუმი | 30 | 10 | 7 | 13 | 46:51 | 37 |
| არმინია | 30 | 8 | 12 | 10 | 33:36 | 36 |
| ჰანოვერი | 30 | 10 | 6 | 14 | 41:53 | 36 |
| ჰანზა | 30 | 9 | 8 | 13 | 29:35 | 35 |
| გლადბახი | 30 | 9 | 7 | 14 | 33:41 | 34 |
| ლევერკუზენი | 30 | 8 | 7 | 15 | 39:51 | 31 |
| ნიურნბერგი | 30 | 8 | 6 | 16 | 30:51 | 30 |
| კოტბუსი | 30 | 6 | 7 | 17 | 31:59 | 25 |

## ესპანეთი

გიორგი დარხანია

# მშვიდად

## ბარსელონა სელტას დანუნებულზეც ყაბულსაა

**სეზონის** დასრულებამდე შვიდი ტურით ადრე „რეალი“ ოთხი ქულითაა წინ გაჭრილი. ოთხი ქულა ძალიან ბევრიც არ არის, თუმცა არც ცოტა ეთქმის. ამით იმის თქმა გვსურს, რომ თუ დღეს „რეალმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „მალიორკა“ დაამარცხა, სულ მცირე, ამ ოთხქულიან უპირატესობას შეინარჩუნებს და დამშვიდებული მოემზადება ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „იუვენტუსთან“ სათამაშოდ. მაგრამ „იუვენტუსამდე“ „რეალს“ „მალიორკა“ ელის, ერთ ხანს მეორეადგილოსანი, მის წინ მყოფი, ახლა კი ჩაძირული გუნდი. ხოლო „მალიორკამდე“ ვისენტე დელ ბოსკეს აქვს თავსატეხი — ნეტა, ყველას ეგეთი ჰქონდეს, ისეთი: ამდენი კარგი ფორვარდიდან ვინ იყოლიოს სასტარტო შემადგენლობაში. ერთი, რონალდო, მაგრამ ვინ შეცვლის ბრმანაწლავამოჭრილ რაულს? პარაგვაისთვის სამი გოლის გამტანი ფერნანდო მორიენტესი, ხოსე მარია გუტიერესი, იგივე გუტი, თუ ყმაწვილი ხავიერ პორტილიო. და სანამ მწვრთნელი ამას გადაწყვეტს, მორიენტესმა თქვა: „იმედიანად ვართ, წინა ტურში „დეპორტივოსა“ და „სოსიედადის“ მარცხმა სიმშვიდე შეგვმატა. ეს სიმშვიდე კი „მალიორკასთან“ და „იუვენტუსთან“ აუცილებლად წაგვადგება“.

ერთიც: პირველ წრეში, ამ გუნდეჯბის შეხვედრამდე კუნძულელებს ზედიზედ შვიდი თამაში ჰქონდათ მოგებული, „რეალთან“ კი 1:5 განადგურდნენ.

როცა „სოსიედადი“ „სევილიასთან“ სათამაშოდ გავა, „რეალის“ თამაში უკვე დამთავრებული იქნება და ბასკები ეგებ შვიდი ქულითაც უკან იყვნენ. მოკლედ, გამარჯვების გარდა ნებისმიერი შედეგი სანსებასტიანელთათვის ალბათ დამღუპველი იქნება. არადა, „სევილია“ ხელწამოსაკრავი მეტოქე არ არის. დივიზიონში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა ჰყავს და უეფას თასზე გასასვლელად იბრძოლებს.

მაგრამ ვიყოთ რეალისტები და ვთქვათ, რომ „რეალის“ უმთავრესი მეტოქე მაინც „დეპორტივოა“. კი, გავიხსენოთ, რომ „სუპერდეპორი“ წინა ტურში პალმა დე მალიორკაში შერცხვა (0:3), ხოლო მისმა ხვალინდელმა მეტოქე „უელვამ“ „ვილიარეალს“ გადაუარა (5:0), მაგრამ ფავორიტი, ცხადია, გალისიური კლუბია.

„ვალენსიას“ და „სელტას“ არ უნდათ უეფას თასზე თამაში, ორივენი მეოთხე, საჩემპიონთალიგო ადგილისთვის იბრძვიან და ამ ტურში ორივენი სტუმრად თამაშობენ. „სელტა“ ვიტორიაში“, „ვალენსია“ კი სანტანდერში. ამ მატჩებშიც ფავორიტები ვინც არიან, მოგეხსენებათ, ჩვენ კი მოგახსენებთ, რომ „ალავესს“ ახალი მწვრთნელი, ჩუჩი არანგურენი დაუნიშნეს, ვინც ხოსე მანუელ ესნალ პარდო შეცვალა, „რასინგმა“ კი ბოლო ოთხ თამაშში რვა ქულა მოაგროვა.

„ვალენსიას“ და „სელტას“ თუ არ უნდათ, „ბარსელონას“ სწორედ რომ ძალიან სურს უეფას თასზე მოხვედრა და საამისო ადგილამდე ორი ქულა აშორებს. კატალონიელებს მეტოქედ მადრიდის უსუსტესი გუნდი, ბოლო ადგილზე სულის მლაფავი „რაიო ვალეკანო“ ჰყავთ და ერთი წიხლის ჩარტყმასაც უპირებენ. „ბარსას“ ისიც ჰმატებს იმედს, რომ შუა კვირაში პატრიკ კლუივერტმა, ხავიერ სავიოლამ და რომან რიკელმემ სანაკრებო გოლები გაიტანეს და გაილაღეს. საწყალმა „რაიომ“ კი წინა ორი თამაში წააგო.

მაგრამ „ბარსელონა“ სასურველ მეექვსე ადგილამდე რომ აღზევდეს, საამისოდ მის წინ მყოფმა ექვსმა გუნდმა ვერ უნდა მოიგოს. ამათგან უპირველესად კი „მალაგამ“, რომელსაც ეს ადგილი სადღეისოდ უკავია. „მალაგა“ ძნელად თუ წააგებს, რაკი მისი მეტოქე „უელვასგან“ ნაგვემი „ვილიარეალია“ და თან წინა ორ სეზონში, გაზაფხულზე, „ვილიარეალს“ მუდამ ამარცხებდა.

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეალი | — | მალიორკა |
| სოსიედადი | — | სევილია |
| **ხვალ** | | |
| ბეტისი | — | ესპანიოლი |
| ოსასუნა | — | ბილბაო |
| ვალიადოლიდი | — | ატლეტიკო |
| ალავესი | — | სელტა |
| რასინგი | — | ვალენსია |
| ვილიარეალი | — | მალაგა |
| დეპორტივო | — | უელვა |
| ბარსელონა | — | რაიო ვალეკანო |

| საჩემპიონო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 31 | 18 | 10 | 3 | 70:33 | 64 |
| დეპორტივო | 31 | 18 | 6 | 7 | 52:36 | 60 |
| სოსიედადი | 31 | 17 | 9 | 5 | 58:40 | 60 |
| ვალენსია | 31 | 15 | 8 | 8 | 46:24 | 53 |
| სელტა | 31 | 15 | 7 | 9 | 36:24 | 52 |
| მალაგა | 31 | 10 | 12 | 9 | 39:35 | 42 |
| სევილია | 31 | 11 | 9 | 11 | 29:28 | 42 |
| ბეტისი | 31 | 11 | 9 | 11 | 41:43 | 42 |
| ატლეტიკო | 31 | 10 | 11 | 10 | 43:40 | 41 |
| ბილბაო | 31 | 11 | 8 | 12 | 47:51 | 41 |
| მალიორკა | 31 | 11 | 8 | 12 | 37:46 | 41 |
| ბარსელონა | 31 | 10 | 10 | 11 | 49:42 | 40 |
| რასინგი | 31 | 11 | 4 | 16 | 40:48 | 37 |
| ესპანიოლი | 31 | 9 | 9 | 13 | 38:42 | 36 |
| ვალიადოლიდი | 31 | 10 | 6 | 15 | 28:33 | 36 |
| ვილიარეალი | 31 | 9 | 9 | 13 | 30:41 | 36 |
| უელვა | 31 | 8 | 9 | 14 | 33:50 | 33 |
| ოსასუნა | 31 | 8 | 9 | 14 | 28:38 | 33 |
| ალავესი | 31 | 7 | 9 | 15 | 31:55 | 30 |
| რაიო ვალეკანო | 31 | 7 | 6 | 18 | 26:52 | 27 |

თანაბარქულიანი გუნდებს შორის უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის მქონეს



ფერნანდო მორიენტესი პარაგვაელებს სამი ქულით გაუმასპინძლდა

# სარბიელი კროკი
## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXXI ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ვერდერი-ჰერტა | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 18.30 | 002 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 003 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | |
| 18.30 | 004 | ნიურნბერგი-მიუნხენი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 18.30 | 005 | კოტბუსი-ჰამბურგი | 3,3 | 3,3 | 2,0 | 1,65 | 1,24 | 1,24 |
| 18.30 | 006 | ბოხუმი-მიონხენგლადბახი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.30 | 007 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 18.30 | 008 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | 009 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 0:1 | 2,2 | 3,2 | 2,3 | | |

**4 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 010 | ლევერკუზენი-არმინია | 1.7 | 3,4 | 4.6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.30 | 011 | ჰანზა-შალკე | 2,45 | 3,2 | 2.6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXI ტური

**4 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | ტრიერი-ფიურტი | 2,7 | 3.3 | 2,3 | 1,48 | 1,24 | 1,35 |
| 18.00 | 016 | ბრაუნშვაიგი-ლიუბეკი | 1.85 | 3,4 | 3,6 | 1.19 | 1,22 | 1,74 |
| 18.00 | 017 | ვალდჰოფი-ალემანია | 2.7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 18.00 | 018 | ობერჰაუზენი-დუისბურგი | 1,9 | 3.2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 18.00 | 019 | როიტლინგენი-კარლსრუე | 2,15 | 3,2 | 3.2 | 1.28 | 1,28 | 1,6 |

**5 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 020 | მაინცი-აინტრახტი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1.35 | 1,27 | 1,49 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXIX ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 030 | ქემნიცი-ერცგებირგე | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 17.00 | 031 | დინამო-ბაბელსბერგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.00 | 033 | მიუნსტერი-ოსნაბრიუკი | 2,8 | 3.2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 17.00 | 034 | ესენი-აუე | 2.0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 17.00 | 035 | ვუპერტალი-ლევერკუზენი(მ) | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |

**4 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 036 | კიოლნი(მ)-კილი | 2.4 | 3,3 | 2,4 | 1,38 | 1,2 | 1,38 |
| 17.00 | 037 | ფერლი-დორტმუნდი(მ) | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXIII ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 042 | კაიზერსლაუტერნი(მ)-ფრაიბურგი | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 17.30 | 043 | როიტლინგენი-შვაინფურტი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 044 | ჰოფენჰაიმი-ფულენდორფი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

**4 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 045 | უნტერჰახინგი-აუგსბურგი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 18.00 | 046 | კიკერსი-ზაარბრიუკენი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |

### ინგლისი
### პრემიერლიგა. XXXVII ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 051 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 052 | მანჩესტერი-ჩარლტონი 0:1 | 1,6 | 3,1 | 3,6 | | | |
| 19.00 | 053 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 19.00 | 054 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 19.00 | 055 | ფულჰემი-ევერტონი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 056 | ლივერპული-სიტი | 1,3 | 4.6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 057 | ლივერპული-სიტი 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,0 | | | |
| 19.00 | 058 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 059 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| | 060 | ნიუკასლი-ბირმინგემი 0:1 | 1.9 | 3,0 | 2,7 | | | |
| 19.00 | 061 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 21.30 | 062 | საუთჰემპტონი-ბოლტონი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |

**4 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.05 | 063 | არსენალი-ლიდსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1.02 | 1,15 | 2,75 |
| | 064 | არსენალი-ლიდსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXXVI ტური

**4 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 067 | ბრედფორდი-პორტსმუთი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 17.30 | 068 | დერბი-იფსვიჩი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 17.30 | 069 | ჯილინგემი-კრისტალ პალასი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 17.30 | 070 | გრიმსბი-ბრაიტონი | 3,4 | 3,5 | 1,9 | 1,72 | 1,21 | 1,23 |
| 17.30 | 071 | მილუოლი-ქოვენტრი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 17.30 | 072 | ნორვიჩი-პრესტონი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 17.30 | 073 | როტერჰემი-ნოტინგემი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 17.30 | 074 | უენსდი-უოლსოლი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 17.30 | 075 | სტოკი-რედინგი | 2,0 | 2,6 | 3,4 | 1,13 | 1,25 | 1,47 |
| 17.30 | 076 | უოტფორდი-შეფილდი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 17.30 | 077 | უიმბლდონი-ბარნლი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 17.30 | 078 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXXVI ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 083 | ბლეკპული-ჩესტერფილდი | 2,5 | 3,3 | 2,0 | 1,42 | 1,11 | 1,24 |
| 19.00 | 084 | ბრენტფორდი-პიტერბრო | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 085 | ბრისტოლი-პორტ ვეილი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 19.00 | 086 | კოლჩესტერი-ქუინზ პარკი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 087 | ქრიუ-კარდიფი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 088 | ჰადერსფილდი-ოლდემი | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 19.00 | 089 | მენსფილდი-ნორთჰემპტონი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 090 | ნოტსი-ჩელტენემი | 2,8 | 3,2 | 2,05 | 1,49 | 1,18 | 1,24 |
| 19.00 | 091 | პლიმუთი-უიკომბი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 092 | სტოკპორტი-ტრანმერი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 093 | სუინდონი-ლუტონი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 094 | უიგანი-ბარნსლი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 095 | უიგანი-ბარნსლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXXVI ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 101 | ბერი-რექსემი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 102 | კემბრიჯი-ბოსტონი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 103 | კარლაილი-ბორნმუთი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 104 | დარლინგტონი-ლეიტონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 105 | ექსეტერი-საუთენდი | 1,5 | 3,5 | 5,0 | 1,04 | 1,15 | 2,05 |
| 19.00 | 106 | კიდერმინსტერი-როვერსი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 107 | ლინკოლნი-ტორკი | 1,6 | 3,1 | 5,6 | 1,05 | 1,24 | 1,99 |
| 19.00 | 108 | მაკლსფილდი-როჩდეილი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 19.00 | 109 | ოქსფორდი-იორკი | 1,6 | 3,4 | 4,6 | 1,08 | 1,18 | 1,95 |
| 19.00 | 110 | რაშდენი-ჰარტლპული | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 111 | შრუსბერი-სკანთორპი | 3,0 | 3,3 | 2,0 | 1,57 | 1,2 | 1,24 |
| 19.00 | 112 | სუონსი-ჰალი | 1,5 | 3,5 | 4,0 | 1,04 | 1,09 | 1,86 |

### იტალია. სერია "A". XXXI ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 116 | ატალანტა-ინტერი | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 18.00 | 117 | კიევო-პიაჩენცა | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.00 | 118 | ლაციო-იუვენტუსი | 2,2 | 2,9 | 3,4 | 1,25 | 1,33 | 1,56 |
| 18.00 | 119 | მილანი-კომო | 1,05 | 6,0 | 14,0 | 1 | 1 | 4,19 |
| 18.00 | 120 | მოდენა-ემპოლი | 2,4 | 1,6 | 6,0 | 1 | 1,71 | 1,26 |
| 18.00 | 121 | პარმა-ბოლონია | 1,6 | 3,2 | 6,5 | 1,06 | 1,28 | 2,14 |
| 18.00 | 122 | პერუჯა-ბრეშა | 2,3 | 1,8 | 5,0 | 1 | 1,57 | 1,32 |
| 18.00 | 123 | რეჯინა-რომა | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 18.00 | 124 | ტორინო-უდინეზე | 3,6 | 3,2 | 1,7 | 1,69 | 1,15 | 1,11 |

### იტალია. სერია "B". XXXIII ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 126 | ანკონა-ბარი | 1,75 | 2,6 | 5,3 | 1,04 | 1,31 | 1,74 |
| 23.30 | 127 | ჯენოა-ასკოლი | 1,6 | 2,8 | 5,6 | 1,01 | 1,24 | 1,86 |
| 23.30 | 128 | ლეჩე-ვერონა | 1,6 | 3,0 | 7,0 | 1,04 | 1,3 | 2,09 |
| 23.30 | 129 | ტრიესტინა-ტერნანა | 2,2 | 2,7 | 3,4 | 1,21 | 1,33 | 1,5 |
| 23.30 | 130 | ვენეცია-სამპდორია | 2,2 | 2,5 | 3,8 | 1,17 | 1,39 | 1,5 |

**5 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 131 | სიენა-ლივორნო | 1,5 | 3,1 | 7,5 | 1,01 | 1,25 | 2,19 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXXII ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 156 | რეალი-მალიორკა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 157 | რეალი-მალიორკა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 00.30 | 158 | სოსიედადი-სევილია | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |

**4 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 159 | ალავესი-სელტა | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 20.30 | 160 | ვილიარეალი-მალაგა | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 21.00 | 161 | ბეტისი-ესპანიოლი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 162 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 21.00 | 163 | რასინგი-ვალენსია | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 22.00 | 164 | ოსასუნა-ბილბაო | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 22.30 | 165 | ბარსელონა-რაიო | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 166 | ბარსელონა-რაიო 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 24.00 | 167 | დეპორტივო-უელვა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |

### ესპანეთი
### II დივიზიონი. XXXIV ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 168 | კომპოსტელა-ხერესი | 2,5 | 2,8 | 2,9 | 1,32 | 1,34 | 1,42 |
| 21.30 | 169 | ეიბარი-ლას პალმასი | 2,45 | 2,6 | 3,2 | 1,26 | 1,38 | 1,43 |

**4 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 170 | ხეტაფე-ნუმანსია | 1.9 | 2,8 | 4,6 | 1,13 | 1,34 | 1,74 |
| 15.00 | 171 | მურსია-ალბასეტე | 2,25 | 2,5 | 3,8 | 1,18 | 1,41 | 1,5 |
| 21.00 | 172 | ოვიედო-ელჩე | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 21.00 | 173 | ფეროლი-სპორტინგი | 2,3 | 2,8 | 3,3 | 1,26 | 1,35 | 1,51 |
| 21.00 | 174 | კორდობა-სალამანკა | 2,35 | 2,6 | 3,4 | 1,23 | 1,38 | 1,47 |
| 21.00 | 175 | ალმერია-ტერასა | 2,05 | 2,9 | 3,8 | 1,2 | 1,33 | 1,64 |
| 22.00 | 176 | ტენერიფე-ლეგანესი | 1,85 | 2,8 | 4,2 | 1,11 | 1.28 | 1,68 |
| 22.00 | 177 | ლევანტე-ეხიდო | 1,65 | 3,1 | 6,0 | 1,07 | 1,29 | 2,04 |
| 22.00 | 178 | სარაგოსა-ბადახოსი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2.43 |

### საფრანგეთი
### I დივიზიონი. XXXV ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 179 | მარსელი-ბასტია | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| 23.00 | 180 | ლე ავრი-აიაჩო | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.00 | 181 | ბორდო-ისტრი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1.26 | 1,88 |
| 23.00 | 182 | გენგამი-ლანსი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 23.00 | 183 | სტრასბური-ლიონი | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1.29 | 1,25 |
| 23.00 | 184 | მონპელიე-ნანტი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 23.00 | 185 | ლილი-რენი | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1.18 | 1,33 | 1,68 |
| 23.00 | 186 | ნიცა-სედანი | 1,6 | 3,4 | 5.6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 23.00 | 187 | ტრუა-სოშო | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1.38 | 1,27 | 1,41 |

**4 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 188 | პსჟ-მონაკო | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1.42 |

### საფრანგეთი
### II დივიზიონი. XXXV ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 191 | კანი-მეცი | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1.32 | 1,37 |
| 23.00 | 192 | შატორუ-სენტ-ეტიენი | 1,65 | 3,1 | 6,0 | 1,07 | 1,29 | 2.04 |
| 23.00 | 193 | ამიენი-ტულუზი | 2,8 | 2,9 | 2,5 | 1,42 | 1,32 | 1.34 |
| 23.00 | 194 | კლერმონი-ისტრი | 1,9 | 2,9 | 4,0 | 1,14 | 1.28 | 1,68 |
| 23.00 | 195 | კრეტეი-ვალკუელი | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 23.00 | 196 | გენიონი-რეიმსი | 1,85 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,22 | 1,66 |
| 23.00 | 197 | ნანსი-ნიორი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 23.00 | 198 | ვალანსი-ბოვე | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |

### პორტუგალია. I ლიგა. XXX ტური

**3 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 200 | ბენფიკა-სპორტინგი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |

**4 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 201 | ნასიონალი-ვარზიმი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 20.00 | 202 | სეტუბალი-ფეირენსე | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1.3 | 1,26 | 1,59 |
| 20.00 | 203 | აკადემიკა-მორეირენსე | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 204 | ლეირია-ბრაგა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.15 | 205 | პორტუ-სანტა კლარა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1.11 | 3,33 |
| | 206 | პორტუ-სანტა კლარა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 01.30 | 207 | მარიტიმუ-ბოავისტა | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1.28 | 1,32 | 1,54 |

**5 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 208 | გიმარაეში-ჟილ ვისენტე | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  |  | **პორტუგალია. II ლიგა. XXX ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 20.00 | 211 | ალვერკა-ნავალი | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 20.00 | 212 | ავეში-შავეში | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| 20.00 | 213 | კოვილია-ფარენსე | 2,05 | 2,9 | 3,8 | 1,2 | 1,33 | 1,64 |
| 20.00 | 214 | ოვარენსე-სალგეიროში | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 20.00 | 215 | რიუ ავე-ამადორა | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 20.00 | 216 | ლეცა-მაია | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 217 | პენაფიელი-ფელგეირაში | 1,6 | 3,3 | 4,8 | 1,07 | 1,2 | 1,95 |
| 21.00 | 218 | პორტიმონენსე-მადეირა | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
|  |  | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXX ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 22.30 | 220 | აიაქსი-ვალვაიკი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
|  | 221 | აიაქსი-ვალვაიკი 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 |  |  |  |
| 22.30 | 222 | ზვოლე-როდა | 2,6 | 3,4 | 2,35 | 1,47 | 1,23 | 1,38 |
| 22.30 | 223 | პსვ-ალკმაარი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
|  | 224 | პსვ-ალკმაარი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 |  |  |  |
| 22.30 | 225 | ტილბურგი-ჰერენვენი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 23.00 | 226 | ვიტესი-ბრედა | 2,0 | 3,4 | 3,3 | 1,25 | 1,24 | 1,67 |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 16.00 | 227 | უტრეხტი-ფეიენოორდი | 3,6 | 3,4 | 1,85 | 1,74 | 1,22 | 1,19 |
| 17.30 | 228 | გრონინგენი-ნაიმეგენი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 17.30 | 229 | როზენდაალი-ტვენტე | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
|  |  | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XXX ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 17.30 | 238 | სპარტა-დენ ბოსხი | 2,3 | 3,5 | 2,6 | 1,38 | 1,22 | 1,49 |
|  |  | **ბელგია. I დივიზიონი. XXXI ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 21.00 | 242 | ბრიუგე-სტ.ტრუიდენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
|  | 243 | ბრიუგე-სტ.ტრუიდენი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 |  |  |  |
| 23.00 | 244 | მუსკრონი-ლუვიერი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 23.00 | 245 | გენტი-ვესტერლო | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 23.00 | 246 | გენკი-ლიერსი | 1,95 | 3,4 | 3,4 | 1,23 | 1,23 | 1,7 |
| 23.00 | 247 | ანტვერპენი-ბევერენი | 1,7 | 3,6 | 4,2 | 1,15 | 1,21 | 1,93 |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.00 | 248 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
|  | 249 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 |  |  |  |
| 23.00 | 250 | მონსი-ლოკერენი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
|  |  | **საბერძნეთი. XXVIII ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 21.00 | 263 | აეკ-არისი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 19.00 | 264 | პაოკ-პანიონიოსი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 20.00 | 265 | პანათინაიკოსი-ოფი | 1,1 | 4,0 | 20,0 | 1 | 1,04 | 3,33 |
|  |  | **ჩეხეთი. XXVI ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 17.25 | 274 | ჟიჟკოვი-სპარტა | 3,3 | 3,1 | 2,15 | 1,59 | 1,3 | 1,26 |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.30 | 275 | სიგმა-ბოჰემიანსი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.30 | 276 | ბლშანი-ლიბერეცი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.30 | 277 | პრჟიბრამი-ტეპლიცე | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 19.30 | 278 | იაბლონეცი-ბუდეიოვიცე | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 19.30 | 279 | ზლინი-სლოვაცკო | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 19.30 | 280 | ჰ.კრალოვე-ბრნო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
|  |  | **5 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.40 | 281 | სლავია-ბანიკი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
|  | 282 | სლავია-ბანიკი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 |  |  |  |
|  |  | **პოლონეთი. XXIV ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 285 | ოდრა-გურნიკი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 22.00 | 286 | პლოცკი-გროცლინი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 22.00 | 287 | ლეხი-რუხი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 288 | ვისლა-ზაგლებე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 22.00 | 289 | ამიკა-გარბარნია | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 17.30 | 290 | პოლონია-ლეგია | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
|  |  | **თურქეთი. XXX ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.30 | 291 | გენჩლერბირლიგი-ადანა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
|  | 292 | გენჩლერბირლიგი-ადანა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 |  |  |  |
| 18.30 | 293 | სამსუნი-ელაზიგი | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| 18.30 | 294 | ისთანბული-დენიზლი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 18.30 | 295 | ბურსა-ფენერბაჩე | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 21.00 | 296 | ბეშიქთაში-ალთაი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
|  | 297 | ბეშიქთაში-ალთაი 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 |  |  |  |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.30 | 298 | დიარბაქირი-გაზიანთეფი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.30 | 299 | ქოჯაელი-მალათია | 2,2 | 3,4 | 2,7 | 1,33 | 1,21 | 1,5 |
| 18.30 | 300 | გოზთეფე-ანკარაგუჯუ | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 21.00 | 301 | ტრაბზონი-გალათასარაი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
|  |  | **შოტლანდია** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **პრემიერლიგა. XXXV ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 302 | დანფერმლაინი-სელტიკი | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
| 19.00 | 303 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 304 | კილმარნოკი-ჰარტსი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 305 | ლივინგსტონი-პარტიკი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 19.00 | 306 | მაზერველი-დანდი იუნაიტედი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 307 | დანდი-რეინჯერსი | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
|  |  | **შოტლანდია. I დივიზიონი. XXXV ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 309 | არბროთი-ალოა | 3,8 | 3,5 | 1,75 | 1,82 | 1,19 | 1,16 |
| 19.00 | 310 | ეარი-კლაიდი | 2,7 | 3,4 | 2,25 | 1,5 | 1,22 | 1,35 |
| 19.00 | 311 | ინვერნესი-სტ.ჯონსტონი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| 19.00 | 312 | ქუინი-როსი | 2,25 | 3,4 | 2,4 | 1,35 | 1,16 | 1,4 |
| 19.00 | 313 | სტ.მირენი-ფოლკირკი | 3,5 | 3,5 | 1,85 | 1,75 | 1,21 | 1,21 |
|  |  | **შოტლანდია. II დივიზიონი. XXXV ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 316 | ერდრი-ჰამილტონი | 1,8 | 3,5 | 3,6 | 1,18 | 1,19 | 1,77 |
| 19.00 | 317 | ბრეხინი-დამბარტონი | 1,75 | 3,6 | 3,6 | 1,17 | 1,17 | 1,8 |
| 19.00 | 318 | კოუდენბითი-სტრანრარი | 3,0 | 3,5 | 2,0 | 1,61 | 1,2 | 1,27 |
| 19.00 | 319 | რეითი-ბერვიკი | 1,75 | 3,6 | 3,6 | 1,17 | 1,17 | 1,8 |
| 19.00 | 320 | სტენჰაუსმუირი-ფორფარი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
|  |  | **შოტლანდია. III დივიზიონი. XXXV ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 323 | ისტ სტირლინგი-ისტ ფაიფი | 7,0 | 4,4 | 1,35 | 2,7 | 1,13 | 1,03 |
| 19.00 | 324 | გრეტნა-ელგინი | 1,9 | 3,5 | 3,4 | 1,23 | 1,21 | 1,72 |
| 19.00 | 325 | პიტერჰედი-ალბიონი | 2,1 | 3,4 | 3,1 | 1,29 | 1,25 | 1,62 |
| 19.00 | 326 | ქუინზ პარკი-მონტროუზი | 2,25 | 3,4 | 2,8 | 1,35 | 1,24 | 1,53 |
| 19.00 | 327 | სტირლინგი-მორტონი | 3,5 | 3,5 | 1,85 | 1,75 | 1,21 | 1,21 |
|  |  | **დანია. XXVI ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 20.00 | 330 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1.6 | 1.28 | 1.28 |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.00 | 331 | ოლბორგი-ვიბორგი | 1,75 | 3,4 | 4.2 | 1.15 | 1,23 | 1.87 |
| 18.00 | 332 | ფარუმი-კოოგე | 1,5 | 4,0 | 5,6 | 1,09 | 1.18 | 2,33 |
| 18.00 | 333 | მიდტიულანდი-სილკებორგი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1.21 | 1.69 |
| 18.00 | 334 | ორჰუსი-ოდენსე | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1.59 |
| 20.35 | 335 | კოპენჰაგენი-აკადემიკი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1.2 | 2.32 |
|  |  | **ავსტრია. XXXII ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 18.30 | 336 | აუსტრია-კერნტენი | 1.4 | 4.2 | 7,0 | 1.04 | 1,16 | 2.62 |
|  | 337 | აუსტრია-კერნტენი 0:1 | 1,95 | 3.2 | 2.6 |  |  |  |
| 18.30 | 338 | რიდი-პაშინგი | 2,3 | 3.3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 18.30 | 339 | შტურმი-ზალცბურგი | 1.95 | 3.3 | 3,5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 18.30 | 340 | ადმირა-რაპიდი | 2,35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.30 | 341 | ბრეგენცი-გრაცერი | 3,1 | 3.2 | 2.2 | 1,57 | 1,28 | 1.3 |
|  |  | **შვეიცარია. A ჯგუფი. IX ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 22.30 | 342 | სერვეტი-გრასჰოპერი | 3.6 | 3.3 | 1.9 | 1.72 | 1.24 | 1.2 |
| 22.30 | 343 | ციურიხი-იანგ ბოისი | 2,1 | 3.2 | 3,3 | 1,26 | 1.28 | 1.62 |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 19.15 | 344 | ვილი-ბაზელი | 4.8 | 3,5 | 1.65 | 2,02 | 1.22 | 1.12 |
| 19.15 | 345 | თუნი-ქსამაქსი | 2,4 | 3.2 | 2,7 | 1,37 | 1.27 | 1.46 |
|  |  | **შვეიცარია** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **A/B ჯგუფი. IX ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 17.30 | 346 | დელემონი-სტ.გალენი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1.27 | 1,46 |
| 17.30 | 347 | კრიენსი-აარაუ | 2,5 | 3.2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1.4 |
| 19.15 | 348 | ვადუცი-სიონი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1.13 | 1.26 | 1,88 |
|  |  | **შვეიცარია** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **B ჯგუფი. IX ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **3 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 20.30 | 349 | კონკორდია-ვინტერთური | 1.65 | 3.5 | 4.8 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 20.30 | 350 | ბადენი-ლოზანა | 1.8 | 3.4 | 3.8 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 20.30 | 351 | ივერდონი-ბელინცონა | 2,05 | 3.2 | 3.4 | 1.24 | 1.27 | 1,64 |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 17.30 | 352 | შაფჰაუზენი-ვოლენი | 1,85 | 3,3 | 3.6 | 1,18 | 1,22 | 1.72 |
|  |  | **რუსეთი. VII ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 16.00 | 353 | კრილია-როსტსელმაში | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1.28 | 1,88 |
| 16.00 | 354 | ტორპედო-სპარტაკი | 3.1 | 3.1 | 2.15 | 1,55 | 1,26 | 1.26 |
| 16.00 | 355 | ურალანი-დინამო | 2,8 | 2,9 | 2,5 | 1,42 | 1.32 | 1.34 |
| 16.00 | 356 | ზენიტი-როტორი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1.03 | 1,17 | 2,6 |
| 16.00 | 357 | შინიკი-რუბინი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1.11 | 1,26 | 1,95 |
| 16.00 | 358 | მეტალურგი-ჩერნომორეცი | 2.35 | 3,0 | 3,0 | 1.31 | 1.31 | 1,5 |
| 16.00 | 359 | ალანია-სატურნი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1.25 | 1,36 |
|  |  | **5 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 16.00 | 360 | ცსკა-ლოკომოტივი | 1.95 | 3,1 | 3,6 | 1.19 | 1.26 | 1,66 |
|  |  | **შვედეთი. V ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 20.00 | 364 | ჰალმსტადი-ენკოპინგი | 1,4 | 4,0 | 7.5 | 1.03 | 1,17 | 2.6 |
|  | 365 | ჰალმსტადი-ენკოპინგი 0:1 | 1.95 | 3,2 | 2,6 |  |  |  |
| 20.00 | 366 | ორგრიტე-ლანდსკრონა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 20.00 | 367 | ისტერი-აიკ | 3,5 | 3.2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1.23 |
|  |  | **5 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 22.00 | 368 | ჰამარბი-მალმო | 1,85 | 3.3 | 3.8 | 1,18 | 1.24 | 1,76 |
| 22.00 | 369 | ჰელსინგბორგი-ორებრო | 1,65 | 3,5 | 4.8 | 1,12 | 1.22 | 2,02 |
| 22.00 | 370 | ელფსბორგი-სუნდსვალი | 2,2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1,57 |
|  |  | **ნორვეგია. IV ტური** |  |  |  |  |  |  |
|  |  | **4 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 21.00 | 371 | სტაბეკი-ბოდოე გლიმტი | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1.2 | 2.12 |
| 21.00 | 372 | ბრინი-ლილესტრომი | 2,45 | 3,4 | 2,45 | 1,42 | 1,22 | 1,42 |
| 21.00 | 373 | ტრომსო-ოდ გრენლანდი | 2,35 | 3.3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 21.00 | 374 | ვალერენგა-სოგნდალი | 2,0 | 3,4 | 3,3 | 1.25 | 1,24 | 1,67 |
| 21.00 | 375 | როზენბორგი-ალესუნდი | 1,15 | 5,6 | 11,0 |  |  |  |
|  | 376 | როზენბორგი-ალესუნდი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 |  |  |  |
| 24.00 | 377 | მოლდე-ლინი | 1,6 | 3,6 | 5.0 | 1,1 | 1.21 | 2,09 |
|  |  | **5 მაისი** |  |  |  |  |  |  |
| 22.00 | 378 | ბრანი-ვიკინგი | 2,45 | 3,4 | 2,45 | 1,42 | 1.22 | 1.42 |

## ფორმულა 1. ესპანეთი. 3 მაისი (23.45)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|
| მ.შუმახერი ---------------- 1,7 | 4101 -------- 1,15 | 4201 ------ 1,07 | 2,0 |
| ბარიკელო ---------------- 5,0 | 4102 -------- 1,55 | 4202 ------- 1,2 | 3,4 |
| რაიკონენი ---------------- 6,0 | 4103 ---------- 1,6 | 4203 ------ 1,25 | 4,4 |
| კულტჰარდი -------------- 6,5 | 4104 -------- 1,65 | 4204 ------ 1,25 | 6,0 |
| მონტოია ----------------- 9,0 | 4105 ---------- 2,5 | 4205 ------- 1,3 | 4,0 |
| რ.შუმახერი ------------ 10,0 | 4106 ---------- 2,7 | 4206 ------- 1,3 | 9,0 |
| ალონსო --------------- 40,0 | 4107 ---------- 6,0 | 4207 ------- 1,6 | 30,0 |
| ტრული ---------------- 40,0 | 4108 ---------- 7,0 | 4208 ------- 1,7 | 30,0 |
| ბატონი ---------------- 75,0 | 4109 -------- 15,0 | 4209 ------- 2,5 | 100,0 |
| ფრენცენი ------------- 75,0 | 4110 -------- 15,0 | 4210 ------- 2,5 | 100,0 |
| ჰაიდფელდი ----------- 75,0 | 4111 -------- 15,0 | 4211 ------- 3,0 | 100,0 |
| ვილნევი --------------- 75,0 | 4112 -------- 15,0 | 4212 ------- 3,0 | 100,0 |
| ფიზიკელა ------------- 75,0 | 4113 -------- 15,0 | 4213 ------- 3,0 | 100,0 |
| პანისი ----------------- 75,0 | 4114 -------- 15,0 | 4214 ------- 3,0 | 100,0 |

| 4301 გამარჯვებული გუნდი |
|---|
| ფერარი --------------- 1,6 |
| მაკლარენი ----------- 2,6 |
| უილიამსი ------------ 5,0 |
| რენო ---------------- 15,0 |
| ზაუბერი ------------- 40,0 |
| ბარ ------------------ 40,0 |
| ტოიოტა ------------- 50,0 |
| ჯორდანი ------------ 40,0 |
| იაგუარი ------------- 50,0 |
| მინარდი ------------ 150,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 3 მაისი | | | |
| 18.30 | 2501 | ვერდერი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2502 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2503 | ნიურნბერგი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2504 | კოტბუსი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2505 | ბოხუმი-მონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2506 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2507 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2508 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2509 | ფულემი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2510 | ლივერპული-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2511 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2512 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2513 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2514 | ატალანტა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2515 | კიევო-პიაჩენცა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2516 | ლაციო-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2517 | პარმა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2518 | რეჯინა-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 2519 | რეალი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2520 | სოსიედადი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 4 მაისი | | | |
| 20.30 | 2521 | ლევერკუზენი-არმინია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2522 | ჰანზა-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 2523 | არსენალი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2524 | ალავესი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2525 | ვილიარეალი-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2526 | ბეტისი-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2527 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2528 | რასინგი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2529 | ოსასუნა-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 2530 | ბარსელონა-რაიო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2531 | დეპორტივო-უელვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 3 მაისი | | |
| 18.30 | 2301 | ვერდერი-ჰერტა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2302 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2303 | ნიურნბერგი-მიუნხენი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2304 | კოტბუსი-ჰამბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2305 | ბოხუმი-მონხენგლადბახი | 1,55 | 2,1 |
| 18.30 | 2306 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2307 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,75 | 1,85 |
| 16.30 | 2308 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2309 | ფულემი-ევერტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2310 | ლივერპული-სიტი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2311 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2312 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2313 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2314 | ატალანტა-ინტერი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2315 | კიევო-პიაჩენცა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2316 | ლაციო-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2317 | პარმა-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2318 | რეჯინა-რომა | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 2319 | რეალი-მალიორკა | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2320 | სოსიედადი-სევილია | 1,75 | 1,85 |
| | | 4 მაისი | | |
| 20.30 | 2321 | ლევერკუზენი-არმინია | 1,6 | 2,0 |
| 20.30 | 2322 | ჰანზა-შალკე | 1,6 | 2,0 |
| 20.05 | 2323 | არსენალი-ლიდსი | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 2324 | ალავესი-სელტა | 1,7 | 1,9 |
| 20.30 | 2325 | ვილიარეალი-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2326 | ბეტისი-ესპანიოლი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2327 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2328 | რასინგი-ვალენსია | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2329 | ოსასუნა-ბილბაო | 1,75 | 1,85 |
| 22.30 | 2330 | ბარსელონა-რაიო | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2331 | დეპორტივო-უელვა | 1,75 | 1,85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 3 მაისი | | |
| 18.30 | 2201 | ვერდერი-ჰერტა | 1,9 | [illegible] |
| 18.30 | 2202 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2203 | ნიურნბერგი-მიუნხენი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2204 | კოტბუსი-ჰამბურგი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2205 | ბოხუმი-მონხენგლადბახი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2206 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2207 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,95 | 1,65 |
| 16.30 | 2208 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 2,1 | 1,55 |
| 19.00 | 2209 | ფულემი-ევერტონი | 1,85 | 1.75 |
| 19.00 | 2210 | ლივერპული-სიტი | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 2211 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2212 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2213 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2214 | ატალანტა-ინტერი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2215 | კიევო-პიაჩენცა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2216 | ლაციო-იუვენტუსი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2217 | პარმა-ბოლონია | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2218 | რეჯინა-რომა | 1,9 | 1,7 |
| 22.30 | 2219 | რეალი-მალიორკა | 2,1 | 1,55 |
| 00.30 | 2220 | სოსიედადი-სევილია | 1,9 | 1,7 |
| | | 4 მაისი | | |
| 20.30 | 2221 | ლევერკუზენი-არმინია | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 2222 | ჰანზა-შალკე | 1,9 | 1,7 |
| 20.05 | 2223 | არსენალი-ლიდსი | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 2224 | ალავესი-სელტა | 1,8 | 1,8 |
| 20.30 | 2225 | ვილიარეალი-მალაგა | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 2226 | ბეტისი-ესპანიოლი | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 2227 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2228 | რასინგი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2229 | ოსასუნა-ბილბაო | 1,8 | 1,8 |
| 22.30 | 2230 | ბარსელონა-რაიო | 2,1 | 1,55 |
| 24.00 | 2231 | დეპორტივო-უელვა | 1,9 | 1,7 |

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 მაისი | | | | | | | | | |
| 18.30 | 2101 | ვერდერი-ჰერტა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 2102 | დორტმუნდი-ვოლფსბ. | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 18.30 | 2103 | ნიურნბერგი-მიუნხენი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,6 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 18.30 | 2104 | კოტბუსი-ჰამბურგი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,6 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 18.30 | 2105 | ბოხუმი-მ.გლადბახი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 2106 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.30 | 2107 | ბაიერნი-კ.ლაუტერნი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 16.30 | 2108 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,6 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |
| 19.00 | 2109 | ფულემი-ევერტონი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 19.00 | 2110 | ლივერპული-სიტი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 19.00 | 2111 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 2112 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 2113 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.00 | 2114 | ატალანტა-ინტერი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.00 | 2115 | კიევო-პიაჩენცა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.00 | 2116 | ლაციო-იუვენტუსი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.00 | 2117 | პარმა-ბოლონია | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 2118 | რეჯინა-რომა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 22.30 | 2119 | რეალი-მალიორკა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 00.30 | 2120 | სოსიედადი-სევილია | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| | | 4 მაისი | | | | | | | | | |
| 20.30 | 2121 | ლევერკუზენი-არმინია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.30 | 2122 | ჰანზა-შალკე | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.05 | 2123 | არსენალი-ლიდსი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.30 | 2124 | ალავესი-სელტა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 20.30 | 2125 | ვილიარეალი-მალაგა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 21.00 | 2126 | ბეტისი-ესპანიოლი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 21.00 | 2127 | ვალიადოლ.-ატლეტიკო | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 21.00 | 2128 | რასინგი-ვალენსია | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 22.00 | 2129 | ოსასუნა-ბილბაო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 22.30 | 2130 | ბარსელონა-რაიო | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 24.00 | 2131 | დეპორტივო-უელვა | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

## I ტაიმის შედეგები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 მაისი | | | | | | |
| 18.30 | 2001 | ვერდერი-ჰერტა | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1;28 |
| 18.30 | 2002 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1.26 | 2,24 |
| 18.30 | 2003 | ნიურნბერგი-მიუნხენი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 18.30 | 2004 | კოტბუსი-ჰამბურგი | 4,0 | 2,1 | 2,45 | 1,37 | 1,51 | 1,13 |
| 18.30 | 2005 | ბოხუმი-მონხენგლადბახი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 18.30 | 2006 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| 18.30 | 2007 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,85 | 2,35 | 5,6 | 1,03 | 1,39 | 1,65 |
| 16.30 | 2008 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1,3 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,76 |
| 19.00 | 2009 | ფულემი-ევერტონი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 19.00 | 2010 | ლივერპული-სიტი | 1,5 | 3,2 | 7,0 | 1,02 | 1,23 | 2.19 |
| 19.00 | 2011 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 19.00 | 2012 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1,55 | 3,0 | 7,0 | 1,02 | 1,26 | 2,09 |
| 19.00 | 2013 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1.24 | 1,57 | 1,23 |
| 18.00 | 2014 | ატალანტა-ინტერი | 3,2 | 2,0 | 3,2 | 1,23 | 1,6 | 1.23 |
| 18.00 | 2015 | კიევო-პიაჩენცა | 2,05 | 2,15 | 5,6 | 1,04 | 1,5 | 1,55 |
| 18.00 | 2016 | ლაციო-იუვენტუსი | 2,7 | 2,0 | 3,8 | 1,14 | 1,57 | 1,31 |
| 18.00 | 2017 | პარმა-ბოლონია | 2,0 | 2,2 | 5,6 | 1,04 | 1,47 | 1,57 |
| 18.00 | 2018 | რეჯინა-რომა | 2,8 | 2,0 | 3,6 | 1,16 | 1,57 | 1,28 |
| 22.30 | 2019 | რეალი-მალიორკა | 1,55 | 3,0 | 7,0 | 1,02 | 1,26 | 2,09 |
| 00.30 | 2020 | სოსიედადი-სევილია | 1,8 | 2,4 | 5,6 | 1,02 | 1,36 | 1,68 |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 20.30 | 2021 | ლევერკუზენი-არმინია | 2,1 | 2,2 | 5,0 | 1.07 | 1,47 | 1,52 |
| 20.30 | 2022 | ჰანზა-შალკე | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 20.05 | 2023 | არსენალი-ლიდსი | 1,6 | 2,9 | 6,5 | 1,03 | 1,28 | 2 |
| 20.30 | 2024 | ალავესი-სელტა | 3,3 | 2,05 | 3,0 | 1,26 | 1,57 | 1,21 |
| 20.30 | 2025 | ვილიარეალი-მალაგა | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 21.00 | 2026 | ბეტისი-ესპანიოლი | 2,15 | 2,1 | 5,3 | 1,06 | 1,52 | 1,5 |
| 21.00 | 2027 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 21.00 | 2028 | რასინგი-ვალენსია | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1,18 |
| 22.00 | 2029 | ოსასუნა-ბილბაო | 2,5 | 2,05 | 4.0 | 1.12 | 1,53 | 1,35 |
| 22.30 | 2030 | ბარსელონა-რაიო | 1,4 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,38 |
| 24.00 | 2031 | დეპორტივო-უელვა | 1,6 | 2,9 | 6,5 | 1,03 | 1,28 | 2 |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46

(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

პროპომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი. პირველი წრე ორ მოგებამდე

2 მაისი. ვერის ბაღი

**სტუ-ჯეოსელი 2:0 მაკაბი**

**მაკაბი 79:84 სტუ-ჯეოსელი**

33:14, 13:29, 14:15, 19:26

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (30), ანდღულაძე (7), კონჯარია (16), ფიცხელაური (11), სუხიშვილი (13); ვაშაკიძე, აკოლაშვილი, ნინოშვილი
**სტუ-ჯეოსელი:** ტულუში (14), გაგნიძე (2), ხეცურიანი (21), ტუჯანი (12), ნოზაძე (2); მარხვაშვილი (13), ოთიურიძე (13), ლაფანაშვილი (5), მუშკუდიანი (2)
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
**კომისარი:** მურმან ქურიძე

2 მაისი. ბათუმი

**ბასკო 2:0 ქუთაისი**

**ქუთაისი 101:118 ბასკო**

## ჯადოს მოხსნა დარეკეთ ჯეოსელში

**რეგულარული** ჩემპიონატის მე-3 ადგილოსანი სტუ-ჯეოსელი გუშინ ნახევარფინალში გავიდა, სადაც „ქუთაისის“ იოლად მომრევ ბათუმის „ბასკოს“ დაეჯახება. მომავალი მეტოქის დარად, არც სტუ-ს დააწყდა ნერვები მეოთხედფინალურ ბარიერზე გადაბიჯებისას, მაგრამ ის, რაც ტექნიკოსებს გაუიოლდათ „მაკაბისთან“ გაუჭირდებათ მომდევნო მეტოქესთან. გუშინდელ მატჩში ნაჩვენები თამაშით ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი შორს ვერ წავა.

„მაკაბიმ“, რომელმაც გუშინწინ პირველი მატჩი დიდი სხვაობით, 66:102 წააგო, გუშინ რაღაც მანქანებით მეტოქისთვის პასუხი გაცემა შეძლო და პლეი ოფს ინტერესის ნასახი დაატყო.

ყველასთვის მოულოდნელად, ყველაში კი სულ რაღაც ოცდაათამდე ქომაგი და რამდენიმე ჟურნალისტი ჩაიწერება, გუშინ „მაკაბიმ“ სწორედ რომ საპლეიოფო ცეცხლი შეუნთო და კინაღამ დაამარცხა სტუ, მაგრამ კინაღამ ხომ არ ითვლება, ითვლება ის ანგარიში, რაც 40 წუთის შემდეგ შერჩება ტაბლოს, ტაბლომ კი მებრძოლი „მაკაბის“ სამწუხაროდ სტუ-ს გამარჯვება აჩვენა.

მივყვეთ თანმიმდევრობით:

მეორე მატჩის დებიუტი სტუ-სი იყო. ტექნიკოსებმა ეს შეხვედრაც სწრაფ ტემპში დაიწყეს და 7:2 დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ ამის შემდეგ როგორღაც გაიმრუდეს იოლი გამარჯვებისკენ მიმავალი გზა. თითქოს ვიღაცამ „მაკაბის“ ფარს შეულოცა, ტექნიკოსთა ჩუბინი მსროლელები ჟოლიველ ტუჯანი, შიო ხეცურიანი და საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატი კოტე ტულუში ზედიზედ აცილებდნენ ახლო მანძილიდან. მეტოქე კი სწრაფი და რაც მთავარია, შედეგიანი შეტევით პასუხობდა „აჭრილ“ ტექნიკოსებს. განსაკუთრებით გამოირჩნენ ირაკლი ბერიშვილი და ირაკლი კონჯარია. ბერიშვილმა რაც ისროლა, მგონი ყველა ჩააგდო, ხოლო კონჯარიამ მნიშვნელოვან ეროზოდებში უთავაზა სამიანები ფავორიტს. ამასობაში სხვა მაკაბელებმაც გაისწორეს სამიზნე და მეტოქის კალათა მოაოხრეს. მეორე მეოთხედის დებიუტში „მაკაბი“ 21 ქულით გაექცა სტუ-ს და საქმეს ისეთი პირი გამოუჩნდა, რომ გაუთვალისწინებელი მე-3 მატჩის გამართვა გახდებოდა საჭირო, მაგრამ სტუდენტები დროულად გამოფხიზლდნენ.

„მაკაბის“ ფარს ჯადო ტულუშმა და ხეცურიანმა ახსნეს. მათ მხარი ახალგაზრდა გიორგი მარხვაშვილმაც აუბა და სტუ დაკარგულის ანაზღაურებას შეუდგა. თავისი თამაში იპოვა ტუჯანმაც, რომელმაც ორჯერ ჩაუჭრა მეტოქეს ბურთი და ორჯერვე ჩაუტენა. მეორე მეოთხედის ბოლო ხუთი წუთში სტუ-მ იმდენი ქნა, რომ 21-ქულიანი ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირა.

მატჩის სურათი არც დიდი შესვენების შემდეგ შეცვლილა. ხეცურიანმა განაგრძო მოწინააღმდეგეთა რბევა, ტულუში კი სამქულიანებით ნელნელა ამცირებდა ანგარიშში სხვაობას — მესამე მეოთხედის შემდეგ „მაკაბი“ კვლავაც წინ იყო რამდენიმე ქულით, რაც მარტო ერთი კაცის, ირაკლი ბერიშვილის დამსახურებაა.

მაგრამ ბოლოსკენ მაკაბელთა ქულების მანქანა ბერიშვილიც დაიღალა და სტუ-ც მოწყდა მდევარს. ბოლო მეოთხედში სტუდენტთა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა ტუჯანს ახმახი ვასილ ოთიურიძე შეაშველა და ამ წყვილმა ორივე ფარი დაიპყრო. ოთიურიძემ სულაც მისთვის უჩვეულოდ შორიდან გაშალა ხელი, თსამიდან სამი სამქულიანი ჩააგდო და ზედ ერთი ეფექტური გარღვევაც დაურთო. „მაკაბის“ ამბავიც აქ მორჩა. სტუ-მ მეოთხე მეოთხედში საბოლოოდ მოათვინიერა „ურჩი“ მეტოქე.

ვერისბაღული მატჩის პარალელურად ბათუმში დამთავრდა მეორე მეოთხედფინალური სერია, ბათუმის „ბასკომ“ 118:101 დასცა მოძმე მეზობელი „ქუთაისი“ და ახლა სტუ-ს დასახვედრად მოემზადება.

**ბაჩო სვანიძე**

**NBA PLAY OFF პირველი წრე ოთხ მოგებამდე**

# წმინდაო ანტონიო, რა დავაშავეთ?!

## გველის მომრევი გველეშაპს შეეყარა

1 მაისი

### აღმოსავლეთი

**ნიუ ჯერსი 4:2 მილუოკი**

**მილუოკი 101:113 ნიუ ჯერსი**

**მილუოკი:** პეიტონი (24), კასელი (5), დ. მეისონი (15), ტომასი (13), ჯონსონი (2); რედი (20), კუკოჩი (16), ე. მეისონი (4), პეისლიპი (2)
**ნიუ ჯერსი:** კიდი (22 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი), კიტლზი (12), ჯეფერსონი (16), მარტინი (29), კოლინზი (6); უილიამსი (12), როჯერსი (8), ჰარისი (8), ჯონსონი, სლეი, სკალაბრინი

ძალიან კი გაეწელა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს „ნიუ ჯერსი“ მორჩა „მილუოკისთან“ ლოლიავს და ახლა მთელ თავის გონებრივ იმპულსებს, მომდევნო მეტოქისკენ, „ბოსტონისკენ“ მიმართეს, რომლის მორევის გამოცდილება „ნეტსს“ მოეძევება. შარშან აღმოსავლეთის ფინალში „ბადეებმა“ 4:2 ძლიეს „მწვანე არმიას“, რომელიც ამ ეპოქაში ისე ზარდამცემი ვერაა, როგორც 60-იანებში ან, თუნდ 80-იანებში, მაგრამ რაღაცა რომ შეუძლია, ამას ინდიანელებიც დაიქნევენ თავს.

წესით, „ნიუ ჯერსის“, აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდს, უფრო იოლად უნდა დაეჯაბნა „მილუოკი“ — აღმოსავლელ მეპლეიოფეებში უსუსტესი, მაგრამ გამარჯვებულები ამას არ ჩივიან. ცდილობენ, ზედმეტი ენერგიის ხარჯვაშიც იპოვონ გამართლება — აქაოდა, რაც უფრო გიჭირს ნაყოფის მოწყვეტა, მით უფრო გეგემრიელება იგიო.

გამარჯვების მთავარი მომწყვეტი კი „ჯერსის“ თეთრი გამთამაშებელი ჯეისონ კიდი გახლავთ, ვინაც ბოლოს და ბოლოს მიაგნო ნამდვილ ჯეისონ კიდს და მეექვსე თამაშში 22 ქულა, 11 პასი და 11 მოხსნა დაუკრიფა „ბადეებს“. ხოლო ამათმა მწვრთნელმა ბაირონ სკოტმა კიდს გვერდით ამოუყენა კენიონ მარტინი და რიჩარდ ჯეფერსონი. თქვა, თუ რამენი ვართ, ამ ბიჭებით ვართო და ამ სამეულს „დიდი ტრიო“ უწოდა. ჩვენ კი შევნიშნოთ, რომ „დიდი ტრიო“, რომელიც ნიუჯერსულზე დიდი იყო, „მილუოკისაც“ ჰყავდა, მაგრამ ვერ შეიშნო და დაშალა. გლენ რობინსონი „ატლანტაში“ გაცვალა, რეი ალენი — „მილუოკიში“, „ტრიოს“ მესამე წევრი სემ კასელი კი დღესაც ამ „ბაქსისთვის“ ილვწის, უფრო სწორედ, ილვწოდა გუშინწინდლამდე. გუშინწინ კი მან ისე ცუდად ითამაშა, რომ კარიერის პირველ წლებშიც, როცა თავის გუნდში (ჰიუსტონი) მეთერთმეტე-მეთორმეტე კაცად ეწერა, მაშინაც არ თამაშობდა ასე უხეიროდ გადამწყვეტ შეხვედრაში მხოლოდ 5 ქულის ჩამგდებმა კასელმა „მილუოკი“ მაგრად გადააგდო.

**ინდიანა 2:4 ბოსტონი**

**ბოსტონი 110:90 ინდიანა**

**ბოსტონი:** დელკი (15), პირსი (27), მაკკარტი (13), უოლკერი (21), ბათი (5); ბრემერი (12), უილიამსი (10), ბლუნტი (7), ბრაუნი, ლონგი
**ინდიანა:** ტინსლი (2), რ. მილერი (8), არტესტი (20), ონილი (25 ქულა, 19 მოხსნა), ბ. მილერი (2); სტრიკლენდი (12), ბენდერი (12), ჰარინგტონი (5), პოლტერი (4), ჰარდევეი, მერსერი

რეგულარულ ჩემპიონატებში საშუალო გუნდად წარმოჩენილი „ბოსტონ სელტიქსი“ რიგიან საპლეიოფო გუნდად ყალიბდება, მისი ყოჩი პოლ პირსი კი ბოლო წუთების კალათბურთელად. ამ ჯერზე, როცა ბოსტონელებმა წერტილი დაუსვეს ჯერაც აზრზემოუსვლელ ინდიანელთა ტანჯვას, პირსმა და მისმა არმიამ დააჩქარეს მოვლენების განვითარება და პირველივე მეოთხედში მოუთავეს ხელი მეტოქეს.

„ინდიანას“ სერიოზული პრობლემები აქვს, რაც სავსებით შესაძლებელია, მალე იქცეს მისი მწვრთნელის, აიზია ტომასის პირად პრობლემად. ჯერჯერობით ინდიანური რეალობა ასეთია — ბევრი კარგი კალათბურთელი ტომასმა გუნდად ვერ შეკრა. „პეისერზი“ „სელტიქს“ ექვს თამაშში ერთნახევარი კაცით ეომებოდა. სტაბილურად კარგ ჯერმენ ონილს ხან მხოლოდ რონ არტესტი ეხმარებოდა, ხანაც ბეხრეკი რეჯი მილერი. მილერმა სერიაში ერთხელ გაიბრწყინა და ერთი გამარჯვება ჩაუდო პირდაფჩენილ თავისიანებს, მერე კი დადგა. თუმც ეს ვერ ამართლებს დანარჩენებს. როდემდე უნდა იყვნენ ისინი ერთი კაცის შემყურენი?

ამასთან მილერი ბოლო სროლის კაცია, „პეისერზმა“ კი თამაში თავიდანვე წააგო, როცა საწყისი მეოთხედი 15:33 აჩუქა მეტოქეს.

### დასავლეთი

**სან ანტონიო 4:2 ფინიქსი**

**ფინიქსი 85:87 სან ანტონიო**

**ფინიქსი:** მარბერი (18), ჰარდევეი (10), მარიონი (24 ქულა, 15 მოხსნა), სტუდემაიერი (18 ქულა, 10 მოხსნა), უილიამსი (2); ჯონსონი (11), ეოსკული (2), აუთლოო, ჯეკობსენი
**სან ანტონიო:** პარკერი (17), ჯეკსონი (21), ბოუენი, დანკანი (15 ქულა, 20 მოხსნა, 10 პასი), რობინსონი (6 ქულა, 12 მოხსნა); ჯინობილი (12), როუზი (7), კლაქსტონი (6), სმიტი (3), ფერი

„ამ გუნდმა რეგულარულშიც და პლეი ოფშიც ერთი გუნდის კვალობაზე ძალზე ბევრი უსიამოვნება მოგვაყენა. ბედნიერები ვართ, რომ მათთან თამაში აღარ მოგვიწევს“ — ნამატჩევს შვებით სუნთქავდა სანანტონიოელი სტივენ ჯეკსონი. რეგულარულ სეზონში ოთხიდან სამი თამაშის მომგები „ფინიქსი“ ახლაც მაგრად აწვალებდა გოროზ „სან ანტონიოს“ და მისი გადაყლაპვის მოსურნეს ლამის ყელშიც გაეჩირა. მეექვსე და ბოლო თამაშშიც ვერ დაჩაგრა „სფურზმა“ „სანზი“, აქაც მანუ ჯინობილის და ჯეკსონის სამიანების წყალობით, მხოლოდ ორი ქულით მოუგო კერკეტ მეტოქეს.

ფინიქსელებმა ახლაც შეუკრეს არტახები „სფურზის“ მონსტრ ტიმ დანკანს. დამარცხებულთა ჯეელმა ფორვარდმა ამარე სტუდემაიერმა კვლავ დანკანზე მეტი ქულა მიითვალა. ეგაა, ამ უკანასკნელმა გამოცდილების და უკეთესი ფიზიკური მონაცემების წყალობით ქულების დეფიციტი 20 მოხსნითა და 10 პასით შეავსო და კარიერაში მეორე საპლეიოფო სამმაგი დუბლი შეასრულა.

„სან ანტონიო“ გადასარევი გუნდია, ვინძლო, ჩემპიონობასაც იმსახურებდეს, მაგრამ პლეი ოფში იოლი ცხოვრება არ ექნება. ტეხასელებმა ერთი ჭირი კი მოიშორეს, მაგრამ ახლა უარესი ელით — ბოლო სამი სეზონის ჩემპიონმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ „მინესოტა“ ჩამოიშორა გზიდან და ახლა „სფურზისკენ“ მოგორავს.

**მინესოტა 2:4 ლეიკერსი**

**ლეიკერსი 101:85 მინესოტა**

**ლეიკერსი:** ფიშერი (16), ბრაიანტი (31), ჯორჯი (12), ჰორი (11 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (24 ქულა, 17 მოხსნა, 9 პასი); შოუ (2), რაში (2), მედვედენკო (2), პარგო (1), მადსენი, უოლკერი
**მინესოტა:** ჰადსონი (18), პილერი (2), შჩერბიაკი (14), გარნეტი (18 ქულა, 12 მოხსნა), ნესტეროვიჩი (8); გილი (10), სმიტი (8), ჯეკსონი (4), სტრიკლენდი (2), ტრენტი (1), ვილკსი

სანანტონიოელებს მომდევნო მეტოქედ „მინესოტა“ ერჩივნათ, რაკი ესაა წამგები გუნდი. „ვულვზი“ მანამდე ზედიზედ ექვსჯერ გავარდნილიყო პლეი ოფის პირველი რაუნდიდან (ესეც მეშვიდედ გავარდა) და საერთოდ არასდროს მოუგია საპლეიოფო სერია. „ლეიკერსი“ კი მაინც საშიშია „სან ანტონიოსთვისაც“ და ყველა დანარჩენისთვისაც, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მეხუთე ნომრადაა განთესილი, რაც უარესი შედეგია „ლეიკერსისთვის“ შაკილ ონილის ეპოქაში.

მინესოტელი „მგლები“ ბოლომდე იბრძოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. შაკილ ონილი საშინლად დიდი აღმოჩნდა მინესოტელი მაღლებისთვის, კობი ბრაიანტი კი ერთობ სწრაფი. დაბლებისთვის „მგლებს“ არ ეყოთ გამოცდილებაც, 30:25 მოგებული საწყისი მეოთხედის შემდეგ ისინი მხოლოდ ძალმა მიექანებოდნენ და ჩაიჭრნენ თითქმის ყველა სათამაშო კომპონენტში.

„სან ანტონიო“ — „ლეიკერსი“ უდავოდ საინტერესო და ზედაძაბული სერია იქნება, ისეთი, ტიტანთა შერკინებას რომ ეძახიან. ფსიქოლოგიური ტვირთი ორივე გუნდს დააწვება, რაკი „ლეიკერსი“ მოქმედი ჩემპიონია, ხოლო „სფურზი“ ამ სეზონის საუკეთესო გუნდი. ისე, გავიხსენოთ, რომ „ლეიკერსს“ „სფურზი“ ბოლო ორი პლეი ოფიდან 4:1 და 4:0 გაუპანღურებია. სამაგიეროდ, „სფურზს“ „ლეიკერსისთვის“ ამ რეგულარულ სეზონში ოთხი თამაშიდან ოთხივე მოუგია.

**კოტე ყორშია**







REUTERS

კობი ბრაიანტმა და მისმა „ლეიკერსმა“ კევინ გარნეტის „მინესოტა“ გაატყავეს

# ჯილბერტი ღვინოსავით კაცია, უფრო და უფრო კარგდება

**გუშინწინ** ჩრდილოამერიკელმა საკალათბურთო ჟურნალისტებმა კიდევ ერთი გამოკითხვა მოაწყვეს ერთმანეთში და გამოავლინეს სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშე. პირველობა შეხვდა „გოლდენ სტეიტ ვორიოზის“ 196-სანტიმეტრიან გამთამაშებელს ჯილბერტ არენასს.

არენასს ოდნავ ჩამორჩა „იუტა ჯაზის“ ფორვარდი მეტ ჰარპრინგი. წინა სეზონთან შედარებით, წლეულს შესამჩნევად მოუმატეს და გამოკითხვაშიც ბლომად ხმები მოაგროვეს გოლდენსტეიტელმავე ტროი მერფიმ და სანანტონიოელმა ტონი პარკერმა, თუმც პრიზი შეხვდა ამათზე დამსახურებულს.

არენასისთვის ეს სეზონი მხოლოდ მეორე იყო ნბა-ში და ისევე მოულოდნელად კარგი, როგორც პირველი. პირველ წელს არენასი მატჩში საშუალოდ 10,9 ქულას, 2,8 მოხსნას და 3,7 პასს აგროვებდა, არადა, წესით, როგორც დრაფტის მეორე წრეში მხოლოდ ზრდილობის გამო არჩეულს უკეთეს შემთხვევაში სათადარიგოთა სკამი უნდა გაეხეხა. პირველ სეზონში ნაყოჩალებ უკანახაზელს ზუსტად მოუნახა ადგილი „გოლდენ სტეიტის“ ახალბედა, მაგრამ რიგიანმა მწვრთნელმა ერიკ მუსელმანმა — გუნდის პირველი გამთამაშებელი. ამ პოზიციაზე არენასმა სასტარტო ხუთეულში დაიწყო გუნდის 82-ვე თამაში და მეომრებს საშუალოდ მოუტანა 18,3 ქულა, 6,3 პასი და 4,7 მოხსნა. გარდა ამისა, „ვაშინგტონთან“ შეხვედრაში მაიკლ ჯორდანის წინაამდეგ არენასმა 41 ქულა გააკეთა. ძირითადად არენასის ზრდის ხარჯზე მარად აუტსაიდერმა „ვორიორზმა“ თავი დაალწია ცხრილის ფსკერს და პლეი ოფისთვის მებრძოლებშიც გაერია.

**კოტე ყორშია**



ჯილბერტ არენასი





მორესმო და დოკიჩი: ყველაზე კაცური და ყველაზე ქალური ნახევარფინალში დაწყვილდნენ

# ქარი ქრის, ქალს უქრის

**J&S CUP**
**ვარშავა. თიხნარი**
**საპრიზო 700 ათასი $**

### მეორე წრე

**ვინუს უილიამსი (1, აშშ) — სუსანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:3; ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — რენატა ვორაცოვა (ჩეხეთი) 2:6, 6:2, 6:0; ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) — დანიელა ჰანტუხოვა (3, სლოვაკეთი) 6:2, 6:4; ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) — ელენი დანილიდუ (6, საბერძნეთი) 6:1, 6:1; მაგი სერნა (ესპანეთი) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 4:6, 6:1, 6:2; დენიზა ჰლადკოვა (ჩეხეთი) — არანჩა პარა (ესპანეთი) 6:1, 7:5**

იმ დღეს ვარშავულ არტმომზადებაში მძიმე ქვემეხებიც ჩაერივნენ. ვინუს უილიამსმა ჩეხი ონდრაშკოვა შემუსრა. ამელი მორესმომ ონდრაშკოვას თვისტომ ვორაცოვას აჯობა, თუმცა კი საამისოდ წაგებული სეტის შემდეგ მთელი თავის ათას კორტზე შეძენილი გამოცდილების მიხმობა დასჭირდა.

ეს უკვე მერამდენედ ჩაიფლავა წლეულს ვერავერის მომგებმა და ერთობ ისე-რა მოთამაშე დანიელა ჰანტუხოვამ, რომელსაც იქ რანგით მე-3 ნოვანი უნდა ეჭნია, მაგრამ იმდღევანდლის მერე რას გააჭნევს, არავინ უწყის. იმ დღეს კი დანიელას მტვრიანი ქარი და ანაზდად ამოუვნებული ფაბიოლა სულუაგა გაუსწორდნენ. ძალიან იმედგაცრუებული ვარო, იძახდა მერე სექსფენება სლოვაკი და ყველაფერს მაინც პირშიმქროლ ქარბორიას აბრალებდა. აქაოდა — აგრესიულობა მეწადა და ქარმა არ დამანება.

სხვა კი რაღა გითხრათ. არ იქნა და არ დაცხრა უპრიმბორესი ესპანელი მაგი სერნა, რომელმაც სამი კვირის წინ ემტორილის ტურნირი მოიგო, მერე ბუდაპეშტის ტურნირი მიაყოლა, მერე კი ფედთასზე შინ ავსტრალიელთა დაჩაგვრაშიც იმონაწილევა და იმ დღეს ჩეხ კლეინოვას ძლევით ზედიზედ მე-12 თიხნარგამარჯვება მიითვალა.

ვარშავულ ტიტულსაც ზეპურ მდევრებს სწორედ ეგ თუ შეეცილება.

### მეოთხედფინალი

**ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 2:6, 6:3, 6:3; ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — ანა პისტოლეზი (7, ისრაელი) 3:6, 6:4, 6:3; ელენა დოკიჩი (4, იუგოსლავია) — მაგი სერნა (ესპანეთი) 7:5, 6:2; დენისა ჰლადკოვა (ჩეხეთი) — ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია) 7:5, 7:5**

### ნახევარფინალური წყვილები

**უილიამსი — ჰლადკოვა**
**მორესმო — დოკიჩი**

**CAM OPEN COMUNIDAD VALENCIANA PRESENTED BY ONOFRE**
**ვალენსია. თიხნარი**
**საპრიზო 400 ათასი ევრო**

### მეორე წრე

**ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:4, 6:4; გასტონ გაუდიო (4, არგენტინა) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 3:6, 6:4, 6:4; აგუსტინ კალერი (5, არგენტინა) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:1, 5:7, 6:2; კრისტოფ როხუსი (ბელგია) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 6:4, 6:0; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 7:5, 3:6, 6:3**

ხუან კარლოს ფერერომ ზედიზედ უკვე მესამე მეოთხედფინალს მიაღწია. გეხსომებათ — ამის წინისწინა კვირაში მან მონტე კარლოურ მასტერსთიხნარზე იმარჯვა, ნამონტეკარლოევს ბარსელონურ ნახევარფინალში გავიდა, ამჟამად კი მშობლიურ ვალენსიაში ჩაუქრობს და იმ დღეს რომ თვისტომ პორტასს სძლია, წლეულს თიხნარზე ნათამაშებ მე-15 შეხვედრაში ეს მისი მე-14 გამარჯვება იყო.

მეოთხედფინალში 23 წლის კოლობიჭი სამი წლით უფროს არგენტინელს, წლევანდელი აკაპულკოს ჩემპიონსა და მისდარად ბარსელონის ნახევარფინალისტ აგუსტინ კალერის შეხვდება. კალერიმ, რომელსაც წლეულს ასევე რიგიანი სათიხნარო სეზონი აქვს, იმ დღეს სლოვაკ ჰრბატის აჯობა.

იმის მიუხედავად, რომ ფერეროცა და კალერიც მეთიხნარეთა ამქრის გამორჩეული წარმომადგენლები არიან, ერთმანეთში არასოდეს უთამაშიათ. მათი მეოთხედფინალური შეხლაც ამიტომ დამატებით მუღამს შეიძენს...

სხვაფრივ: მეოთხე ნომრად განთესილი გასტონ გაუდიოს გამარჯვებით დასრულდა წინა დღეს დაისის გამო გადადებული მატჩი მასა და ესპანელ ბლანკოს შორის. ბიჭებს გადამწყვეტი სეტი ჰქონდათ სათამაშო და გაუდიომ ის სეტი 6:4 მოიგო.

შევახსენებთ, რომ ეს ფიცხი არგენტინელი გაუჩო ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია, ოღონდ ტურნირი მაშინ ვალენსიაში კი არა, მალიორკაში გაიმართა.

**BWM OPEN BY CREDIT SUISSE**
**მიუნხენი. თიხნარი**
**საპრიზო 380 ათასი ევრო**

### მეორე წრე

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:4, 6:3; რაინერ შიუტლერი (4, გერმანია) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 4:6, 6:2, 6:3; მიხაილ იუჟნი (6, რუსეთი) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 3:6, 6:4, 6:1; შტეფან კუბეკი (ავსტრია) — ტიმ ჰენმანი (7, ბრიტანეთი) 6:4, 6:0**

ჰოლანდიელი სლოიტერის დასამარცხებლად და სეზონში მეორე თიხნარმატჩის მოსაგებად შვეიცარიელ როჯერ ფედერერს მეორე სეტში დათმობილი თავისი გეიმის უკუგებაც მოუხდა. ის 1:3 აგებდა და მობოშებული სადავეები დროზე რომ არ მოებოჭა, ეგებ საქმე სამესამსეტოდაც გახდომოდა. მაგრამ მობოჭა და არ გაიხადა.

ეს მისი 32-ე საამსეზონო მატჩი გახლდათ და ზორბა ალპელი წლეულს უკვე 26 გამარჯვებას მოიძევს, რაიც სხვას არავის დაეკვეხება.

მაგრამ მისი თიხნარჩოგნაობა, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, მცირეოდენ სრულყოფას მოითხოვს.

„ჰო, რაღაც-რაღაცები ჯერ კიდევ დასახვეწი მაქვს — ამბობდა ნამატჩევს მსოფლიოს მე-5 მჩოგნე — ეს მოწოდებასაც შეეხება, დაბრუნებასაც და სათიხნარე რიტმსაც."

ყოველივე ამის დახვეწას 21 წლის ფედერერი მიხაილ იუჟნისთან გასამართ მეოთხედფინალში შეეცდება...

დანარჩენ მატჩებში:

ავსტრიელმა შტეფაკ კუბეკმა კორტზე მობრუნება წაუმერდლა მხრის ტრავმით განაწამებსა და ვალენსიამდე ინდიან უელსის შემდეგ უთამაშებელ ტიმ ჰენმანს. ეს მათი მეოთხე შეხლა იყო და თმაცეცხლა ავსტრიელმა პირველად შეძლო, ჩასპანდი ბრიტისთვის ეყელა.

სხვათა შორის — კუბეკმა სეზონი რიგიანად დაიწყო, იანვარში ჯერ დოჰაში იმარჯვა, მერე კი ოკლენდის მეოთხედფინალამდეც იომა. მაგრამ მას შემდეგ მან ყველგან კაცურად ჩაიფლავა და ეგ კი არა, ბოლო შვიდ ტურნირზე პირველი წრიდანვე გაახუნძურეს.

ადგილობრივი მილეთი კვლავ გაახარა შარშანდელმა ფინალისტმა რაინერ შიუტლერმა, ვინაც რუს დავიდენკოს ჯერ ერთი სეტი დაუთმო, მერე კი ორი აახია.

შიუტლერმა ნამატჩევს თქვა, რომ მისი მიზანი სეზონამდე ზეოცეულში ასვლა იყო, რასაც ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გასვლით მიაღწია. ახლა კი ის უკვე ზეათეულში შესვლას ეშურება.

გამოუვა?! ეგ ალბათ კიდელმა ნინამ თუ იცის.

**ლევან ძელაურაძე**



## F1

**მეხუთე ეტაპი** **ესპანეთის დიდი პრიზი**

**კატალუნია მონტმელო**

*ბარსელონა, 4 მაისი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------- **4.730 კმ**
**რბოლის დისტანცია** ---------------------- **65 წრე — 307.323 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**: 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 მონტოია (უილიამსი); 3 კულჰარდი (მაკლარენი); 4 ჰაიდფელდი (ზაუბერი); 5 მასა (ზაუბერი); 6 ფრენცენი (ეროუსი)

**წრის რეკორდი**: 2002 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:20.355 (211,9კმ/სთ)

**ტუყილად არ ამბობენ,** „კატალუნია მონტმელო" მიხაელ შუმახერის ტრასააო — იქ გამართული თორმეტივე რბოლა დიდმა გერმანელმა ჩასათვლელ ექვსეულში დაასრულა, აქედან ცხრაჯერ პოდიუმზე იდგა. აღსანიშნავია ისიც, რომ შარშან ბარსელონაში აბსოლუტური გამარჯვება მოიპოვა საფორმულო „დიდი სლემით" (მოგება, პოული, უსწრაფესი წრე, ლიდერობა სტარტიდან ფინიშამდე), რაც უიშვიათესი შემთხვევაა და თავად მანამდე მხოლოდ ორჯერ მოეხერხებინა.

ბუნებრივია, „წითელი ბარონი" ხვალინდელ რბოლაშიც უპირველესი ფავორიტია მიუხედავად იმისა, რომ წლეულს მხოლოდ ერთი ეტაპის მოგება შეძლო და სატურნირო ცხრილში მისთვის უჩვეულო მესამე ადგილზეა. ცხადია, მორიგი ტრიუმფის იმედითაა პირად-გუნდურ ჩათვლაში ლიდერი „მაკლარენიც", ზედიზედ მეხუთე ქულებიან ფინიშს გეგმავს მიმდინარე სეზონის მთავარი მოულოდნელობა „რენო", ხოლო შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ „უილიამსს" პრობლემები არ აკლდება. ეს გუშინ წინასაკვალიფიკაციო გაჯიბრებაზეც გამოჩნდა. სერ ფრენკ უილიამსის პილოტებმა საშუალო სირთულის წრე უხეიროდ გაიარეს და მეორე ათეულში აღმოჩნდნენ: რალფ შუმახერი მე-11 იყო, ხუან პაბლო მონტოია — სამი პოზიციით ქვევით. სწრაფი და უშეცდომო ცდა გამოუვიდა რენოელ იარნო ტრულის, მეორე დრო აჩვენა და დღეს ძირითადი კვალიფიკაციის წინ ხელსაყრელ მდგომარეობაშია — ტრასაზე ბოლოსწინა გავა.

ესპანური ეტაპის მთავარი მოვლენა ის გახლავთ, რომ ხვალ პირველად გაიჯირითებს ახალთახალი „ფერარი F2003-GA". ტესტებზე სკუდერიელთა მორიგი შედევრის მნახველები აღტაცებას ვერ ფარავდნენ — შარშანდელ მოდელზე სრულყოფილი და სწრაფიაო. მიხაელ შუმახერსაც ერთი სული ჰქონდა, საქმეში გამოეცადა ახალი ბედაური: „F2003-GA ფანტასტიკური მანქანაა და პირველივე რბოლაში წარმატების იმედი მაქვს."

ხვალ რა მოხდება, არავინ უწყის, გუშინდელმა საპოულე სესიამ კი ვარაუდი დაადასტურა — სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, მიხაელი მესამე გავიდა ტრეკზე და წრე ისეთ ტემპში გაიქროლა, რომ მისი ჯობნა ვერავინ შეძლო. შუმის თანაფერარელი რუბენს ბარიკელო მესამე იყო, შემდეგ კრისტიანო და მატა („ტოიოტა"), ჯენსონ ბატონი (B.A.R), ოლივიე პანი („ტოიოტა"), მარკ ვებერი („იაგუარი"), კიმი რაიკონენი და დევიდ კულჰარდი (ორივე „მაკლარენი"), ფერნანდო ალონსო („რენო")...

### ესპანური არქივი

| მრბოლი | ქვეყანა | მოგება | პოდიუმი | ქულა | პოული | რბოლა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | 4 | 9 | 70 | 5 | 12 |
| ალენ პროსტი | საფრანგეთი | 3 | 7 | 48 | 1 | 8 |
| ნაიჯერ მენსელი | ბრიტანეთი | 3 | 6 | 46 | 1 | 8 |
| მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 3 | 3 | 32 | 2 | 10 |
| ჯეკი სტიუარტი | ბრიტანეთი | 3 | 3 | 27 | — | 5 |
| აირტონ სენა | ბრაზილია | 2 | 3 | 31 | 4 | 8 |
| მარიო ანდრეტი | აშშ | 2 | 4 | 26 | 2 | 10 |
| ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 2 | 3 | 22 | — | 9 |
| ჟაკ ვილნევი | კანადა | 1 | 3 | 19 | 1 | 7 |
| ნიკი ლაუდა | ავსტრია | 1 | 2 | 15 | 2 | 8 |
| დეიმონ ჰილი | ბრიტანეთი | 1 | 1 | 13 | 1 | 8 |
| ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | 1 | 2 | 12 | — | 2 |
| გრემ ჰილი | ბრიტანეთი | 1 | 1 | 12 | — | 7 |
| ჯეიმს ჰანტი | ბრიტანეთი | 1 | 1 | 10 | 1 | 6 |
| ჟილ ვილნევი | კანადა | 1 | 1 | 9 | — | 3 |
| პატრიკ დეპაიე | საფრანგეთი | 1 | 1 | 9 | — | 6 |
| მაიკ ჰოთორნი | ბრიტანეთი | 1 | 1 | 8 | — | 1 |
| იოხენ მასი | გერმანია | 1 | 1 | 7,5 | — | 6 |
| კარლოს რუტმანი | არგენტინა | — | 3 | 17 | — | 8 |
| ჟაკი იქსი | საფრანგეთი | — | 3 | 16 | 2 | 10 |
| ... | | | | | | |
| დევიდ კულჰარდი | ბრიტანეთი | — | 4 | 25 | — | 9 |
| ხუან პაბლო მონტოია | კოლუმბია | — | 2 | 12 | — | 2 |
| ოლივიე პანი | საფრანგეთი | — | 1 | 7 | — | 8 |
| რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | — | 1 | 6 | — | 10 |
| რალფ შუმახერი | გერმანია | — | — | 5 | — | 6 |
| ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | — | — | 5 | — | 9 |
| იარნო ტრული | იტალია | — | — | 4 | — | 6 |
| ნიკ ჰაიდფელდი | გერმანია | — | — | 4 | — | 3 |

*საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მუშაობა მუდმივი ძიებაა. ოლიმპიური მოძრაობის მამები მთელ მსოფლიოში მუდმივად ეძებენ და გულდასმით არჩევენ ოლიმპიადის ჩატარებისთვის ვარგის ალაგთაგან საუკეთესოებს. შეარჩევენ რომელიმეს და სანამ მასზე თვალი უჭირავთ, ორგანიზატორებმა დროულად ააშენონ სტადიონი და გზებიო, მომდევნო ოლიმპიადისთვის ზრუნვის დრო მოდის*

# ოლიმპიური საზამთროც ზაფხულში მწიფდება



ვის არგუნებს ჟაკ როგი და მისი ამქარი 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადას?

**შვეიცარიულ ლოზანაში,** ოლიმპიურ დედაქალაქში, როგორც ყოველთვის დიდი ფაციფუცია. მომავალ წელს ათენის ზაფხულის თამაშებია, 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადა ტურინს აბარია, ხოლო 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ჩინეთის მთავარი ქალაქი პეკინი გახლავთ. ოლიმპიურ მამებს კი ახლა დრო უდგათ 2010 წლის თეთრ ოლიმპიადასაც გამოუძებნონ „პატრონი". თუ ვის ერგება შვიდი წლის შემდეგ სპორტული სამყაროს ცივი ნახევრის დახვედრის ბედნიერება, ეს ამ ზაფხულს, 2 ივლისს პრაღაში გაირკვევა. ფინალური კანდიდატი სამია — ავსტრიის ზალცბურგი, კანადის ვანკუვერი და სამხრეთ კორეის პიონჩანგი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შეფს ჟაკ როგს და ოლიმპიური სამყაროს სხვა მესაჭეებს ახლა წინ უდევთ პატაკი, რომლებიც სოკ-ის საგანგებო კომიტეტმა შეადგინა კანდიდატი ქალაქების წინასწარი დაზვერვის შემდეგ. სოკ-ის მზვერავებმა ოთხოთხი დღე დაჰყვეს თითოეულ ქალაქში, შეეცადნენ არ წამოგებულიყვნენ ქალაქის მართველთა ათასგვარ ხრიკებს, რომელიც აგრერიგ გავს ვაჭრის მიერ საკუთარი საქონლის ქებას და პატაკიც ობიექტური შთაბეჭდილებებით შეედგინათ. პატაკმა 75 გვერდი დაიჭირა და სოკ-ის მამები რამდენიმე დღე ეცნობოდნენ და წონიდნენ თითეული ქალაქის პოტენციას და შესაძლებლობებს.

პატაკში სწერია — „სამივე ქალაქი სავსებით მზადაა უმასპინძლოს ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებს. ხალხმა აქამდე იცოდა, რომ არსებობს ორი ძლიერი და ერთი სუსტი კანდიდატი, მაგრამ სადღეისოდ არსებობს სამი, სავსებით ტოლძალოვანი კანდიდატი, რომელთაგან ნებისმიერი შეძლებს, 2010 წელს ღირსეულად უმასპინძლოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს."

სუსტ კანდიდატში სამხეთკორეული პიონჩანგი ითვლებოდა. რაკი ზალცბურგი და ვანკუვერი ძლიერი და ამავდროულად ზამთრის სახეობებში ტრადიციული ქვეყნების „შვილები" არიან. მაგრამ კორეიდან ჩამოსულები მოხიბლულნი არიან იქაურთა მონდომებით და ქალაქ პიონჩანგითაც, ასე რომ თამამად გაუტოლეს ორ ძლიერ კანდიდატს. ცხადია ყველას თავისი ხიბლი და პლიუსი აქვს და სოკ-ს კიდევ საკმაოდ აქვს დრო კარგებიდან საუკეთესოს ამოსარჩევად. ისე კი ფარდებსმიღმა ხმები მთავარ ფავორიტად მაინც ავსტრიულ კოხტაქალაქ ზალცბურგს მოიხსენიებენ. ესაა ულამაზესი, თან ალპების ძირში და კულტურულ ქვეყანაში აშენებული ნატიფი ქალაქი.

**ქოტე ყორშია**



*არაბეთის გაერთიანებული საამიროების ლამაზქალაქმა დუბაიმ 20-29 აპრილს დიდ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირს „DUBAI OPEN"-ს უმასპინძლა. ტურნირზე რამდენიმე დიდოსტატთან ერთად 5 ჩვენებური მოჭადრაკე — ბაადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი, ზვიად იზორია, მიხეილ მჭედლიშვილი და ზურაბ სტურუა მონაწილეობდა. ჩვენდა სასიხარულოდ, ტურნირის გამარჯვებული ქართველი, ბაადურ ჯობავა გახდა.*

# ჯობავამ ყველას აჯობა

შეძლებული არაბი შეიხების თუ ამირების ალალი შემწეობით დუბაიმ უკვე მეხუთედ მიიღო საჭადრაკო ზესამყაროს ნაწილი. ფული ჭადრაკსაც ანათებს და აგერ, „Dubai open" საუკეთესო ორგანიზაციითა და შედარებით დიდი საპრიზო ფონდით (35 ათასი დოლარი) გამოირჩევა. ამგვარი ტურნირები კი თითებზე ჩამოსათვლელია თანამედროვე საჭადრაკო სამყაროში. შეიხებმა ტურნირისთვის 76 მოთამაშეს უხმეს, საიდანაც 34 მეტ-ნაკლებად ცნობილი დიდოსტატია — საკაევი, ალექსანდროვი, მოტილევი, ვოლკოვი და სხვანი. ტურნირი ამ რამდენიმე დღის წინ დასრულდა და როგორც თავში აღვნიშნეთ, მისი გამარჯვებული 19 წლის ბაადურ ჯობავა გახდა.

ჯობავა უკანასკნელ ტურის წინ 6,5 ქულით ცხრილის სათავეში იდგა და ნახევარი ქულით უსწრებდა მეორე-მესამეზე მყოფ სერგეი ვოლკოვსა და გაბრიელ სარქისიანს.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა და ბოლო ტურში შესაბამისად ჯობავა უშუალო კონკურენტ ვოლკოვს დაუპირისპირდა. ქართველისა და რუსის ჯახი მე-14 სვლაზე ყაიმით დასრულდა, რითაც ვოლკოვს ჯობავას გადასწრების ყოველგვარი შანსი მოესპო. ქართველის ბედად, ასევე ყაიმით დაასრულა პარტია კიდევ ორმა ახლო მდევარმა — სარქისიანმა და ალექსეევმა, რის შემდეგაც ორივე მოჭადრაკე შესაბამისად მესამე და მეექვსე ადგილზე დამკვიდრდა, ჯობავამ კი პირველობა შეინარჩუნა.

მდიდარმა შეიხებმა ტურნირის გამარჯვებულებს ფულადი პრემიებიც დაურიგეს. „Dubai open"-ის გამარჯვებული ჯობავა 5 ათასი დოლარით დააჯილდოვეს, მეორე-მეოთხე ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს კი თითოს 3,8 ათასი დოლარი უფეშქაშეს. რაც შეეხებათ დანარჩენ ქართველებს, გაგუნაშვილმა, იზორიამ და მჭედლიშვილმა 5,5 ქულით სხვა რამდენიმე მონაწილესთან ერთად მეთორმეტე-ოცდამეერთე ადგილები გაინაწილეს და მცირე ფულადი პრემიები მათაც შეხვდათ.

**ლაშა გეგეჭკორი**



## NHL სტენლის თასი. მეორე წრე ოთხ მოგებამდე

# ექსცენტრიკულმა ცენტრი იპოვა

1 მაისი

### აღმოსავლეთი

### ოტავა 2:2 ფილადელფია

**ფილადელფია 1:0 ოტავა** *1:0 0:0 0:0*

**1:0 პანდზუში (18)**

რომან ჩეხმანეკის სამეკარეო სტილს ახლა გინდ ექსცენტრული დაარქვით, გინდ — ცან-ცარული. კაცმა დაამტკიცა, რომ ფავორიტი გუნდის მთავარმეკარეობა მასზე ალალია. ოტავასთან სერიის მეოთხე მატჩში ფილადელფიის გოლკიპერმა 28 დარტყმა მოიგერია და თავისი გუნდი კრიტიკულ მდგომარეობას აარიდა. „მან ერთხელ კიდევ გააკეთა თავისი საქმე. სიმართლე გითხრათ, ამას ველოდით კიდეც. იგი ხომ სულ უმატებს და უმატებს და ჩვენც ამის წყალობით წინ მივიწევთ" — თქვა გუნდის კაპიტანმა კეიტ პრიმომ.

ისე, მაინცდამაინც ძნელი თამაში არ იყო არც ჩეხმანეკისთვის და არც მის კოლეგა პატრიკ ლალიმისთვის, რადგან სამი პერიოდის განმავლობაში მეტოქეები საკუთარი კარის დაცვით იყვნენ გართულნი და მომენტებს იშვიათად ქმნიდნენ, მაგრამ ორ-სამჯერ ჩეხმანეკმა ნამდვილად იხსნა თავისი გუნდი, ხოლო ლალიმი უძლური აღმოჩნდა, როცა პანდზუშმა ოსტატურად შეუცვალა მიმართულება შორეულ დარტყმას და მის მხარს ზემოთ გადაფრენილი შაიბა კარში შევარდა. სერიაში მდგომარეობა უფრო დაიძაბა და ნუ გაგიკვირდებათ, თუ საქმე მეშვიდე მატჩამდე მივა.



ფილადელფიის მეკარე რომან ჩეხმანეკმა არაერთი რთული შაიბა მოიგერია

# აბა, პრიზები, ვის უნდა პრიზები...

კოლორადოელი პეტერ ფორსბერგი, ვანკუვერელი მარკუს ნესლუნდი და ნიუჯერსელი მარტინ ბროდო — აი, რეგულარული ჩემპიონატის შესანიშნავი სამეული ანუ ლიგის ყველაზე პრესტიჟული პრიზის — „ჰარტ ტროფის" მაძიებელი ტრიო. ასე გადაწყვიტა ნჰლ-ამ. მოგეხსენებათ, ფორსბერგი და ნესლუნდი ჰოკეისტთა ასოციაციის მიერ დასახელებულ „ლესტერ ბ. პირსონ ავარდის" სიაშიც მოხვდნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ეს ორი შვედი იქნება ორივე ამ პრიზის მთავარი მაძიებელი.

წლეულს ბროდომაც ჩინებულად იასპარეზა. მან მეკარეთა შორის ყველაზე მეტი, 41 მოგება მიითვალა, მისმა ნიუ ჯერსიმ კი ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები, 166 შაიბა გაუშვა. ცხადია, სწორედ ბროდო იქნება „ვეზინა ტროფის" მოპოვების მთავარი კანდიდატი. მას საუკეთესო მეკარის პრიზს ტორონტოელი ედ ბელფორი და დალასელი მარტინ ტურკო შეეცილებიან. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა სეზონი ფანტასტიკური შედეგით დაასრულა — საშუალოდ 1,72 გაშვებული გოლი ერთ მატჩში.

ბროდოს გარდა კიდევ ერთი მოთამაშეა წარდგენილი ერთბაშად ორ პრიზზე. დეტროიტელი ნიკლას ლიდსტრიომი ზედიზედ მეექვსე სეზონია, საუკეთესო მცველისთვის დაარსებული პრიზის „ნორის ტროფის" მიღების კანდიდატია. ბოლო ორ სეზონში სწორედ შვედმა იმარჯვა და ახლა ერთგვარი ჰეთ თრიქის შესრულების საშუალება მიეცა. მისი კონკურენტები არიან სენტლუისელი ელ მაკინისი და დალასელი დერიან ჰეჩერი. მაკინისმა ერთხელ, 1999 წელს უკვე აიღო ეს პრიზი.

ლიდსტრიომი „ლედი ბინგ მემორიალ ტროფის" მაძიებელთა მარაქაშიც გაერია. ეს ჯილდო კორექტული თამაშისთვისაა დაწესებული. ლიგამ ამ პრიზის კანდიდატთა ტრიო დალასელი მაიკ მოდანოთი და ტორონტოელი ალექსანდრ მოგილნით შეავსო.

სხვათა შორის, ფინალისტ კანდიდატთა შორის ყველაზე მეტი, ოთხი კანდიდატთა დალასის მოთამაშეა. კიდევ ერთი ტეხასელი, იერილე ლეჰტინენი, „ფრენკ ჯ. სელკე ტროფის" ელის, რომელსაც დაცვაში სასარგებლო ფორვარდი იღებს. ლეჰტინენს ეს პრიზი უკვე ორჯერ მოუგია. მის ერთ-ერთ კონკურენტ ჯონ მედენს (ნიუ ჯერსი) მეორედ, ხოლო მინესოტელი ვეს ულცი პირველადაა დასახელებული მაძიებელთა შორის. საინტერესოა, რომ ულცი 2000 წელს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნდა ნჰლ-ში, თანაც 30 წლის ასაკში. მანამდე იგი ევროპაში თამაშობდა.



მარტინ ბროდო

საუკეთესო ახალბედისთვის განკუთვნილ „კოლდერ ტროფის" დეტროიტელი ჰენრიკ ზეტერბერგი, სენტლუისელი ბარეტ ჯეკმენი და კოლუმბუსელი რიკ ნეში „გაითამაშებენ", ხოლო საუკეთესო მწვრთნელისთვის დაწესებულ „ჯეკ ადამს ტროფის" — ორი ჟაკი, მინესოტელი ლემერი და ოტაველი მარტენი და აგრეთვე ტამპელი ჯონ ტორტორელა.

გამარჯვებულთა ვინაობა საგანგებო ცერემონიალზე გამოცხადდება 12 ივნისს.

**სამველ ლარიბიანი**



პეტერ ფორსბერგი



მარკუს ნესლუნდი

# ოლე, ოლე...

სევილიაში კორიდა გრძელდება. რივერა ორდონესმა ხარს იმგვარი ფანდი გაუხერხა, რომ რქით მიწა მოათხრევინა. დაბნეულ ხარს მოსახვევში გაუჭირდა, მატადორი კი მშვიდია.



REUTERS სევილიიდან




REUTERS სტოკბრიჯიდან

# სერ ჩარლზის ცივქნაობა

სერ ჩარლზი, სხვანაირად კი ენბიეის ახლო წარსულის ვარსკვლავი ჩარლზ ბარკლი საჭურველთმტვირთველად წაჰყოლია მეგოლფე კრის ჩეტერს. ეს ამბავი სტოკბრიჯში, ჯორჯიაში ხდება იქაურ საქველმოქმედო ტურნირზე, რომელიც ივლს ლენდინგ ქანთრი ქლაბში მოეწყო. სავოლფე ბურთი მეტად პატარა ჩანს ჩარლზისთვის.

# რავარია

კვლავ მოტო და კვლავ ავარია: სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზი ველკომის ტრასაზე. ბრიტანელი (სურათზე) ჯერემი მაკ უილიამსი სუპერბაიკის ყოფილ ჩემპიონს, ამერიკელ კოლინ ედვარდსს შესკდომია. დიდი პრიზი კი 500-კუბურსანტიმეტრიან ძრავათა შეჯიბრში ესპანელ სეტე ხიბერნაუს მოუგია.




REUTERS ველკომიდან




REUTERS მინეაპოლისიდან

# გავიდოდა, რას იზამდა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ენბიეური პლეიოფის შემდეგ წრეში გავიდა „მინესოტა ტიმბერვულვზის" ძლევით. გადამწყვეტი თამაში, რომელიც „ლეიკერსმა" 101:85 მოიგო, შაკილ ონილის დიდი მონდომებით გამოირჩა. შაკმა 27 ქულა მოაგროვა და ერთი ორჯერ ისე გაიშხლართა, მთელი „სტეიპლს სენთერი" დააზანზარა. ლოს ანჯელესი კინოს ქალაქიც არის და „ლეიკერსს" კინოვარსკვლავებიც ქომაგობენ. ჯეკ ნიკოლსონისა ადრეც ვიცოდით, ლეო დი კაპრიო კი მინეაპოლისშიც გაჰყოლია გუნდს, სადაც ლეიკერსმა ნახსენებ გადამწყვეტ მოგებამდე ორი დღით ადრე ასევე სძლია „ტიმბერვულვზს".



REUTERS ლოს ანჯელესიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლევან თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ყაშაკიძე, გაგა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიმლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოჩალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჩვაია, ქეთევან გულუაშვილი, თამაზ გოგეშაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსავლიძე, ხვიჩა ლეკაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ცოგრაშვილი, მერაბ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ქეშელავა

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge